


ՅԱՐԱՀԱՆ ՅՈՎԱՅՐԱԿՈ



# ՅԱՐԱՀԱՆ ՅՈՎԱՅՐԱԿՈ

# კალენდარ პირველი

კალენდარ  
პირველი



მოთხევის გარემონტი  
ისახობ ცენტრული



ვაკერძოებულობა „საგვოთა საქართველო“.  
თბილისი — გამარტინი — 1977



8 Г

899.962.1—3 [092 ა. ნიკოლაძე]

გ 66



ს პ 2000  
მ ე ბ რ მ ე ბ უ ლ ი ა

M 70202—030  
M 601 (08) 77 170 — 77

(C) გამომცემლობა „საბჭოთა საქართველო“ 1977 წ.

105/3

16/2

-26

## საუბარი დუმილით

ქანდაკება დუმილით საუბარია.

ქუთაისის ქუჩებში დაბიჯებს ერთი ნადირობის ტრუიალი, კაფანდარა, დაძარღველი, სამუაღო ტანის 65 წელის კაცი, რომელს მუხლებს ახალგაზრდული ცეცხლი ჯერჯერობით არ მოჰქმება.

როგორც ყველა ნიკიერი კაცი, ისიც თავმომალი და უძრალოა. უყვარს ახალგაზრდობა და სამაგიროდ უხვად აქვს მიზნდული.

საუბარი მიმშიდველი და იუმორით შეზავებული იცის. მის მიერ მოყოლილი ყველა ამბავი იმპროვიზებული ნიველაა.

ეს კაცი გახლავთ საქართველოს სსრ დამსახურებული მხატვარი, მოქანდაკე ვალერიან მიზანდარი.

ვ. მიზანდარი 1911 წელს დაიბადა და თბილისის სამხატვრო აკადემიაში სასწავლებლად მაშინ შევიდა, როდესაც იყი 8 წლის დაარსებული იყო. სწავლობდა ქანდაკების ფაკულტეტზე და მისი ხელმძღვანელები იყვნენ ქართული რეალისტური ქანდაკების ფუძემდებლები იაკობ ნიკოლაძე და ნიკოლოზ კანდელაკი. ხატვას ასწავლიდნენ ცნობილი მხატვრები: ი. შარლემანი, ე. დამიერე, მ. თოიძე და სხვები.

ღვაწლმოსილი მოქანდაკე ანლაც იღონებს ისანს, უსინათლოთა სკოლის ზევით, ფიქალი ქვის ნატექებით ნაგებ ძველისძველ ღობებიან თელავის ვაწრო ქუჩას, სადაც იყი უნივერსიტეტის სტუდენტ შალვა გუგავასთან ერთად ცხოვრობდა:

ეს იყო 1929 წელი. წვენი ბინის პატრონი გამრჯე და გულეკათალი ქალი იყო. მის ხახის მეზობელი მართა კურას ეძახდნენ.

იბლიობაში გაშრდილი მართ ადრე დაქვრიცებულა. ორი შვილის დედა იყო. ვაჟს საინგინერო დაემთავრებინა და საღლაც მორეულ ქალაქში წასულიყო სამუშაოდ. კუტი. ქათიშვილი კი შინ ჰყავდა საწყალს.

კვირა არ გავიდოდა, რომ დედას ვაფისაგან ამანათი ან წერილი არ მიეღო.

გავიდა დრო. მართს ვაჟი შინ დაბრუნდა და დაქორწინდა. შალვა და  
მე იძულებული გაქტდით ბინა დაგვეცალა და, დექციებზე სიარულის ჩატვ-  
დად, კარდაკარ გვეცდო ბინის საძებნებულად"...

სამხატვრო აკადემიაში იმ დროს ქანდაკების კლასი მიმკავდა ქარ-  
თული რეალისტური ქანდაკების ფუძემდებელს იაკობ ნიკოლაძეს  
(1876—1951 წ.) ერთხელ თურმე აკადემიის სახელოსნოში პროფესორმა  
იაკობ ნიკოლაძემ, როგორც წესი, ჯერ ნამუშევრები დაათვალიერა, შემ-  
დევ ტილოში შეხვეული ერთ-ერთი ქანდაკების ავტორი მოიკითხა. ჯგუ-  
ფის „სტაროსტას“ უთქვაშს, ქანდაკების ავტორი ქადაქში ბინის საძებნე-  
ბულად არას გასულიო. მეორე დღესაც იყიდე განშეორებულა.

დაბოლოტატის გამშრიახ თავალს შეუმნინებელა არ დარჩინდა ნიჭიერი  
ყმაწვილი და 1929 წელს ერთ მშენებელ დღეს მათ შორის ახეთი საუ-  
ბარი გამართულა:

— ყმაწვილო, იმოვნე ბინა?

— ვერა, ბატონი იაკობ!

იაკობი სახელოსნოდან გასულა, ცოტა ხნის შემდევ დაბრუნებულა და  
უთქვაშს:

— საღამოს, ხატვის საათების შემდევ, მოხვალ წემთან.

— ბატონი იაკობ, გვახულებით, მაგრამ საღ ცხოვრობთ არ ვიცი, —  
უთქვაშს ვ. მიშანდარს.

— ჩემი ქუჩა, თვრამეტი ნომერი, — ყოფილა პასუხი.

გვადერიანი გაოცნებულა. ასისტენტისათვის უკითხავს და მას ვანუ-  
შარტავს: იაკობ ნიკოლაძე ცხოვრობს იაკობ ნიკოლაძის ქუჩაზე (ქუჩას,  
საღაც ცხოვრობდა სახელოვანი მოქანდაკე, სიცოცხლეშივე უწიდეს მისი  
სახელი, ხოლო პარალელურ ქუჩას—მისი მასწავლებლის, დიდი ფრანგი  
მოქანდაკის, ო. როდენის სახელი).

ასე აღმოჩნდა სამხატვრო აკადემიის მეორე ქურსის სტუდენტი ვალე-  
რიან მიშანდარი რიყის ქვით მოკენჭილ როდენის ქუჩაზე, ი. ნიკოლაძის  
სახელოსნოში.

— ეს იყო ჩემთვის ერთ-ერთი ბედნიერი საღამო, — იხსენებს ვ. მიშანდა-  
რი, — ბატონმა იაკობმა იმ საღამოს გამაცნო თავისი ოჯახი, დამათვალიე-  
რებინა სახელოსნო და ბოროს ერთი მშენებერი პატარა თთახი მიმიჩინა.  
ასეთი ბედნიერება ხვდა წილად ჩემს ამხანაგს შეალვა გუვავასაც, რომე-  
ლიც ისტორიის ფაკულტეტზე სწავლობდა. იყი ივანე ჯავახიშვილმა შეი-  
უარა. მ. გუვავა დიდ სამამულო ომში დაიღუპა"...

დექციების შემდევ ვალერიანი ძვირფასი მასწავლებლის სახელოსნოში

ათენებდა და აღმებდა. სწავლობდა ქანდაკების საიდუმლოებას და მოწამე იყო დიდი მოქანდაკის შემოქმედებითი შრომისა და ყოველდღიური ცხოვრებისა.

თბილისში სტუდენტთა ქალაქის მშენებლობა დამთავრდა, სამხატვრო აკადემიას ერთი კორპუსი მისცეს. ვ. მიზანდარსაც შესთავაზეს დამატებით, მარამ მფარველს არ გაუშვია: ბინას ხომ არ მიწუნებ, დარჩი და ჩემთან იცხოვორეთ. ამის შემდეგ ვ. მიზანდარი ი. ნიკოლაძის კეთილი ოჯახის წევრი გახდა.

იმ დროს ი. ნიკოლაძის სახელოსნოს ხშირი სტუდენტი იყვნენ: ივ. ჯავახიშვილი, შალვა ნუცუბიძე, ანდრია რაზმაძე, გალაკტიონ ტაბიძე, ტიმოთ ტაბიძე, პაოლო იაშვილი, ნიკოლოზ მიწიშვიდი, კოლაუნა ნადირაძე, ევფენი დანიშვირე, დავით გაკბაძე, ლადო გუდიაშვილი და ქართული პოეზიის, ხელოვნებისა და მეცნიერების სხვა გამოჩენილი მოღვაწენი.

ასეთ ადამიანებთან ახლოს ყოფნამ ახალგაზრდა მოქანდაკეს, საჭრეთელამ ერთად, გალაზი ააღებინა ხელში და წელის განმავლობაში წანაწერებს აკაცებდა.

— დადგენა დრო და თქვენშე მოგონებებს დავწერ! — უთქვამს ვაჭერიან მიზანდარს მასწავლებლისათვის. იაკობს თურმე გაეღიმა და მოსწავლეს ვამამხნევებდად მხარზე ხელი მოუთავსნა. ფრთაშესხმულ ვაჭერიანს დიდი მასწავლებლისათვის თრი მოთხრობა — „ფილონენციაში“ და ავაგა და აკაკი მოქანდაკის სახელოსნოში” წაუკითხავს. იაკობის სიცოცხლეშივე დაისტამბა რამიღენიმე მოთხრობა და დიდი მოქანდაკის მოწონებაც დაიმსახურა.

მას შემდეგ ბევრმა წყალმა ჩაიარა.

ვ. მიზანდარი ქ. ქუთაისში ბრუნდება და აქტიურად ემშება ქალაქის კულტურულ ცხოვრებაში. როგორც მოქანდაკე, თავდაუზოგავად შუშაობს და პარალელურად აქტიურ პედაგოგიურ მოღვაწეობას ეწევა ქალაქის სკოლებსა და პედაგოგიურ ინსტიტუტში — ასწავლის ხატვასა და ხელოვნების ისტორიას. მან ბევრი ახალგაზრდა აზიარა ხელოვნების როგორ და შევენიერ პროფესიას.

ვ. მიზანდარს არასტროს დავიწყებით დიდი მასწავლებლის ამაგი და მასზე ყოველმა მოგონებამ ქადალდზე გადატანის სურვილი აღუძრა.

ასეული წელის განმავლობაში იწერებოდა ეს მოგონებები. ისინი სხვადასხვა დროს გამოაქვეყნა გაზით დიტრეატურა და ხელოვნებაში” (-ვერონეზეს ცა”), უკრნალ „საბჭოთა ხელოვნებაში” („ნახრუბაძის პორტრეტი”). ორი მოთხრობა, რომელიც ეხება ი. ნიკოლაძისა და მისი დიდი

მასწავლებლის ოგიუსტ როდენის ურთიერთობას, დაიბეჭდა ფრანგულ ენაზე.

ვ. მიზანდარმა თავისი ჩანაწერები მხატვრულად დაამუშავა, პატარა მოთხრობებად ჩამოაქანდაკა, რომლებშიც უშუალობით გაღმისტვება დადგინდება მოქანდაკის ცხოვრებისა და შემოქმედების ცოცხალი სურაფებზე.

ქანდაკება დუმილით საუბარია.

ეს მოგონებები დად მოქანდაკებები დუმილის ფარგლებს სცილდება და ყველას გასაცონადაა მოყოლილი.

ზერაბ პუბიცი

## ფ უ ფ ა ლ ა

ერთხელ იაკობმა მამისეული სახლი გაიხსენა, მოიგონა და-  
 და, ძმა, გადია და ჩოცა შევეკითხე, ბავშვობისას ჰქონდა თუ  
 არა რაიმე განსაკუთრებული მიღრეკილება მხატვრობისადმი,  
 მიპასუხა:

— ალბათ, მქონდა. პირველად დაორთქლილი ფანჯრის მი-  
 ნებზე ვხატავდი, მერე კი საქმე სხვაგვარად წარიმართა. — ია-  
 კობი ჩაფიქრდა და განაგრძო: — ჩემი ძმა, ვასო, მაშინ დას-  
 რულებული კაცი იყო, მე კი ათი წლის ვხდებოდი. ვასოს თა-  
 ვისი ოთახი ჰქონდა. იგი დღისით გარე-გარე დადიოდა, უურ-  
 ნალ „Новое обозрение“-ში თანამშრომლობდა. საღამოობით  
 თავის მყედრო ოთახში ჩაიკეტებოდა, კითხულობდა და წერ-  
 და. შინ მუდამ გულჩათხრობილი, სახემოლუშული იყო, ძა-  
 ლიან ცოტას ლაპარაკობდა. იშვიათად შებედავდა ვინმე მას-  
 თან შესვლას. ერთადერთი ჩემი გადია არღვევდა ამ წესს,  
 ისიც დიდი სიფრთხილით შეაღებდა მისი ოთახის კარს, მაგი-  
 დას და სკამებს გადაწმენდა და ფეხაკრეფით გამოდიოდა  
 იქიდან. ვასოს ოთახი ჩემთვის საიდუმლოებას წარმოადგენდა.

მე და ჩემი ძმა ერთმანეთს სადილობისას და ვახშმობის  
 დროს ვხვდებოდით მარტოოდენ. დილით რომ ვდგებოდი, ის  
 უკვე წასული იყო. ვასო უცხო თვალს უზურ კაცად მოეჩვე-  
 ნებოდა. უცხოს კი არა, მეც კი მეშინოდა მისი. სინამდვილეში  
 კეთილშობილი და ალალმართალი აღამიანი იყო; ამიტომ არის,

რომ მის ხსოვნას მუდამ პატივს ვცემ და ყოველთვის სიყვა-  
რულით ვიგონებ.

ბავშვობისას მიკვირდა, რატომ იყო, რომ დედას ვაძლე-  
თვის ცალკე ჰქონდა განკუთვნილი ჭიქა-საინი, კოგზირდა და  
ნა-ჩანგალი. უფროსი ძმა სასაღილო ოთახში ცირკ ხდის და  
ჩერდებოდა, ისაღილებდა თუ არა, თავის ოთახში გავიდოდა.

ერთ დილას სხვა გასაღებით გავალე მისი ოთახის კარი.  
შესვლისთანავე რაღაც არასასიამოვნო სუნი მეცა, მაგრამ ეს  
არაფერი; რამაც გამაოცა, ეს იყო წიგნები. ოთახის ერთი კე-  
დელი იატაქიდან კერამდე წიგნების თაროებით იყო დაფარუ-  
ლი. იატაქზე, სკამებზე, მაგიდაზე, ყველგან, სადაც კი შეიძ-  
ლებოდა, წიგნები ეწყო. ფანჯარასთან ახლოს მოლბერტი  
დავინახე, მოლბერტზე თითბრის მოზრდილი ყვითელი ფირ-  
ფიტა იღო. ფირფიტაზე კოკრებიანი ხავერდის ვარდი ეხატა.  
ნახატი ჯერ ისევ სველი იყო, ეტყობოდა, წინა საღამოს ემუ-  
შავა, მე კი ოთახში დილით მისი წასვლისთანავე შევიძარე.  
მივიხედ-მოვიხედე და იქვე, საწერ მაგიდაზე ფაიფურის თეფ-  
შზე გამოსახული ისეთივე ყვავილი დავინახე. მივხვდი, ვარდი  
თეფშიდან გადახატა. ოთახში კიდევ აღმოვაჩინე თითბრის  
ისეთივე ნაქრები. ბევრი არ მიფიქრია, ერთი ცალი მოლბერ-  
ტზე დავდე, მზა პალიტრა მოვიმარჯვე და დავიწყე ხატვა. მეც  
ვარდი დავხატე. ეს იყო ჩემი პირველი ნამუშევარი. ფირფი-  
ტას ერთ კუთხეში „იაშა“ მივაწერე, ასე მეძახდნენ ბავშვობა-  
ში. ვასოს ნახატი კი ისევ მოლბერტზე მივაყუდე. კარი გამო-  
ვიყეტე და სათამაშოდ წავედო.

საღილობამ რომ მოაღწია, შინ შესვლა ვერ გავბედე, ვა-  
სოსი მეშინოდა, მაგრამ დედა უსაღილოდ დამტოვებდა?

აი, უკვე მაგიდას ვუსხედვართ.

— რად აგვიანებ, იაშა?! — მეკითხება ვასო. გავიტრუნე.

თანაც გამიკვირდა, მისი ხმა საშიშს არაფერს მიქადდა, მაგრამ თავს დამნაშავედ ვგრძნობდი და პასუხი უცებ ვერ გავეცი. — სად იყავი? — ისევ გამიმეორა კითხვა ვასომ და უცებ სხვა აზრი გამიჩნდა: ალბათ, ასე ტკბილად იმიტომ მეკითხვება, უნდა ლაპარაკში შემიტყუოს და ხელი მტაცოს-მეთქი. გაქცევა დავაპირე.

— შემომხედვე! — ლმობიერად მეუბნება ვასო. — შენ, ძმაო, გასალებების ოსტატი ყოფილხარ!

ტანში გამცრა, თავი ავწიე და უნდა გამოვტყდე, პირველად ვნახე შუბლგახსნილი ვასო. ახლაც მახსოვს, როგორ უბზინავდა თვალები.

— შენ, ძმაო, ფუნჯიც გემარჯვება თურმე! — თქვა და ალერსიანად ნიკაპექეშ ამომისვა ხელი.

მეორე დღეს ვასომ მომიტანა სალებავები, ფუნჯები და ზომაზე დაჭრილი ტილოები. — იაშა, — მითხრა მან, — რამდენიც გინდა ხატე, შენ ახლა დიდი ბიჭი ხარ, მალე თერთმეტი წლისა იქნები. რაც გინდა, ხატე, ვაშლი, მსხალი, კოში, ერთი სიტყვით, ყველაფერი, რაც მოგესურვოს. ფერები რომ გაგითავდეს, კიდევ მოგიტან. მხოლოდ ერთ რამეს გთხოვ, ჩემს ოთახში ნუ შეხვალ, მე ავადა ვარ, უნდა მომერილო, მე რომ აღარ ვიქნები, დედას შენ უნდა უპატრიონო.

თვალზე ცრემლები მომადგა და თავი ჩაელუნე, ვასო მომიახლოვდა, ნიკაპი ამიწია, თვალებში ჩამხედა. ცრემლებს ველარ ვიკავებდი, მას კი თვალები ისევ უბზინავდა. ვასომ შუბლზე მაკოცა. ეს კი ძალზე უჩვეულო რამ იყო მისგან. სულ ცოტა დრო გავიდა იმ დღიდან და მეც ვაკოცე შუბლზე. ეს იყო მისი დაკრძალვის დღეს.

იაკობმა ცრემლი მოიწინდა და განაგრძო:

— ერთი წლის შემდეგ დედამ ბათუმის საზეინკლო-სახე-

ლოსნო სასწავლებელში მიმაბარა. იქ ხატვასა და ძერწვასაც  
ასწავლიდნენ. მასწავლებელი კარგი გვყავდა და მეც, ასე თუ  
მც, წარმატება მქონდა. მოაღწია საზაფხულო არდადეგებმა,  
დავბრუნდი შინ. იცი, რა იყო მაშინდელი ქუთაისიში ყავრით  
დახურული სახლები, პატარ-პატარა სახელოსნოები, ნიმურა  
ლე, ოლრო-ჩოლრო ქვაფენილები, გუბეები, შებინდებისას ბა-  
ყაყების გაუთავებელი ყიყინი, კოლო, ციება და ჭლეჭი, მაგ-  
რამ მე მაინც მიმიხაროდა მისკენ, სადაც დედის კალთა და აქა-  
ფებული რიონი მელოდებოდა.

ნაწიმარი იყო. საღგურიდან შინ ეტლით მოვედი. თავი  
მომწონდა, ბათუმის სახელოსნო სასწავლებლის მოწაფე ვი-  
ჟავი.

ერთ დღეს დედა დილიდანვე სადღაც წავიდა, მე გადიას-  
თან დავრჩი. ვისარგებლე მარტოობით, ეზოდან ბუხრის სა-  
შენი წითელი თიხა ამოვიტანე, სასტუმრო ოთახში შევზიდე  
და ერთდროულად ორი ქანდაკების ძერწვა დავიწყე: იქო  
ქრისტესი და შოთა რუსთაველის. ბავშვობიდანვე ვოცნებობ-  
დი, რომ პირველი შესაძლებლობისთანავე შოთას ქანდაკებას  
გავაკეთებდი; და მართლაც, ამ ხნის მანძილზე რამდენჯერ  
ვცადე შოთას გამოძერწვა; ალბათ, ჩემი ბოლო ქანდაკებაც შო-  
თა იქნება. მეორე დღეს ნამუშევრები დამთავრებულად ჩავ-  
თვალე. საჭირო იყო ვინმექსთვის მეჩვენებინა და მისი აზრი  
გამეგო. მივიხედ-მოვიხედე და ვერც სახლში და ვერც  
ეზოში სულიერი ვერ დავლანდე. გადიაც სადღაც გადაკარ-  
გულიყო. ამ დროს ეზოში მეზობლის პატარა გოგო შემოვიდა.  
დიდი ხანია არ ვყავდი ნახული და შორიდანვე გამილიმა. და-  
ვუძახე, რაღაც უნდა გაჩვენო-მეთქი. გოგონა კუნტრუშით  
გამოიქცა.

ბავშვი ოთახში შევიყვანე, მაგიდიდან ორი-სამი მეტრის

დაშორებით გავაჩერე და რუსთაველის პორტრეტს ტილო  
შემოვხსენი.

— აბა თუ მიხედები ვინ არის? — შევეკითხე გოგონას.

უყურა, უყურა და ხელი იმ თთახისკენ გაიშვირა, სადაც,  
ქუთაისში სტუმრობისას, აკაკი წერეთელს უხდებოდა. ცხოვ-  
რება, ამით გოგონამ ის მანიშნა, რომ ეს თიხის კაცი და აკაკი  
ერთნაირი საქმის კაცები არიანო. მისმა აზრმა დამაკმაყოფი-  
ლა. ახლა ქრისტეს შემოვხსენი ტილო.

— ამას თუ მეტყველ ვინ არის? — ვკითხე გოგონას.

გოგონამ მაშინვე წამოიძახა: — ფუფუალა, ფუფუალაო. ამან  
კი ძალიან გამახარა.

ამგვარად, უფროსი ძმა ვასო და მეზობლის ის პატარა გო-  
გონა იყვნენ ჩემი პირველი ნამუშევრების შემფასებელნი, —  
დაამთავრა იაკობმა.

## ვარა და აკაპი მოქანდაკის სახელოსნოში

დიდი ფრანგი მოქანდაკის ოგიუსტ როდენის სახელი ჰქვია თბილისში ერთ-ერთ ქუჩას ვერაზე, მის პარალელურს კი — იაკობ ნიკოლაძის. ეს ქუჩები ისე ახლოს არიან ერთმანეთთან, რომ ზოგ სახლს ერთი ქუჩიდანაც აქვს შესასვლელი და შეორედანაც.

ახლა როდენის ქუჩის შეა წელში ერთ ასეთ შესასვლელს თხი პატარა აბრა აქვს მიყრული. ერთ მოძველებულ აბრას აწერია: „სახალხო მოქანდაკე პროფ. იაკობ ნიკოლაძე“. მეორე კი გვაუწყებს, რომ აქ არის მისივე ყოფილი სახელოსნო და სახლ-მუზეუმი.

იაკობ ნიკოლაძე ერთ-ერთი საუკეთესო მოწაფე იყო ოგიუსტ როდენისა. სამშობლოში დაბრუნებულმა ხელოვანმა ენერგიულად მოჰკიდა ხელი თავის საყვარელ საქმეს და საფუძველი ჩაუყარა პორტრეტულ და უანრულ ქანდაკების საქართველოში. მანვე აღზარდა მოქანდაკეთა და ხელოვანთა მთელი თაობა. თვალსაჩინო დამსახურებისათვის ლვაწლმოსილ მოქანდაკეს იუბილე გადაუხადეს და ნიშნად პატივისუმისა ქუჩას, რომელზედაც მას სახელოსნო ჰქონდა, როდენის ქუჩა დაარქვეს, ხოლო პარალელურ ქუჩას, საცხოვრებელი ბინძის მხარეს, იაკობ ნიკოლაძის სახელი უწოდეს.

დღის მეორე ნახევარი იწურებოდა, როდენის ქუჩაზე ჩავჭევი. სახელოსნოს ზარის ღილაკს თითით შევეხე.

ვიცოდი, რომ მოქანდაკე სახელოსნოში ძირითადად დღის მეორე ნახევარში მუშაობდა, დილის საათებში კი აკადემიაში იყო დაკავებული.

სახელოსნოს კარი პროფესორის მეულლემ გამოილო, შინ შემიძარებული და თან მითხრა, რომ იაკობი ავად არისო, ამას გარდა, ეს რამდენიმე დღეა გულჩათხრობილია, კარგია, რომ მოხვედით, იაკობს თქვენთან საუბარი უყვარს და შეიძლება განალისდესო.

სახელოსნოსა და პატარა დერეფნის გავლით საწოლ ოთახში შევედით.

— რაშია საქმე, ბატონო იაკობ? თქვენ ავადმყოფობა რომ არ იცოდით?

— ო, სწორედ მაგაშია საქმე, ავადმყოფობა რომ არ ვიცოდი, ახლა ჩემი ჯერიც დადგა, — ამოოხვრით მიპასუხა მან.

იაკობი ძალიან დასუსტებულიყო.

ხანმოკლე საუბრის შემდეგ, როცა მან ჩემი ამბავიც გამოიითხა, მთხოვა სახელოსნოსათვის მიმეხედა.

სახელოსნოს მართლაც სჭირდებოდა მიხედვა.

სველი ტილოები ფრთხილად შემოვახვიე თიხის დაუმთავრებელ ქანდაკებებს, თაბაშირისა და მარმარილოს ნატეხებიდან გავასუფთავე სადგარები, წესრიგში მოვიყვანე თაროდან გადმოყრილი წიგნები, შევაგროვე გაბნეული ხელსაწყოები, მერე სახელოსნოს იმ კუთხეში მივედი, სადაც დაბალი, მოგრძო მსხვილფეხებიანი მაგილა იდგა. ეს კუთხე მოქანდაკეს ერთგვარ საკუჭნაოდ ჰქონდა გამოყენებული, მაგიდის ქვეშ ზემთარს გადარჩენილი მოკლედ დახერხილი შეშა ეწყო, ზედ კი ფოლადის ხელახლა გამოსაპირავი ხელსაწყოები ეყარა. იქვე ელავა იარაღების ლესვისაგან წელჩაზნექილი გაცვეთილი ნალესი ქვები, ტარიანი და უტარო ჩაქუჩები.

მაგიდის მეორე ბოლოში, კედლის კუთხესთან, დაბალზე  
ხის ყუთი იდო, ყუთზე — ტილოვადაფარებული რაღაც მო-  
ბურცული საგანი. ბორცვი სქელ მტვერს დაეფარა, ტილოს  
ქვეშ თეთრი აბრეშუმის ორი ნიღაბი იდო.

მაშინვე ვიცანი: ერთი იყო აკაკის ნიღაბი, მეორე კი ვაჟა-  
სი. დიღხანს ვუცქირე ორივეს; ვაჟას სახე დაპატარავებოდა,  
ცხვირი თხელი და ბოლოვახრილი ჰქონდა, შუბლი ვიწრო და  
მაღალი. თვალები ღრმად ჩაცვენილი.

აკაკის ნიღაბი ფართო და სახეგახსნილი იყო: ცხვირი სავ-  
სე და მრგვალი, შუბლი — მაღალი და ფართოდ გადაშლილი,  
დიღრონი თვალები მძინარესავით ჰქონდა დახუჭული.

აკაკის თვალებზე შერჩენილი წამწამები დავინახე. ეს იყო  
მისი ნამდვილი წამწამები (ცხედრიდან ნიღაბის აღების დროს  
ზოგჯერ თაბაშირი თან აიტანს წამწამის, თმის ან წარბის ბეჭ-  
ვებს და ყალიბიდან ნიღაბის ჩამოსხმის დროს ბეჭვები იმავე  
ადგილას მოხვდება, სადაც თვით ცხედარს ჰქონდა).

„ეს ხომ ძვირფასი რელიქვია!“ — გავითიქრე მე და იაკო-  
ბის საწოლი ოთახისაკენ გავიქეცი.

— ბატონი იაკობ, თქვენ ვაჟას...

— ა? — წამოვარდა მოხუცი. — იქ ვაჟაც არის და აკაკიც!  
ხელი ხომ არ გიხლია?

— არა, ბატონი!..

— წამწამები?

— თან აქვს, მხოლოდ აკაკის.

— დიახ, აკაკის სამი მარჯვენა თვალზე და ორი მარცხე-  
ნაზე.

— სწორია, სამი მარჯვენა თვალზე და ორი მარცხენაზე;  
ეს როგორ მოხდა, რომ ამდენხანს ამ ნიღბების შესახებ სიტ-  
ყვაც არ დაგცდენიათ?

— იმ ხანებში გაპირებდი თქმას, მაგრამ დამასწარი ვთვი  
ნახვა.

— თქვენი ხელით აიღეთ ნიღბები? — ვკითხე.

— ერთიც და მეორეც. მაშინ არავინ იყო ნიღბის ამღბა. ძალიან ვიძალე, უარზე იდგნენ, როგორ შეიძლება მიცვალე-  
ბული შევაწუხოთო და სახე თაბაშირით შევუთხიპნოთ, მაგ-  
რამ ჩემი გავიტანე.

აკაკის ნიღაბს რამდენიმე წამწამი აჰყვა. ხელი არ ვახლე,  
ვიფიქრე, დარჩეს, მომავალმა თაობამაც ნახოს აკაკის წამწა-  
მები-მეთქი.

ერთი თვის ავადმყოფობის შემდეგ იაკობი გამოკეთდა და  
ძველებურად განაგრძო მუშაობა.

გავიდა დრო და მხცოვან მოქანდაკეს მთაწმინდაზე ახლად-  
გახსნილ მუზეუმის თანამშრომლებმა ვაჟას და აკაკის ნიღბე-  
ბი სთხოვეს.

იაკობმა მათ კატეგორიული მოთხოვნა წაუყენა: — მოგ-  
ცემთ მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ თქვენ მოიტანთ მინის  
სახურავიან ყუთს, რომელსაც საკეტი ექნება, ყუთი უნდა  
იყოს იმ ზომის, რომ ნიღბები ცალ-ცალკე ჩალაგდეს.

რამდენიმე დღის შემდეგ მუზეუმის თანამშრომლებმა მო-  
იტანეს მინის სახურავიანი კაქლის ხის ერთი მოზრდილი ყუ-  
თი, მაგრამ იაკობმა ყუთი დაიწუნა, საკეტი არ აქვსო და ნიღ-  
ბები არ გაატანა, თანაც მუზეუმის თანამშრომლები დაარიგა:  
საკეტი უნდა იყოს ისეთი, როგორიც აქვს პიანინოს, ამოსული  
ენა — კაუჭიანიო.

მუზეუმის თანამშრომლები გაჩუმდნენ, პასუხი ვერ გას-  
ცეს და უხმოდ გაბრუნდნენ უკან.

ბოლოს, როგორც იქნა, მოიტანეს სრულყოფილი ყუთი.

— აი მესმის, — თქვა იაკობმა, — ახლა თქვენც კარგები  
ხართ და მეც.

იაკობი ოთახში გავიდა, მწვანე ხავერდის ნაჭერი გამო-  
იტანა, ყუთში ჩააფინა, ნიღბები ჩაალაგა, დაკეტა და გასაღე-  
ბი ბაღში გადაისროლა.

კრინტი არავის დაუძრავს. ყუთი წაიღეს.

ଓଡ଼ିଆ କୋର୍ପ୍ସ

მატარებელი საფრანგეთ-იტალიის სასაზღვრო სადგურთან  
გაჩერდა, პარიზიდან იტალიაში მივემგზავრებოდი, — თქვა  
იაკობმა, — ფულის გადამცველები შემოვიდნენ და მგზავ-  
რებს შემოგვთავაზეს უცხოური ვალუტის გადაცვლა იტალი-  
ურ ლირებზე. გადაცვლა, რასაკვირველია, თვით იტალიაშიც  
შეიძლებოდა, მაგრამ ეს იყო მგზავრების ერთგვარი მომსახუ-  
რება და საქმის გააღვილება, მაგრამ ამ საქმეს გასამრჩელოც  
სკირდებოდა. გადამცვლელებმა მგზავრებს ფული გულდა-  
მით დაგვითვალეს, იანგარიშეს და სანაცვლოდ იტალიური  
ლირები მოვცეს.

მთელი გზა თითქმის ფანჯარასთან ვიდეტი, დასავლეთ სა-  
ქართველოს მაგონებლა ბორცვიანი მწვანე პეიზაჟები. ფლო-  
რენცია, რომი, მიღანი, მიქელანჯელო... ეს იყო მაშინ ჩემი  
ფიქრი და ოცნება და ამის გამო თვალშინ ჩაქროლილი სანა-  
ხაობა ზოგჯერ გვერდზე მრჩებოდა. საღამოს ცხრა საათი იყო,  
როცა ფეხი ფლორენციის მიწაზე დავდგი. მგზავრებს სხვა-  
დასხვა სასტუმროს ავენტები შემოგვევებნენ. ერთ-ერთი მათგა-  
ნი ჩემთან მოვიდა. ეს იყო შეახნის, ოდნავ წელში მოხრილი,  
ვიწროსახიანი ცისფერთვალება კაცი, ტანზე ჩვეულებრივ ევ-  
როპულად ეცვა, მაჯებზე და საყელოზე ვიწრო ყვითელი ზო-  
ლები ჰქონდა შემოვლებული. ეს კაცი შემომეგება უკავშირის

სხაპასხუპით მითხრა, რომ ის არის ერთ-ერთი საუკეთესო  
სასტუმროს წარმომადგენელი, რომელიც მოთავსებულია ქა-  
ლაქის მთავარ პროსპექტზე, ბინა შეღება რამდენიმე ლოდინი-  
საგან, სტუმარს უშევენ ყოველგვარ მომსახურებას და უცემა-  
ლაფერი ეს ძალზე იაფი ღირს.

აგენტს თავი დაუუქნიე და მანაც ჩემოდანს ხელი დასტაცა,  
წინ გამიძლეა და მის განკარგულებაში მყოფ მსუბუქ მანქანა-  
ში ჩამსვა. მანქანის ძრავა ორთქლით მუშაობდა და კარგა გვა-  
რიანად უშევებდა როგორც ორთქლს, ისე ბოლს. რამდენიმე  
წუთში ჩვენ უკვე სასტუმროში ვიყავით. ყვითელზოლებიანნა  
ბინა ჩამაბარა და ახალი მგზავრის შესახვედრად გაბრუნდა.  
მეც ბევრი აღარ დავაყოვნე, თავი წესრიგში მოვიყვანე, ათი-  
ოდე წუთით დავისვენე და ქალაქში გავედი. შენობიდან გას-  
ვლისას მისი ფასადი შევათვალიერე, კარგად დავიმახსოვრე  
და წავედი. გავყევი გაზის ნათურებით განათებულ პროს-  
პექტს, რომელსაც თავის მოცულობით კიდეც ეთქმოდა და  
არც ეთქმოდა პროსპექტი. იგი მოედნით მთავრდებოდა, რომ-  
ლის თითქმის ნახევარი სვეტებიან შენობას ეკავა, ნახევარი  
კი—ბალს. თვით მოედნის სიბრტყე ოთვეუთხედი რუხი ქვი-  
ბით იყო დაფარული. შეა მოედანზე ცნობილის აღმნიშვნელ  
წრეში პოლიციელი იდგა. მოედანზე შემოდიოდნენ მანქანები,  
ერთსართულიანი და ორსართულიანი ომნიბუსები, ბალდახი-  
ნის მსგავსი ეტლები და მოედნის შემოვლით ისევ პროსპექ-  
ტისაკენ მიეშურებოდნენ. ამ მოედნის გარშემო კარგა ხანს ვი-  
არე, ვათვალიერე ყველაფერი, რისი დანახვაც შეიძლებოდა  
სახელდახელოდ და ისიც ლამით, მერე ცენტრისაკენ გავეშუ-  
რე. პოლიციელს ჩემი მისვლა გაუხარდა. უსაქმურობით მო-  
ეწყინა კაცს, დამდაბარაკებელი არ ჰყავდა, ბოლთას ცემდა,  
ტანის სიმძიმე ხან ერთ ფეხზე გადაჭრონდა, ხან მეორეზე.

ჩვენს შორის სასიამოვნო საუბარი გაიმართა, მაგრამ შემდეგ  
ცვლაფერი ეს ერთმა გარემოებამ შელახა და გააქარწყლა.  
— რა ჰქვია ამ მოედანს? — შევეკითხე მე.

საკითხები  
სიცოდურები

პოლიციელმა ამხედ-დამხედა.

— ამ მოედანს ჰქვია სინიორის მოედანი. მოედანი ცნო-  
ბილია იმით, რომ საუკუნეების მანძილზე ეს ადგილი იყო  
ფლორენციის პოლიტიკური ცხოვრების ცენტრი, მაგრამ მთა-  
ვარი ის არის, რომ აქ ირგვლივ ადგილები დიდი მოქანდაკეე-  
ბისა და არქიტექტორების ქმნილებებითაა შემკული. ამ მოე-  
დანზე აღნიშნულია ადგილი, სადაც 1498 წელს დასწევს აჯან-  
ყებული ბერი სავონაროლა. — პოლიციელმა რამდენიმე ნაბიჯი  
გადადგა და საჩვენებელი თითოთ იქვე მიათითა, სადაც კო-  
ცონის ადგილის აღმნიშვნელ რუს ქვებს შორის მარმარილოს  
კუბები იყო ჩასმული. ახლა კი, ამას წინათ, სადღაც წავი-  
კითხე, რომ თეთრი ქვების ნაცვლად ბრინჯაოს წარწერიანი  
დისკო დამაგრებული. შემდეგ მან მიმითითა სასახლე „პალა-  
ცო ვეკიო“-ზე და მითხრა, აი, ამ სვეტებიანი სასახლიდან მარ-  
თავნენ მედიჩები ფლორენციას და იგივენი მფარველობ-  
დნენ აღორძინების ხანის დიდ მხატვრებსო.

მე, სრულიად კმაყოფილი პოლიციელის ახსა-განმარტე-  
ბით, მადლობის გადახდას და წასვლას ვაპირებდი, რომ ახლა  
ის შემეკითხა:

- ოქვენ საიდან ჩამოხედით?
- პარიზიდან..
- რა პროფესიის ხართ?
- მოქანდაკე.

— ოო, ეს კარგი საქმეა, ოქვენ ბევრ რამეს ნახავთ ფლო-  
რენციაში. როდენი გინახავთ? — შემეკითხა ისევ პოლიციელი.  
— როგორ არა, მე მასთან ვმუშაობ.

— როდენთან მუშაობთ?!

— ღიას.

— დილი ოსტატია. მე ბედნიერი საღამო მერგო დღეს ჩემი მორიგეობის დროს თქვენთან საუბრის გამო, თუ წებას! მომ-ცემთ, ზოგ რამეს შეგვეკითხებით. მე ხელოვნების მოყვარული გახლავართ და ამის გამო მეტად დაინტერესებული ვარ როდენის შემოქმედებით, მის ბუნებას და ხასიათს არ ვიცნობ, ნაწარმოებები კი მინახავს და ძალიან მომწონს.

— ბრძანეთ, ბრძანეთ...

— აი, მაგალითად, როდენი მკაცრია თუ არა?

— მკაცრია.

— ყოველთვის?

— არა, ზოგჯერ ძალიან გულჩვილი და ბავშვეურია.

— ბავშვები უყვარს?

— ძალიან.

— ცხოველები?

— ძალიან, ცხენი ჰყავს, ეფერება, შაქარს აჭმევს და ეალერსება.

— დილით ადრე დგება?

— ადრე.

— საჭმელებიდან რა უყვარს?

— ხშირად კვერცხიან მუაუნას სუპს მიირთმევს.

— კიდევ რას?

— ყავას სვამს.

— მაგარი სასმელები უყვარს?


— არ შემიმჩნევია.

— ატელიეში რომელ საათებში მუშაობს?

— დილით ადრე და საღამოს მზის ჩასვლამდე.

— ამბობენ, როცა მუშაობს ატელიეში, სიმებიანი ორკესტრი უკრავსო, მართალია?

— დიახ, უკრავს.

პოლიციელმა მაღლობა გადამიხადა და თქვა:   
— აგრე, ახლოს, დგას ბენცენუტო ჩელინის „პერსევსი“. გირჩევთ ნახოთ დღისით. ახლა, ხელოვნურ სინათლეზე, შთაბეჭდილება გაგიფუჭებათ.

განცვიფრებული დავრჩი მისი ასეთი ჩჩევით. მან, სინათლის საკითხიც კი, რომელიც დიდ როლს თამაშობს მოცულობით ხელოვნებაში, კარგად იცოდა. ამის შემდეგ პოლიციელმა ჩამომითვალა რისი ნახვაც აუცილებელი იყო ფლორენციაში და ბოლოს მითხრა:

— თვით თქვენ, როგორც ვხედავ, ფრანგი არ უნდა იყოთ, მე მინდა ვიცოდე, ვის ვესაუბრე, რომელი ქვეყნის კაცს?

— მე კავკასიელი ვარ.

— რომელი კუთხიდან?

— საქართველოდან.

— ქალაქი?

— ქუთაისიდან.

— ოო, ქუთაისიდან? ქუთაისში ნამყოფი ვარ, ათი-თორმეტი წლის წინათ ჯარში ემსახურობდი, ჩვენი ნაწილი შევიზღვის სანაპიროზე გადაიყვანეს და ცოტა ხანს ფოთში ვიდე-ჟით. ერთხელ, რამდენიმე კვირით, ქუთაისში წავედით. მახსოვეს ქალაქიდან მოშორებით კლდეზე აგებული მონასტერი, უკან, ხევში პატარა მდინარე ჩაუდის. თვით მონასტრის სახელს ახლა ვერ ვიგონებ, ჩანაწერებში კი მაქვს აღნიშნული.

— ეს რომელი მონასტერი ნახეთ? — ვკითხე პოლიციელს.

— მოგახსენეთ, სახელი არ მახსოვეს, მოგაგონებთ, იქ არის დასვენებული წმიდანი ძმების ცხედრები, იქვე ქვეშ ხერელია,

ხალხს დანიშნულ დღეებზე შეწირულები მიაქვთ. ხვრელში დაწოვილები გავლენ და ამთ ცოდვებს ინანიებენ.

— მივხვდი, მივხვდი, თქვენ „მოწამეთა“ გინახავთ, დაახ, მართალია, იქ არის ძმები მხეიძეების ცხელრები და ასეთი ბკრელიც არსებობს.

— ამბობენ, რომ კარგი მეომრები ყოფილან. ისიც კი გამიგია, რომ მათ ცხენებზე ნალები უკუღმა ჰქონდათ დაკრული, რათაც ისინი მტერს გზა-კვალს უბნევდნენ, ნაკვალევი ერთი მიმართულებით მიღიოდა, მხედრები კი მეორეთი.

— დაახ, დაახ, მეც მიამბეს ერთხელ ასეთი რაღაც — აქ მე გაგონილმა მიშველა. თვით მონასტერი არასოდეს მენახა, შემრცხვა, — თქვა იაკომა და თან დაუმატა: —პოლიციელი ძალზე კავითილი დარჩა, როცა ნაამბობი დაეუდასტურე.

ამის შემდეგ ჩვენ კიდევ ცოტა ხანს ვისაუბრეთ, მერე მან უბის წიგნაკში ჩემი გვარი და სახელი ჩაიწერა. ბოლოს ვთხოვე მიეთითებია რომელიმე უახლოესი რესტორანი, კაფე, ან სხვა რაიმე ასეთი, საღაც შეიძლებოდა მისი მონა-მორჩილი დანაყრებულიყო. პოლიციელმა ეს თხოვნა მოვალეობად მიღო და იქვე კავკასიური რესტორანი დამანახვა.

დამშვიდობებისას, თუმცა ძალიან მეუხერხულებოდა, მაგრამ მაინც გადავწყვიტე, რომ უბიდან ერთი ლირა ამომელო და მიმეცა მისოვის, მართლაც ასე მოვიქეცი. ამოვიღე ჭიბიდან გატეიცინებული ქაღალდის ფული და გავუწოდე. მან ზურგი შემაქცია და არც დამემშვიდობა, ალბათ, ოდესმე, როცა უბის წიგნაკში ჩემს გვარს წაწყდებოდა, ფურცელს მაშინვე ამოგლეჭდა.

კავკასიური რესტორნისაკენ გავსწიო, იგი ნახევრად სარდაფში იყო, თავი თბილისში მეგონა. აქა-იქ თითო-ორთოლა კაცი ვახშმობდა. იქვე კუთხეში რამდენიმე იტალიული მაგი-

დას უსწდა, მაგიდაზე კახური იარლიყიანი ბოთლები ეცავდა  
შევეღი თუ არა, მათ მაშინვე მომაქციეს ყურადღება, ჩემსკენ  
გამოიხედეს. ცოტა ხნის შემდეგ, როცა ვახშმობას შევუდექმ,  
ერთ-ერთი მათგანი, მაღალი, გრძელცხვირა, მოხდენილად ჩაც-  
მული კაცი მოვიდა ჩემთან და საოცრად გამიკვირდა, როცა  
ქართულად მითხრა, თქვენ, თუ არ ვცდები, ნიკოლაძე უნდა  
იყოთო.

— დას — მივუგი მე, და ფეხზე წამოვდექი.

— თქვენ?

— მე თქვენი ოჯახის ძველი მეგობარი ვარ, თქვენი ბავ-  
შეობა კარგად მახსოვს, როგორც შემოხვედით, მაშინვე გა-  
ცანით.

ამის შემდეგ მან თავის სუფრაზე მიმიწვდა.

— მაშ ასე, — დამშვიდობებისას მითხრა: — მე გახლა-  
ვართ ქუთაისელი ვაჭარი ალექსანდრე ზუბალაშეილი, იქ მა-  
ღაზიები მაქვს. საქმეს „პრიკაზჩიკები“ ავარებენ, მე აქედან  
საქონელს ვეზავნი, იქ იყიდება და ასე... ხან აქა ვარ ფლო-  
რენციაში, ხან რომში, პარიზში, ვარშავაში, ლომში, სად არ  
დავდივარ, ასეთია ჩემი ცხოვრება.

იმ დღეს იაკობმა საუბარი ამით დაამთავრა. მითხრა, შემ-  
დეგში დაწვრილებით გიამბობ, ვინ იყო ალექსანდრე ზუბა-  
ლაშეილი, რით იყო დაკავშირებული ჩვენს ოჯახთანო, მაგ-  
რამ ამ თემაზე ჩვენ მეტი აღარ გვისაუბრია.

## 3 0 6 0 4 0 6 0 3 0 6

ერთხელ იაკობს, ხელოვნების მუშაკებთან ერთად, მოსკოვიდან თბილისში დაბრუნდა თუ არა, ორი-სამი დღის შემდეგ ისევ უკან წასვლა მოუხდა.

პირველ მგზავრობას მოხუცი ხალისით შეხვდა. ახლა, თავს სუსტად გრძნობდა, მაგრამ მეტი გზა აღარ იყო, წავიდა. სადგურზე რამდენიმე ახალგაზრდამ გავაცილეთ და როცა მატარებელში თავისი ადგილი დაიკავა, თქვა: ამ მგზავრობასაც როგორმე გავუძლებ, იქიდან კი აუცილებლად უნდა გადმოვფრინდე, აღარ შემიძლია ამხელა გზაზე ჭავჭავი. მაშინ მატარებელი ბაქოს გავლით დადიოდა.

ორი კვირის შემდეგ იაკობი ჩამოფრინდა. მაღლობა გადამიხადა, რომ თიხაში შესრულებული ნამუშევრები მოვლილი დავახვედრე. ყველაფერი წესრიგში იყო, მუშაობის გაგრძელება შეიძლებოდა.

— როცა მოსკოვიდან გამოვფრინდით, — დაიწყო მან, — წვიმდა, ყველაფერს რუხი ფერი ედო, კავკასიონის მისაღომებთან ცა გაიჭრა და მალე ლურჯი სივრცე გამოჩნდა, შემდეგ რაღაც ენით გამოუთქმელი სილამაზის საყუაროში შევეღით: თეთრი ქათქათა ღრუბლები ცის თვალუწვდენელ სივრცეში ზანტად მოსიარულე აქლემებს ჰვავლნენ, მზის ოქროსფერი სხივების კონები სვეტებად იყო გამონათებული თეთრ ნაფ-

ლეთებს შორის. აი, ისე, იტალიელი მხატვრები წმინდანების  
სურათებში ლრუბლებიდან სვეტებად გამოსულ მზის სხივებს  
რომ ხატავდნენ. ეს რა ნახა ჩემმა თვალებმა. მზის სხივებით  
განათებული ეს უწმინდესი და უთეთრესი ბამბის უზარმაშაც  
რი ნაფლეთები თოვლით დაფარულ კლიოპატ კონტინენ-  
ტებს ჰგავდნენ და ნელა, უხმოდ მიცურავდნენ, ერთიმეორეს  
გვერდს უვლიდნენ, ზოგჯერ შეერთდებოდნენ, ახალ ფანტას-  
ტიკურ ფორმას მიიღებდნენ. დროდადრო ციურ ხომალდებს  
შორის სივრცეები ჩნდებოდა, მაგრამ არა ისეთი, როგორც  
ჩვენ ოდესმე მიწილან დაგვინახავს. ეს იყო ნამდვილი ფიჩუ-  
ზი, აკაის ფირუზი, ეს იყო ვერონეზეს ცა.

საიდან იცოდა ვერონეზემ, რომ ცა შეიძლებოდა ასეთი  
ფერის ყოფილიყო; მას ხომ ფიქრადაც არ მოუვიდოდა, რომ  
ადამიანი ოდესმე მიწას ასცდებოდა, ლრუბლებში იფრენდა და  
ცას მიუახლოვდებოდა. მე რომ პირველად ვერონეზეს ნამუ-  
შევრები ვნახე, განცვითრებული დავრჩი. განსაკუთრებით  
მისმა ცამ გამაკვირვა. სრულებით არ ჰგავს სხვა რომე-  
ლიმე ოსტატის ცას; მისი ცა თვალის დამატებობელი ფერი-  
საა.

ასეთი იყო ცა თვითმფრინავიდან. იცი, ვერონეზეს ცა რა  
ფერია? — შემეკითხა იაკობი.

— ვიცი, როგორ არ ვიცი, ფერადი რეპროდუქციები მინა-  
ხავს და ცას განსაკუთრებით ვაქცევდი ყურადღებას, ამას გარ-  
და, ხელოვნების ისტორიაშიც არის ეს აღნიშნული...

— იცი რა ფერი აქვს ვერონეზეს ცას? — გამიმეორა ისევ  
იაკობმა და თვითონვე განაგრძო: — ვერონეზეს ცა მთლიანად  
ლურჯი ფერის არაა. ძირითადად მწვანეა, მაგრამ ისეთი მწვა-  
ნე კი არა, როგორც ჩვენ წარმოგვიდგვნია, — მას ოდნავ სი-  
ლურჯე დაპკრავს, საერთოდ მისი ცა ლრმა ზა გამჭვირვალეა,

რომლის იქით, შორს, ნამდვილად ფირუზი ჩანს, წინ კი ოქ-  
როსფერი ლივლივებს.

ამის შემდეგ იაკობმა საუბარი სხვა საგანზე გადაიტანა,  
მაგრამ მალე დაწყებული ამბავი მოაგონდა და განაგრძო:

— მე ეს კი არ მინდონა მეთქვა, როგორი იყო ცა, როცა ჩემს  
გარშემო უზარმაზარი თეთრი ხომალდები დაცურავდნენ, მზის  
სხივების ოქროსფერი სვეტებით მიწას რომ ებჯინებოდნენ;  
როცა ასე ახლოს ვიყავი ვერონეზეს ცასთან, სურვილი დამე-  
ბადა, გამეღო თვითმფრინავის კარი და როცა რომელიმე მოზ-  
რდილ თეთრ ნაფლეთს მივუახლოვდებოდი, მესკუპა  
და ზედ დავმხტარიყავი. ღრუბლის ნაფლეთი ოდნავ ჩაიზნიქე-  
ბოდა და მეც შიგ ჩავეთლობოდი, მაგრამ არა ისე, როგორც  
ითვლში ვეფლობით ხოლმე: არა, სულ სხვაგვარად, რბილად ნა-  
ზად, სიზმრის მსგავსად, თეთრი ღრუბელი ზანტად განაგრძობ-  
და ვზას, მეც თან წამიუვანდა, გზადაგზა ფორმას შეიცვლიდა,  
სხვა ნაფლეთებს შეუერთდებოდა, უზარმაზარ, დიდ მთებად  
გადაიქცეოდა; მეც ნაბიჯს გადავდგამდი, ისევ ისე ჩავეთლო-  
ბოდი. შემდეგ შემხერდა კონტინენტზე გადავჭდებოდი; მალე  
მისი ზანტი ცურვა მომშეცინდებოდა,—მეორედან მესამეზე გა-  
დავეშვებოდი. ასე ვივლიდი დიდხანს, და როცა დავიღლებო-  
დი, ცის ყველაზე ულამაზეს ხომალდზე შევჩერდებოდი. მე-  
რე კი ჩემი თეთრი ხომალდით დიდ ზღაპარს შევუერთდე-  
ბოდი...

## ჩახრუხაძის პორტრეტი

1930 წლის შემოდგომის წყნარი საღამო იყო. ოსტატის სახელოსნოში ერთ პატარა სამუშაოს ვასრულებლი. იაკობი, ავალმყოფობის შემდეგ, იმ დღეს თავს კარგად გრძნობდა, მაგრამ სამუშაოს არ ეყარებოდა და რატომდაც მოუსვენრად დადიოდა სახელოსნოს ერთი კუთხიდან მეორემდე...

ბოლოს მოხუცი ჩემს სამუშაო საღართან მოვიდა, ერთი მეტა რბილი თიხა აიღო და იქვე დაიწყო ძერწვა. რამდენიმე წუთში კაცის თავი გამოქერწა. ნაძერწი მაღლა ასწია, ქვევილან ახედა. მერე შუა სახელოსნოსაკენ წავიდა და ხან ერთ, ხან მეორე საღარზე განაგრძო მუშაობა. მოქანდაკეს უნდოდა კაცის თავის მუშტისტოლა ესკიზი სხვადასხვა სინათლეზე დაენახა და შეემოწმებინა.

ბოლოს ისევ ჩემთან მოვიდა, ნაძერწი მაღლა ასწია, შეარცენ-შემოაბრუნა და შემცეკითხა:

— ვინ არის?

მას ხელში ეჭირა უთვალო, თითქმის უცხვირო, მაგრავ წვერულვაშიანი გამხდარი კაცის თავის პატარა ესკიზი.

— ვინ არის? — გაიმეორა შეკითხვა მოხუცმა.

— არ ვიცი, — მიუღე მე.

— შენ არ იცი, მე ვიცი!.. ეს ჩახრუხაძეა, პოეტი ჩახრუხაძე.

ნამუშევარი შთამბეჭდავა იყო, მაგრამ მე არ შემეძლო

შეთქვა, თუ ვინ იყო გამოსახული ესკიზი. ეს თვითონაც კარგად იცოდა, ამიტომაც თავის კითხვაზე თვითონვე უპასუხა, შენ არ იცი, მე ვიციო.

ის დღე იმით დამთავრდა, რომ იაკობმა ესკიზზე დადგინდა წუთს იმუშავა და იქვე თაროზე შემოდო.

ამის შემდეგ გავიდა დაახლოებით ცხრა-ათი წელი; მე უკვე მთაწმინდის ძირას ვცხოვრობდი, მაგრამ იაკობს რა ძალა დამაცილებდა.

ისევ შემოდგომის წყნარი საღამო იყო.

იაკობთან სამუშაოდ მივედი.

— დავასველო ნამუშევრები? — შევეკითხე საკარძელში ჩამჯდარ დაღლილ ოსტატს.

იაკობმა თანხმობის ნიშნად თავი დამიქნია.

მოვხსენი მშრალი ტილოები ორ ქანდაკებას, ერთი ახლად დაწყებული იყო, მეორე კი დასრულებული. დასრულებულ ნამუშევარში მოზრდილი ზომის ჩახრუხაძის პორტრეტი შევიცანი.

მარჯვნივ თაროზე კი ისევ იდო გამშრალი თახის პატარა თავი.

— იცანი? — მკითხა იაკობმა, რავი შემამჩნია, რომ ნამუშევრის ჭინ გაჩერებული ხან პორტრეტს ვუყურებდი, ხან თაროზე შემოდებულ ესკიზს.

— ვიცანი! — ეუპასუხე მე.

— გახსოვეს?.. ახლა, მგონი, ყველაზ იცნოს, არა? — კმაყოფილი ტონით მითხრა მან.

ტილო დავასველე, გავწურე, ორად მოვეკეცე და ხელის გასაცლელად, რაღან ჭერ ახლად დაწყებული ნამუშევრის შეხვევას ვაპირებდით, ჩახრუხაძის პორტრეტს დავადევი თავზე.

— მოიცა, მოიცა! — მოულოდნელად წამოიძახა იაკობმა  
და მთხოვა, მასთან მიესულიყავი.

— ხედავ, რა კარგად აღევს ტილო?.. ასე იცოდნენ ჩვენ-  
მა ჩოხოსნებმა ჩაბალახის თავზე დადება, როცა ლაცხებო-  
დათ ხოლმე. უბრალოდ, ორად მოკეცილი ჩაბალახი კარგია.  
კარგია! ჩახრუხაძე ასე დარჩება!

მეორე დღეს პორტრეტი ჩამოისხა თავზე დადებულა ჩაბა-  
ლახით, რამაც კიდევ უფრო გააღრმავა ოსტატის ჩანაფიქრი.

ასე შეიქმნა ჩახრუხაძის უკვდავი სახე.

## მცხოვრის ჯავარი სახალოსნოში

იაკობის ატელიეს ამაღლებულ ნაწილში შვერილფეხებიანი ძველისძველი მაგიდა იდგა. მაგიდის იქით — ჭერამდე ასული წიგნების თარო, წინ კი ზურგიანი შეცვეთილი სავარძლები. წიგნების თაროს მოპირდაპირე მხარეს დაზურულ კარადაში ხელფასიდან დაზოგილი ფული ინახებოდა, ზევიდან ლონატელოს გამხდარი, ლრმად ჩამჯდარი თვალებიანი მამაკაცის ტერაკოტას თავი იმზირებოდა, მარჯვენა მხარე მინისკედლებიან კარადას ეკავა. პირდაპირ როდენის ფოტოსურათი ეკიდა.

როგორც მახსოვეს, მინის კარადას თაროებიც მინისვე ჰქონდა და სავსე იყო მცირე ზომის ნამუშევრებით, პირველი ჩანაფიქრებით, ქვებით, მარმარილოს ნატეხებით, ტყვიის, თუთიის, სპილენძის, ტალკის მაღნებით, გამომღნარი ლითონებით, გაქვავებული პაწაწინა ცხოველებით, კრისტალებით, ფაიფურისა და გამხმარი თიხის პატარა ბარელიეფებით...

სახელოსნოს ეს ნაწილი იაკობს დასასვენებლად, სასაუბროდ და წიგნზე სამუშაოდ ჰქონდა განკუთვნილი.

მზე ჩადიოდა, ოსტატი სავარძელში იჯდა, თავი მაღლა ჰქონდა აწეული, ხელში გამქრალი პაპიროსი ეჭირა, ფიქრებს მისცემდა. მე როდენი გადავთურცლე, ქაღალდის შრიალზე იაკობი გამოერკვა, პაპიროსი საფერფლეში ჩაასრისა და მითხრა: ჩამომილე პირსახოცი, მე შენ რაღაც უნდა გაჩვენოო... წიგნი დავხურე. პირსახოცი ჩამოვილე და მივუტანე.

იაკობი მინისკედლებიან კარადასთან მივიღა, მამაკაცის მუ-  
ჭისოდენა ბროლკრისტალი გამოიღო, მაგილაშე დადო, პირ-  
სახოცი გამომართვა, მარჯვენა ხელის თითებზე გადიფარა;  
პირსახოცში დამალული თითებით კრისტალი დაიკირა, მაღლა  
ასწია და თქვა: — აბა, შეხედე, არის თუ არა ჭვრის მონასტე-  
რი? — გამჭვირვალე კრისტალი თავისი ფორმით ძალიან ჰყავ-  
და ქართული ეკლესიის შენობის ფორმას, მრავალწახნაგოვანი  
პირიშმა ბოლოვდებოდა იმდენივე წახნაგოვანი პირამიდით. ეს  
იყო შეა ამაღლებული ნაწილი. გარშემო ოთხივე მხარეს კი  
შედარებით დაბალი პრიზმები სიმეტრიულად იყო შემოწყო-  
ბილი, ასე, რომ მთელი ამ კრისტალის ძირი ჭვარის გამოსა-  
ხულებას იძლეოდა.

იაკობმა მაღლა აწეული კრისტალი შეაბრუნ-შემოაბრუნა,  
ქვევით დაშვებული პირსახოცი ააფრიალა და თქვა, არის თუ  
არა ჭვრის მონასტერი? დგას თუ არა მთაწე ჭვარიო?

— დგას, — ვუთხარი მე.

— აი, ეს მინდოდა შენთვის მეჩვენებიაო.

იაკობი სავარძელში ჩადა, კრისტალი და პირსახოცი მა-  
გილაშე დადო.

— იცი რა გითხრა? ბუნებაში ბევრია მსგავსი ფორმის სხე-  
ული; ხომ გინახავს ზაფხულის ლურჯ ცაშე შერჩენილი ლრუბ-  
ლების უცნაურობა. დაწეტი გულაღმა და უყურე, რას ნახავს  
თვალი უკეთესს: სპილო, აქლემი, ფანტასტიკური რაშები, ცი-  
ცაბო კლდეები, ციხე-კოშკები. სახურავიდან ჩამონაურნი  
წყლით აჭრელებული ჭერი და კედელი. მე ერთხელ ჩვენს  
ძველ სახლში კედელზე გამოხატულ რაშს ნიკოლოზ ბარათაშ-  
ვილის სტრიქონები მივაწერე.

იაკობი ისევ კრისტალს დაუბრუნდა.

— ეკლესიის შენობის ფორმა, რასაკვირველია, ჭვრის მო-

ხაზულობიდან გამოღის და კიდევ სხვა რამესთან არის დაგავ-  
შირებული, მაგრამ ეს ხომ მართალია, რომ კრისტალი უფრო  
აღრე იყო, ვიღრე ეკლესია? ასე რომ, ჩემო კარგო, — განავ-  
რძო იაკობმა, — ბუნება მზადაა მოგაწოდოს ყველაფერი, სა-  
ჭიროა მხოლოდ მივნება და გამოყოფა. შენ გამოჰყავი, რაც  
გინდა, მოაშორე ზედმეტი, და იქნება ხელოვნება.

## რჩევისათვის მოსული

იაკობს განსაკუთრებით მზის ჩასვლის შემდეგ უყვარდა მუშაობა. ქვასთან ან მარმარილოსთან თუ ჰქონდა საქმე, მაშინ სახელოსნოს შუალამებდე არ ტოვებდა. მუშაობის შემდეგ ჩალათის ჭიბეებიდან მარმარილოს ჩაცვენილ ნატეხებს ამოყრიდა, გამტვერიანებულ ბერეტს დაფერთხავდა და დაღლილაქანცული დასაძინებლად წავიდოდა.

მოქანდაკემ იცოდა დროის ფასი, ენანებოდა უქმად დაკარგული ყოველი წუთი, ცდილობდა, რაც შეიძლებოდა მეტი ემუშავა, მოლაყბე კაცი ეგავრებოდა. როცა ვინმე სტუმრად მოსული ლაპარაკს გააგრძელებდა, იაკობი ოთახიდან ბაღში ვაილალებოდა, მას მეუღლეს შეატოვებდა, თვითონ კი სახელოსნოში შევიდოდა სამუშაოდ.

იაკობს ხშირად აკითხავდნენ ახალგაზრდები, ზოგს რა უნდოდა წა ზოგს რა...

— შენ ხატავ თუ ძერწავ? — პირველ რიგში პკითხავდა იაკობი ახალგაზრდას.

— ვხატავ და ვძერწავ.

— ნახატები გაქვს?

— მაქვს.

— ძალიან კარგი. ხვალ აკადემიაში შოიტანე ნამუშევრები, — მოუჭრიდა ხოლმე მოხუცი და გაისტუმრებდა.

სახელოსნოში ზარმა გაიწერიალა. იაკობმა კარებში თავი  
გაჰყო.

— ვინ გინდა?

— მე, ბატონო, ოქვენთან მოვეღი.

— რა გინდა?

საუბარი რამდენიმე წუთს გაგრძელდა, მოქანდაკე კარების  
მიხურვას ჩქარობდა, დრო გადიოდა.

იაკობმა ახალგაზრდა ამჭერადაც აკადემიაში დაიბარა და  
კარი მიხურა, მაგრამ მერე ერთით წუთით ჩაფიქრდა, კარი ისევ  
გამოაღო და უკან გაბრუნებულ ყმაწვილს მიაძახა:

— აქ მოდი!

ზანტად მიმავალი ახალგაზრდა თვალის დახამხამებაში ია-  
კობის წინ გაჩნდა.

— თან ხომ არ გაქვს რამე? — ჰყითხა მოქანდაკემ.

ყმაწვილმა უბის ჭიბილან კაკლის ხეზე ამოკვეთილი პატა-  
რა ბარელიეფი ამოიღო და იაკობს გადასცა.

— კარგი, წადი, ხვალ თორმეტ საათზე აკადემიაში მნახე, ეს  
ჩემთან იყოს, თან წამოვიდებ.

ყმაწვილს იმედი მიეცა და გახარებული წავიდა.

ათი-თორმეტი სანტიმეტრის ზომის კაკლის ხის ფიცარზე  
გამოსახული იყო ციცაბო კლდეზე შემდგარი ამაყი ჭიხვი, ბა-  
რელიეფის მეორე პლანზე კი კლდოვანი მთების და ცის ნაწი-  
ლი, ბარელიეფის კუთხეში ორი ასო იყო ამოკვეთილი „ი. ო.“

იაკობმა ნამუშევარი დიდხანს ათვალიერა და თქვა: — ნა-  
ხატიც კარგია და კომპოზიციაც, იგრძნობა სილრმე და ჰაერი.  
ნიჭიერი ბიჭი ყოფილაო. ბარელიეფის ავტორი, ახლა ცნობი-  
ლი მოქანდაკე, ირაკლი ოჩიაური იყო.



## აცდრო ჯანელიძე

— შენი სახელი?  
 — ანდრო.  
 — გვარი?  
 — ჯანელიძე.  
 — რომელ ფაქულტეტზე სწავლობ?  
 — ფერწერაზე.  
 — აქ ხშირად გხედავ!  
 — დიახ, ამხანაგები მყავს.  
 — ფერწერაზე არა გყავს ამხანაგები?  
 — როგორ არა!

ასეთი დიალოგი გაიმართა ერთხელ ქანდაკების კლასში შესვენებაზე შემოსულ ფერწერის ფაქულტეტის პირველი კურსის სტუდენტსა და იაკობს შორის. ამის შემდეგ იაკობი რამდენჯერმე წაწყდა ანდროს ჩვენს კლასში, მაგრამ მიუხედავად იმისა, რომ მაინცდამაინც ნებადართული არ იყო სახელოსნოდან სახელოსნოში ასე თავისუფლად სეირნობა, მოხუცი არ გაჯავრებულა და ამის შესახებ კრინტიც არ დაუძრავს.

იაკობი ავად გახდა და მთელი ორი კვირა არ დადიოდა აქადემიაში. სამაგიეროდ ანდრო მოდიოდა და ჩვენგან მოშორებით ცალკე ერთ კუთხეში მუშაობდა. მოვიდა იაკობი და ანდროც გაქრა.

— აბა, მაჩვენეთ ესკიზები. ვნახოთ, ნატურის გარდა რა  
გაქვთ გაეცებული? — იქითხა მოსულისთანავე პროფესორმა.  
ნახა ერთი, მეორე, მესამე...

— ეს ვისია? შემოხსენით ტილო!

შეხვეულს არავინ მიეკარა.

— შემოხსენით! — გაიმეორა მან.

— ჯგუფის „სტაროსტა“!

— აქ გახლავართ.

— ვისია ეს?!

„სტაროსტა“ დაიპნა.

— ეს, ბატონი, ჩეენი არაა.

— აბა ვისია, ქურდი შემოიპარა და იმუშავა?

— არა, ბატონი, აი, იმ სტუდენტისაა, აქ რომ შემოდის  
ხოლმე.

— გახსენით!

„სტაროსტამ“ ზანტად შეასრულა ბრძანება.

— ჩაჩქანიანი მეომარი ყოფილა, კარგია! მშვენიერია! შე-  
მოაბრუნეთ! კარგი ბიჭი ყოფილა! — იაკობი წავიდა, დერეფა-  
ნი გაიარა, ფერწერის კლასთან შეჩერდა, მყუდროება რომ არ  
დაერღვია, კარი ფრთხილად შეალო და იქვე მსხლომ სტუ-  
დენტს რაღაც ჩაუჩურჩულა...

ანდრო გაფითრებული გამოვიდა.

— შენ, როცა დრო გექნება, ჩვენთანაც იარე, იმუშავე-  
ვნახე, კარგია!

იმ ხანებში აქადემიას ახალი დირექტორი ჰყავდა. გაცენებ-  
სა და დაგვიანებებზე დიდი სიმკაცრე იყო შემოლებული. ან-  
დროს კი მაინცდამაინც არაფრის ეშინოდა, ყოველი ფაქულ-  
ტეტის თუ კურსის სტუდენტი მისი ახლობელი ამხანაგი იყო.  
პირველ დღესვე დაუმეობრდებოდა დიდსა თუ პატარას.

სწორედ ეს შველოდა და უურნალში არასოდეს არ ნიშნავდნენ მის არც გაცდენას და არც დაგვიანებას, თუმცა ანდრო გაცდენით არასოდეს არ აცდენდა, მაგრამ საქმე იმაში ჸყო, რომ ზოგჯერ თავის კლასში არ ჩერდებოდა. ხან ქანდაკების სახელოსნოში მუშაობდა, ხან გრაფიკის კლასში იყო, ხან არ-ქიტექტურაში ლექციას ისმენდა.

ლექტორ-მასწავლებლებიც არ უშლილნენ შემოსვლას, პირიქით, ხელს უწყობდნენ და მუშაობაში ეხმარებოდნენ; გრაფიკის პროფესორი იოსებ შარლემანი ისე აძლევდა დავალებებს, როგორც თავის სტუდენტს და ასევე ითხოვდა მისგანაც. ისიც დავალებას გულმოდგინედ ასრულებდა.

გაითქვითა ანდრო აკადემიაში; ფერწერის ფაკულტეტის სტუდენტიც იყო, ქანდაკებისაც, გრაფიკისაც, არქიტექტურისა და ქრამიკისაც.

ერთხელ იყობმა ანდრო გოგონებთან დაინახა და უსაყველურა: ღრის ნუ კარგავ, შენს საქმეს მიხედეო.

ანდროს გაელიმა და თავი იმართლა, რომ ის გოგონები მისი ამხანაგები იყვნენ და მეტი არაფერი.

გავიდა ღრი. ანდრო მეორე კურსზე გადავიდა. დაიწყო ახალი სასწავლო წელი. დირექტორი დისკიპლინის აღსაფანად რამდენიმე სტუდენტი გარიცხა. ანდრომ იმ წელსაც გაუძლო. გადავიდა მესამე კურსზე. ერთ დღეს გრაფიკის ფაკულტეტზე კალმით შესრულებული ნახატების მთელი სერია წარადგინა: ყველა განცვიფრებაში მოიყვანა, ხოლო ფაკულტეტის დეკანმა იგი კურსის სიაში ჩაწერა. მისი საყვარელი თემა იყო ძველი ქონგურებიანი ციხე-კოშები; უფსკრულები, ჩაჩქანიანი და ჯაჭვის პერანგიანი მეომრები. არანაკლებ უყვარდა ქოხმახები და სოფლის პეიზაჟები.

ანდროს ისე პქონდა შესწავლილი ძველი იარაღები და სა-

ომარი ალჭურვილობა, რომ ნახატში ვერავითარ ნაკლს ვერ მოუძებნიდა კაცი. თვით ნამუშევარი ხომ ზედმიწევნით მხატვრულად და გრაფიულად გულმოდგინებით ჰქონდა შესრულებული. ერთ დღეს ანდრომ ქანდაკებასთან მდგარი მსხვილფეხებიანი მაგიდა დაიკავა, ზედ მთელი ტონა დაზელილი თიხა დაყარა და ტილოები გადააფარა. ყველას დაგვაინტერესა, თუ რის გაკეთებას აპირებდა.

— მერე ნახავთ, ერთი რაღაც მოვიფიქრე და აუცილებლად უნდა გავაკეთო, — გვიპასუხა მან შეკითხვებზე. მეორე დღეს ჩვეულებრივად დღის პირველ საათზე, როცა ჩვენ მუშაობა დავასრულეთ და სახელოსნოდან გამოვლიოდთ, ანდრო მოვიდა, ხელში რაღაც შეხვეული ეჭირა, როგორც შემდეგ გავიგე, ჰური და ყველი ჰქონდა მოტანილი სავახშმოდ.

იმ დღეს ანდრო თავის კლასში მეცადინეობდა, დღის პირველი საათის შემდეგ კი გააცილნა ლექციებიც და სალამოს ხატვაც. მთელი ღამე ჩვენს სახელოსნოში მუშაობდა, მერე დილის ცხრა საათზე ლამენათევი თავის კლასში შევიდა. მაშინ, როცა ყველას ეძინა და სამხატვრო აქადემიაში სულიერი არ ჭაჭანებდა, ანდრო ძერწავდა თავის საყვარელ კლდოვან პეიზაჟს, ციხე-კოშკებს. მას გამოეძერწა კლდის ციცაბო უფსკრულები, უფსკრულების სიმალლეებზე ქონგურებიანი ციხე-კოშკები.

დილით ანდრო შევიდა თუ არა თავის კლასში, ფუნჯი მოიმარჯვა და წინა დღით დაწყებული, ფერად ტანსაცმელში გამოწყობილი ბოშა ქალის ფიგურის წერა განავრძო.

ანდროს ნაძერწი სეელი ტილოებით იყო დაფარული, დროდადრო შემოდიოდა და მუშაობდა, როცა სულ დაამთავრა, მერე შიგნითა სიღრმეების გამოლება დაიწყო. გამოჰქონ-  
38

და თიხა — საიდუმლო გასასკლელებს არ ივიწყებდა, საპა-  
ეროებს უტოვებდა და როცა იაკობი მოვიდა, ანდროშ  
უთხრა: — ბატონო იაკობ, რაღაც მინდა გაჩვენოთო. იაკობი იაკობ  
მენენებული იდგა ნამუშევრების წინ, ასე ვიღექით ჩვენც,  
სტუდენტები.

ანდროს გამოქვაბულებში ქალალდები შეეწყო და ყველა-  
ფერი მზად ჰქონდა, საჭირო იყო ასანთი. მხატვარმა ბევრი  
ალარ დააყოვნა, ერთ-ერთ გვირაბში შეგროვილ ქალალდებს  
ციცხლი წაუკიდა. გამოცოცხლდა ციხე-ქალაქი, მოვიდა ბო-  
ლი, გამოანათეს სარკმელებმა, ლამაზი სანახაობა იყო.

— შენ მხატვარი ხარ, ნამდვილი მხატვარი! — უთხრა ია-  
კობმა ანდროს და თან თვალს არ აშორებდა გაცოცხლებულ  
ძველ ციხე-ქალაქს.

გავიდა დრო. გაცდენა-დაგვიანებისათვის როგორც სხვას,  
ისე ანდროს სტიპენდია მოუხსნეს. ცუდ დღეში ჩავარდა ბიჭი-  
რა ექნა, არ იცოდა.

ერთ დილას მივეღით თუ არა აყადემიაში, მთავარ შესას-  
ვლელთან, მირონის დისკოს მტყორცნელის ქანდაკების ხის  
შავ კვარცხლბეჭერე ლამაზი გრაფიკული ასოებით ეწერა: „ამ  
ლოდის ქვეშ განისვენებს უსტიპენდიო სტუდენტი ანდრო  
ივანეს ძე განელიძე“. აწ განსვენებულმა პროფესორმა ლან-  
სერემ ამ წარწერაზე თქვა „Жалко!“, „მხატვარია!“ — თქვა  
იაკობმა; „აფსუსია!“ — თქვა ლალო გუდიაშვილმა.

დადგა განკითხვის დღე. სტუდენტთა და პროფესორ-მას-  
ტავლებელთა გაერთიანებულ კრებაზე გასარიცხ სტუდენ-  
ტთა სია წაიკითხეს. სიაში ანდროც იყო. დირექტორმა დაასა-  
ბუთა მათი გარიცხვის აუცილებლობა.

იაკობმა სიტყვა ითხოვა, ტრიბუნაზე ავიდა და თქვა, რომ

იგი, რასაკვირველია, მქაცრი დისციპლინის მომხრეა. საღამოს  
ნატურა დილის მუშაობაში გვეხმარება, სტუდენტთა უნდა  
იცოდეს იდამიანის ანატომია, ახსოვდეს, რომ იგზ ხილამზეს  
ემსახურება.

კრების თავმჯდომარებ ზარი დარეკა. იაკობს შეახსენა,  
რომ საუბარი ეხება გასარიცხ სტუდენტებს. იაკობი დიდი  
მოლაპარაკე არ იყო და თავმჯდომარის რეპლიკამ ცოტა არ  
იყოს დააბინა.

დარბაზში რამდენიმე წუთით სიჩუმე ჩამოვარდა. შემდეგ  
იაკობმა ლაპარაკი განაგრძო გასარიცხ სტუდენტებზე. მან იქ  
მსხდომმა შეახსენა, თუ რა წააწერა ანდრო ჭანელიძემ აკადე-  
მიის შესასვლელში მდგომი მიზრონის კვარცხლბექს. იაკობმა  
მიმრთა დირექციის, რომელმაც მას მოუხსნა სტიპენდია, ახლა  
კი გარიცხვით ემუქრება. ეს კი დიდი დანაშაული იყო იაკობის  
აზრით, რადგან ანდრო მას მხატვრად მიაჩნდა. ასეთი სტუ-  
დენტი კი უნდა გაზარდონ და შეინარჩუნონ. მართალია, სტუ-  
დენტმა არ უნდა გააცდინოს, არ უნდა დაიგვიანოს, მაგრამ ჭა-  
ნელიძე ხომ არასოდეს იგვიანებს, დილიდან საღამომდე აკადე-  
მიაშია, თუ ფერწერაზე არ არის, ქანდაკებაზეა. თუ ქანდაკე-  
ბაზე არ არის, გრაფიკაზეა, ბევრს მუშაობს. დილით ზოგჯერ  
უძინარი მოდის, ალბათ, კითხვაში ატარებს მთელ ღამეს, ის  
ნამდვილი მხატვარია. იაკობმა კრებას შინადადება. მისცა,  
რომ ასეთი სტუდენტი არა თუ უნდა გაირიცხოს, არამედ უნ-  
და აღიდგინონ სტიპენდია.

ანდროს სტიპენდია აღუდგინეს და ასე ამგვარად მან მიაღ-  
წია უკანასკნელ კურსამდე.

ესპანეთში ომი დაიწყო, გაზეთები ყოველდღე ჩრტობი-  
ნებოდნენ ახალ ამბებს: — „მაღრიდი ცეცხლის ალში!“. „მაღ-  
რიდი იწვის..“ „ქალაქი-კურორტი ბარსელონა დაბომბდა!“,  
„გასპანელი ლტოლვილები ჩვენში!..“

აბისინიას იტალიელები დაესხნენ. მეცე ნეგუსი განრიბ-  
ხდა, ფრანგებისგან ოთხლულიანი ტყვიაშფრქვევი და ტანკ-  
საწინააღმდეგო ქვემეხი შეიძინა, თავის სასახლის წინ გვმოჲ-  
ავორა და ნიშანში სროლა დაიწყო.

სწორედ ამ დროს დაამთავრა ანდრომ სამხატვრო აკადემია.  
ქუთაისში დაბრუნდა, სადიპლომო ნახატისათვის მამის ნაყიდა  
დიდი ტილო გადაჭიმა და სურათი „ბარიკადები მადრიდში“  
მოხაზა. კასრები, სილიანი ტომრები, მოლრეცილი გაზის ნათუ-  
რა, თავშეხვეული მეომარი, შორს სარეკლამო სვეტი, წინ ბა-  
რიკადებზე ჩასაფრებული რესპუბლიკელები. სურათი დამ-  
თავრებული არ იყო, ანდრო რომ ავად გახდა და სულ რამდე-  
ნიმე დღეში დალია სული. ეს ამბავი იაკობს გაუგია, ძალიან  
სწყენია და იმავე დღეს აკადემიის დირექციაში წერილობითი  
წინადადება შეუტანია, კარგი იქნება, თუ აკადემიის დირექ-  
ცია წესალ შემოილებს და წელიწალში ერთხელ აღრე დაღუ-  
პული მხატვრების მოსავონარ სალამოს ჩატარებისო.

## ნათ ლ ი ა

თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის იაკობს პროფესორ პეტრე მელიქიშვილის მარმარილოს პორტრეტი შეუკვეთა. მოქანდაკეს საქმე არ დაუყოვნებია, მაშინვე მოწვია ქეის ოსტატი ლავრენტი ალლაძე, თაროდან ჩამოილო განსვენებულის სიცოცხლეშივე ნატურიდან შესრულებული თაბაშირის მოდელი. მარმარილოს ნაქერი შემოაგორა და მუშაობა დაიწყო. ლავრენტიმ გულიანად მოჰკიდა ხელი საქმეს, დილიდან საღამომდე მუშაობდა და დანიშნულ დროს დამთავრა სამუშაო.

ამის შემდეგ აეტორზე მიღვა ჯერი.

იაკობმა რამდენიმე დღე იმუშავა გამოითლილ მარმარილოზე. მარჯვე ხელმა და დაკბილულმა საჭრისებმა ქვას სული ჩაუდგეს. ქანდაკება უნივერსიტეტის მთავარი შესასვლელის წინ სკეკვერში დაიღვა.

არ გასულა დიდი დრო და ახლა სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტმა სთხოვა მოქანდაკეს, შენობის წინ დასადგმელად ხელმეორედ შეესრულებინა იგივე პორტრეტი.

ამ ნამუშევრის შესრულება იაკობმა მე მომანდო. თაბაშირის მოდელზე ფანქრით აღნიშნული წერტილები მოვწმინდე. მარმარილოს შედარებით უფრო მომცრო ნაქერი შემოვაგორე და მუშაობას შევუდექი.

მთელი ზაფხული კმუშაობდი, იაკობი ცოლ-შეილით კინისძირში ისვენებდა. კვარცხლბეჭის საქმე დიდხანს გატაცნურდა, მეორე წლის ივნისის დასაწყისში ბიუსტი დავდგია დევლი საზეიმო ვითარებაში გახსნეს კმაყოფილმა პლამკვეთისა და ლებმა. იაკობს პონორარის გარდა ორმოცი ლიტრა ფრანგული ლვინო „ალიგოტე“ უფეშქაშეს (სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტის მეღვინეობის ფაფულტეტს უცხოეთის ლვინოები ანალიზებისათვის ჰქონდა შენახული).

იმ დღეს ჩვენ რაღაც მძიმე სამუშაო გვქონდა, დავიღალეთ.

მზის ჩასვლისას ბალში გამოვედით, გრანიტის ქვის მრგვალ მაგიდას მოვუსხედით და ვახშობას ვაპირებდით, რომ ამ დროს მხატვარი ლანსერე გვესტუმრა.

კარგად მახსოვს ევგენის წვრილი ხმა, მუდამ ხალისიანი და ცოცხალი სახე.

— კარგ დროს მობრძანდით, ევგენი ევგენის ძევ, — მიმართა იაკობმა, — დღეს ჩვენ დავლევთ თქვენი ქვეყნის ლვინოს, ნამდვილ ფრანგულ „ალიგოტეს“.

იაკობმა ევგენის აუხსნა, თუ საიდან და როგორ მიიღო ეს ლვინო მან. ღია ქარვისფერი ანკარა ლვინო მაღალ ჭიქებში დასხა და ის-ის იყო უნდა გაგვესინჯა, რომ ჭიშკარზე დააბრახუნეს.

ფოსტალიონშა ჩემს სახელზე გამოგზავნილი დეპეშა გადმომცა და წავიდა.

— ხომ კარგი ამბავია? — მეითხა იაკობმა და ლვინის გასასიჯად მიტანილი ჭიქა მაგიდაზე დადგა.

— კარგი ამბავია, პატონო იაკობ, — ვუთხარი და დეპეშის ფურცელი გადაუეცი.

იაკობმა სათვალე ამოილო, ქალალდს დახედა, კასცრზე ხელი მომხვია და მაკოცა.

განცემითურებული ევგენი უხმოდ იჯდა, არ იცოდა, რაში იყო საქმე.

— აი, ეს მესმის, — თქვა იაკობმა და ლანსერეს მიმართა; — კარგი შემთხვევა გვაქვს; აი, ჩემს მოწაფეს ვაუი შეეძინა, ავიღოთ ჭიქები და პირველი სადღეგრძელო ჩვენ დავლიოთ, გაზრდა და ჯანმრთელობა ვუსურვოთ.

ლანსერემ ხელი ჩამომართვა და მითხრა:

— კარგია, ღმერთს ვთხოვ ბედნიერი ყოფილიყოს. მე რომ ასეთი ბედნიერება მქონოდა, ვაუი გამჩენოდა, მას ადარნასეს დავარქმევდი. ადარნასე ხომ მხატვარი იყო. ვისურვებდი თქვენი ვაუი მხატვარი გამოსულიყოს, მაღლიანი ნიჭით დაგილდოებული.

ცოტა შევიჭმუხნე, სახელი არ მომეწონა. იაკობმა შეაჩერა ევგენი და თქვა:

— ევგენი ევგენის ძევ! მოდი სურვილები გავიყოთ, თქვენ უსურვეთ, რომ ახლადშობილი მხატვარი გამოვიდეს, სახელს კი მე დავარქმევ; მე რომ ვაუი მყოლოდა, აუცილებლად გივის დავარქმევდი. ეს სახელი მიყვარს და თან არც ისე გავრცელებულია, ამის გარდა, დავუმატებ, რომ თქვენი სურვილები გამართლებულიყოს.

იაკობმა და ევგენიმ ჭიქები მომიქახუნეს, ფეხზე ავდეჭი, მაღლიობა გადავიხადე და ასე ამგვარად მოვნათლეთ, ახალშობილი.

იმ საღამოს მე თბილისიდან ქუთაისში წავედი, ნაფლობის ამბავი წავიღე და რამდენიმე დღის შემდეგ როცა უკან დაბრუნდი, იაკობს ვახარე, თქვენი აჩჩეული სახელი დავარქვი-მეთქი.

## დიდი ორპესტრი

ეს იყო თითქმის ორმოცი წლის წინათ. ეროვნულ გალერეაში დიდი გამოფენა გაიმართა, მარცხენა მხარე ქანდაკებას და ფერწერას ეკავა, მარჯვენა — ხუროთმოძღვრებას.

გალერეის კარი დილით იღებოდა და გვიან ლამით იხურებოდა. ხალხით სავსე საგამოფენო დარბაზებში რა არ იყო წარმოდგენილი: თბილისის კორპუსები, ცალკე მოედნები, სკერტები, გზაჯვარედინები და სხვა. მარცხენა დარბაზი უფროს თაობას ეკავა. აქ იყო გიგო გაბაშვილი, იაკობ ნიკოლაძე, ალექსანდრე მრევლიშვილი, მოსე თოიძე და ევგენი ლანსერე.

ღრმ გადიოდა... გამოფენის დახურვას ცხარე დისპუტი უნდა მოჰყოლოდა, დიდი და პატარა მზად იყო ამ დღისათვის. იაკობ ნიკოლაძემ მოამზადა ვრცელი მოხსენება „რეალისტური ქანდაკების საფუძვლები“.

ოსტატი მოხსენებას შორიდან იწყებდა. აღორძინების ხანის რამდენიმე დიდოსტატის შემდეგ დიდ ადგილს ოგიუსტ როდენს უთმობდა. აქ იაკობი განსაკუთრებით ხასის უსვამდა და ასაბუთებდა იმ აზრს, რომ ხელოვნების სხვა დარგებს შორის ქანდაკება არის აღამიანის ხასიათის გადმოცემის ყველაზე უფრო ძლიერი საშუალებაო. იაკობს არ დავიწყებია ისიც, რომ როდენს, როგორც აღამიანის ბუნების, აზრის და ხასიათის გადმოცემის ღიღოსტატს, ფსიქოლოგიის დოქტორის ორდენი გადასცეს თავის სამშობლოშ-

ოსტატი მოხსენებისათვის მზად იყო: ორად მოკეცილი  
დიდი რევული ჭიბით დაჭრონდა, დანიშნული დღის მოსვლის  
ელოდა. ნერვიულობდა. ეს დღეც დადგა, დისპუტი დღის  
ოთხი საათისათვის იყო დანიშნული. ნახევარი საათით ადრე  
კი ცა მოილუშა, ატყდა ჰექა-ქუხილი. თქეში შვიმა წამოვიდა.  
მთაშმინდიდან მოვარდნილმა ნიაღვარმა რუსთაველის გაძირ-  
რი დაფარა, ამის გამო დისპუტი მოგვიანებით დაიწყო. პირ-  
ველმა მომხსენებელმა ორ საათზე მეტი ილაპარაკა, ანალ-  
გაზრდა არქიტექტორები ცამდე აიყვანა. ცალ-ცალკე გაარჩია  
პროექტები და როცა საერთოდ არქიტექტორის პრინციპებ-  
ზე დაიწყო ლაპარაკი — მაგალითისათვის სხვა ქვეყნების ხუ-  
როთმოძღვრულ ანსამბლებს შეეხო. აღნიშნა, რომ არქიტექ-  
ტორა არის ყოვლისშემცველი ხელოვნება. ის განავებს ყო-  
ველ მოედანს თუ გზაჯვარედინსო. მომხსენებელმა ხაზი გაუს-  
ვა იმ გარემოებას, რომ ქანდაკება, როგორც ცალკე ხელოვ-  
ნება, არ არსებობს. ქანდაკება ხუროთმოძღვრების ერთი მცი-  
რე ნაწილია.

ამ დროს იაკობი შუა რიგებში იჯდა, ხელში დაკეცილი  
ქოლგა ეჭირა, ნერვიულობდა. გვერდში მსხდომთ ეჩხუბებო-  
და და ბოლოს, როცა მომხსენებელმა თქვა, ქანდაკება, რო-  
გორც ცალკე ხელოვნება, არ არსებობსო, ხმამაღლა დაიყვი-  
რა — სიცრუეაო.

ამის შემდეგ იაკობმა კიდევ რამდენჯერ წამოიყენა. ზა-  
რის ხმაც რამდენჯერმე გაისმა და მოხუცი ჩააჩუმეს.

აღელვებული იაკობი წინა რიგებში გადაჭდა, შემდეგ ფეხ-  
ზე წამოვარდა, ვიღაცას წაულაპარაკა, გრძელ ქოლგს ცხვირ-  
წინ უტრიალებდა, ცოტა აკლდა, რომ თავშე გადაეშრორა.

— თქვენ იცით როდენის „ჰიუგო“? იცით „ბალზაკი“ ან

„კალეს მოქალაქენი?“ იცით რომელ არქიტექტურას ეკუთვნიან ისინი? რას ბოდავთ! მე თქვენ გაჩვენებთ!.. — ყვითოდა იაკობი და ქოლგას მაგილაზე აბრახუნებდა.

სიტყვა მოხსენებისათვის იაკობს მისცეს და ჩოჩქოლიც შეწყდა.

იაკობს წარბებქვეშა ღრმა, ჩაშავებულ ორმოებში ალმასის თვალები უბზინავდა, სახე ჩაყვითლებული და გამხდარი ჰქონდა.

აუდიტორია გაინაპა, მოხუცი ერთხანს საკუთარი თავის დაწყნარებას მოუნდა, შემდეგ გულის ჭიბილან ორად დაკეცილი რვეული ამოიღო, სათვალე მოიმარჯვა, აუდიტორის გადახედა, მერე მთავარ მომხსენებელს შეუბლვირა, რვეულის პირველ სტრიქონებს გადაავლო თვალი და გადაწყვიტა, რომ ზეპირად ელაპარაკა. მომხსენებელმა თავი მაღლა ასწია, სათვალე მოიხსნა, და დაიწყო: — ხელოვნება — ეს არის დიდი ორკესტრი, აღამიანი ყურით ისმენს, თვალით უცერის, უკელაფერი ეს მას სიამოვნებას ანიჭებს და აღაფრთოვანებს, მაგრამ საქმე იმაშია, ვინ რას უკრავს. თქვენ, არქიტექტორები, ამ ორკესტრში ხართ, რასაკვირეულია, ხართ, და დიდ ბარაბანზე უკრავთ, მოხუცმა ხელი მრავალსართულიანი შენობის პროექტისაკენ გაიშვირა, და თან დააყოლა — ჩვენ კი ვიოლინოს ვუკრავთ აი ასე, — მოქანდაკემ ვიოლინოს დამკვრელის მოძრაობა შეასრულა. გაისმა ტაში და შეძაბილები: ბრავო! ბრავო, იაკობ! გაუმარჯოს ვიოლინოს!

მოხუცს სახე გაუბრწყინდა, თავი გამარჯვებულად იგრძნო. ერთი წუთით შეჩერდა, ახმაურებულ აუდიტორის გადახედა, რვეული ჭიბეში ჩაიღო და კათედრიდან ჩამოვიდა.

## მათრახის ტარი

უნივერსიტეტის მიღამოებში გრძელებული წაბლისფერი ცხენით დაღიოდა სანოვაგის გამყიდველი წყნეთელი შუახის გლეხი.

ეს გამყიდველი სხევებს არ ჰგავდა.

მას თან ჰქონდა ყველაფერი, რაც ოჯახს ყოველდღიურად სკირდება: რძე, მაჭონი, ხორცი, ცოცხალი ვარიები და ზოგჯერ შაშხიც.

გაორნებისას ხურჯინებგადაკიდებული ცხენით, რომელზედაც ის არასოდეს არ ჭდებოდა, ხან ერთ ოჯახს მიადგებოდა, ხან მეორეს.

სანოვაგეს ზოგან ნისიად ტოვებდა, ზოგანაც ნაღლზე ჰყიდდა.

ცხენი მიჩვეული იყო ქალაქის ხმაურს. არაფერი უკვირდა, არაფრის ეშინოდა. თუ სადმე შესაფერის ადგილს ნახავდა, გლეხი უბრალოდ მიაბამდა ცხენს და მარტო ტოვებდა. ისიც პატრონის მოლოდინში ფეხს არ იცვლიდა.

ეს გლეხი ერთგვარი დარღიმანდული, ვაჟკაცური ხასიათის იყო, ყველას ენდობოდა, ყველას თავაზიანად ესალმებოდა და ამის გამო ყველას შინაურად მიაჩნდა. თვითონაც თავის მუშტარს კარგად იცნობდა და მათი ავანჩავანიც იცოდა.

იაკობ ნიკოლაძის სახელოსნოს კვირაში ორჯერ თუ არა,

ერთხელ მაინც მიაკითხავდა, ზარის ღილს თითოთ შეეხებოდა  
და დაიწყებდა ლოდინს, თუ ამით არაფერი გამოვიდოდა, მე-  
რე მათრახის ტარით დაუკაკუნებდა.

— ძიავაცი შინ არის? — შეეკითხებოდა მას, ვინც გამოხე-  
დავდა. თუ თვით იაკობი გამოჩნდებოდა, ასე მიმართავდა:

— ძიავაცო, კარგი ხორცი მაქვს, სუკის ნაჭერია, კარგი  
ყველიცა მაქვს, მსუქანი ვარიებიცა მყავს.

— აბა, მაჩვენე, შენი რამე-რუმეებიო, — ეტყოდა იაკო-  
ბი.

გლეხი იქვე ელექტრონის ბოძზე მიბმულ ცხენთან მივი-  
ლოდა და ჩამოთვლილ სანოვაგეს ამოალაგებდა.

— აიღე, რომელიც გინდა, ფული თუ არა გაქვს, ჩემი თა-  
ვი შენ გენაცვალოს!

— კარგი, ამას ავიღებ, — ეტყოდა ბოლოს იაკობი და თან  
ჰაუმატებდა: — ფარა მერე.

— კარგად იყავი, ძიაჭან, შაქრად შეგერგოს! — იტყოდა  
კლეხი და თან დაუმატებდა, შენზე, ხომ იცი, კიდევ არის ცო-  
ტია რამეო.

ერთხელ ასეთ სურათს წავაწყდი: ის გლეხი და იაკობი  
სახელოსნოში რბილ სავარძელში ისხდნენ, ცხენი ჩვეულებ-  
რივად გარეთ ბოძზე იყო მიბმული.

— ჰაა!.. გაბედე და მომყიდე! — ეუბნებოდა იაკობი  
კლეხს და თან მისი მსხვილი, მოკლეტარიანი მათრახი ეჭირა  
ხელში. მათრახის ტარზე ამოკვეთილი წვრილი და სეგმენტე-  
ბად დაყოფილი სხვადასხვაგვარი ორნამენტი ნამდვილი ხალ-  
ხური კვეთილობის ნიმუში იყო.

— ტარი მომყიდე, შოლტი კი შენ გქონდეს, სხვა ტარზე  
დააგვი.

იაკობს იმ მათრახის ტარი კოლექციისათვის უნდოდა, მას

ზალხური შემოქმედების ნიმუში ბევრი პქონდა და ყოველი  
ახალი ექსპონატის შეძენა დიდ სიხარულს ანიჭებდა.

— ძიაკაცო, ვერ მოგყიდი, ეგ პაპიჩემისეულია, მერე მომა  
ჩემმა ორარა, ახლა მე ვატარებ, ჩემს შვილს ვერ გადავიდე  
ვაკი არა მყავს, მერმისს კი ჩემს შვილიშვილს უნდა დავუ-  
ლოცო, ვერ მოგყიდი, არ შემიძლია; რომ მოგყიდო, ძიაჭან,  
მერე გულით ნალველი უნდა ვატარო. არა, გენაცვა, ვერ მოგ-  
ყიდი! — იაკობს მათრახი გამოართვა და წავიდა.

რამდენიმე დღის შემდეგ იაკობმა კიდევ შემოიპატია სა-  
ხელოსნოში წყნეთელი და უთხრა:

— მათრახს არ ჰყიდი?

— არა!

— აბა, გამიცვალე რამეში და ნაცვლად პაპიშენისეული  
მათრახისა, მის სამახსოვროდ სხვა უკეთესი ნივთი აიღე.

— ძიაკაცო, რას ჩამაცივდი, მათრახს არცა ვყიდი, არცა  
ვცვლი.

იაკობი მაინც არ მოეშვა და კარგა მოზრდილ სარკეზე მი-  
უთითა, რომელიც სახელოსნოში ორი ათეული წლის შინილ-  
ზე ერთსა და იმავე აღგილზე ეკიდა.

— იი, ამ სარკეში გამიცვალე, ხომ ხედავ შენი მათრახი  
მად არ ღირს.

გლეხმა ამაზედაც უარი უთხრა და თან დააყოლა, რომ  
სარკე, სურათი და ასეთი რამეები მაინცდამაინც არ მიყ-  
ვარსო.

ამითაც არაფერი გამოვიდა, მერე მოქანდაკემ ახალ ხერხს  
მიმართა. სავარძლიდან წამოდგა, სახელოსნოში გავიდა დი  
გლეხს უთხრა;

— აქ მოდი, ერთი რაღაც უნდა გაჩვენო.

გლეხი ზანტად ადგა, ეგონა ოსტატი ახლა სხვა რაღაც  
ნივთს შესთავაზებდა, მაგრამ ეს ასე არ მოხდა.

შეა სახელოსნოში მარმარილოში პროფესორ მელიქიშვილის თითქმის დამთავრებული პორტრეტი იდგა. იაკობმა მიიყვანა გლეხი ქანდაკებასთან და შეეკითხა:  
— ვინ არის ეს?

გლეხმა ბიუსტს ახედ-დახედა, გარშემო შემოუარა, ცოტა ხანს ხმაამოულებლად იდგა და ბოლოს თქვა:  
— ეს ხომ პროფესორია.

— ჰო, პროფესორი მელიქიშვილი.

— მოკვდა?

— ჰო, მეორე წელია, რაც გარდაიცვალა.

— აյი მიტომაც კარგა ხანია არ დამინახავს...

მოქანდაკე ქმაყოფილი იყო წამოწყებული საუბროთ, ჩერკიდევ დაუმთავრებელი ნაწილმოები პირველმა მნახველმა იცნო და შეიგრძნო.

გახალისებული იაკობი ხელახლა მიუბრუნდა გლეხს.

— ხედავ როგორი ნამუშევარია? აი ასე გაგაკეთებ შენც.

გლეხს გაელიმა და მაშინვე დაუფიქრებლად უპასუხა:

— მერე და რომელი პროფესორი მე ვარ?!

— მარტო პროფესორებს კი არ ვაქანდაკებ, მე ყველაზე ვაქანდაკებ, ვინც უნდა იყოს ის, თუკი მე მინდა...

— ეგ ყველაფერი კარგია, მაგრამ აյი გითხარი, რომა მათ-რახის ტარს ვერ შეველევი; მეორეც, სურათები, სარკე და ასეთი რამეები არ მიყვარს-მეთქი.

გავიდა რამდენიმე თვე, იაკობის საწერ მაგიდაზე იმ მათ-რახის ტარი დავინახე.

— ეს როგორ მოხდა, მოგვიდათ? — შევეჯითხე მე.

— არა! — მიპასუხა მან და მცირე ფიქრის შემდეგ განაგრძო:

— საოცარი ამბავი მოხდა, ამ ათი-თხუთმეტი დღის წინ, ერთ კვირა დღეს ის გლეხი ჩემთან მოვიდა, გასაყიდი არა ფერი ჰქონდა, სუფთად და ლამაზად იყო ჩაცმული, არც ცხენი ჰყავდა თან.

მოვიდა და ასე მითხრა:

— ძიაკაცო, დღეს ქალაქად წამოვედი, შვილიშვილებს რა-მეები უნდა ვუყიდო, მანამდე კი ვიფიქრე და გადავწყვიტე, პაპიჩემისეული მათრახის ტარი თქვენ საჩუქრად მოგაროვათო. — მე თვალები გამიბრწყინდა, სიხარულით არ ვიცოდი რა მექნა.

— მოგცემ, ძიაკაცო, მოგცემ, მხოლოდ ერთი პირობით, მათრახის ტარი არავის მისცე, არ დაკარგო და წელიშადში ერთხელ მაინც უნდა მაჩვენოო.

მე, რასაკვირველია, გლეხს დიდი მაღლობა გადავუხადე და პირობის შესრულებაც აღვუთქვი.

ბოლოს წყნეთელმა უბიდან მათრახის ტარი ამოიღო, ტუ-ჩებთან მიიტანა, აკოცა და გადმომცა.

## ჟვავილების დედოფალი

იაკობ ნიკოლაძე და ყვავილების მამა—მიხეილ მამულაშვილი დამეგობრდნენ.

იმ დღიდან იაკობის სახლისწინა პატარა ბალი საცდელ ნაკვეთად გადაიქცა.

მიხეილმა მოქანდაკეს სხვა ჩვეულებრივი ყვავილების გარდა ტროპიკული კაქტუსები გაუშენა, მათი მოვლა-პატრონობა ასწავლა და როცა დარწმუნდა, რომ ხელოვანი საქმეს გულმოდვინედ ეკიდებოდა, მცენარეებისადმი დიდ სიყვარულს იჩინდა და არც თუ ისე უცოდინარი იყო ამ საქმეში, ნაშვილები ბალი ჩაუტოვა მას და დიდხანს აღარ გამოჩენილა. კაქტუსები ზოგი ეკლიანი იყო, ზოგი დაკოფრილი და მიწაზე განრთხმული, ზოგი უსწორმასწორო მოზრდილ კარტოფილს ჰეგვდა, ზოგი რაღაც ფანტასტიკურ ცხოველს, ზოგი რას და ზოგი რას.

ერთხელ მიხეილმა იაკობთან ზურგჩანთით მსხვილფორებიანი ქვის მოზრდილი ნატეხები მოიტანა, მცენარეებს შორის ჩაალაგა და თქვა: — ტროპიკული მცენარისათვის მზე იგივეა, რაც თევზისათვის წყალი, მაგრამ არც სინესტეზე ამბობენ უარს, ნასკრეტებიანი ქვები კაქტუსების მეგობრები არიანო. დღისით, ცხელი მზისგან გახურებული ქვები, სითბოს ღამისათვის ინახავენ. იქ, ტროპიკებში, მზის ჩასვლისთანავე უეცრად აციცლება ხოლმე, მაშინ მცივანა კაქტუსები სითბოს

ქვებისაგან იღებენო. როცა სინესტის ზედმეტობაა, მაშინ კა  
პირიქით, მცენარეები გამომშრალ ქვებს აწვდიან წყალს,  
ისინიც გულმოლგინედ ინახავენ მას და საჭიროების დროს უფრო  
რუნებენ.

ამის შემდეგ მიხეილმა კიდევ რამდენიმე მითითება მისცა  
იაკობს, ზურგჩანთა დაქცა, შეახვია და წავიდა.

გატაცებული იაკობი თავისუფალ დროს წიგნებსა და ენ-  
ციკლოპედიების ტომებში ეძებდა მისთვის საჭირო ყვავილე-  
ბის შესახებ ცნობებს, იწერდა მათ ლათინურ სახელწოდებებს,  
არკვევდა ქართულ შესატყვისებს და აღგენდა სახელობით  
სიებს, ასე რომ, მისი უბის წიგნავი ყვავილების კატალოგად  
იყო გადაქცეული. იაკობს უყვარდა ყვავილების მაღაზიაში  
შესვლა, მეყვავილეებთან საუბარი.

— რა ჰქვია ამ ყვავილს? — ჰკითხავდა ზოგჯერ ის გამყიდ-  
ველებს. თუ ყვავილის სახელს სწორად დაუსახელებდნენ,  
იაკობი მათ შეაქებდა, თუ არა და არცოდნას უსაყვედურებ-  
და და ბოლოს თვითონ დაუსახელებდა ყვავილის როგორც  
ქართულ, ისე ლათინურ სახელს.

იყო შემთხვევა, როცა ყვავილის სახელი არც ერთმა იცო-  
და და არც მეორემ. მაშინ მცენარეს კარგად დაათვალიერებ-  
და, მის აღნაგობას დამახასოვრებდა, შინ მისვლისას წიგნში  
ნახავდა. მეორე დღეს, აყადემიაში წასელის წინ, ან იქიდან დაბ-  
რუნებისას გაივლიდა საყვავილეში და გამყიდველს აღმოჩე-  
ნას ახარებდა. თითქმის ყოველი მეყვავილე იცნობდა იაკობს  
ისე, როგორც მიხეილ მამულაშვილს, კარგ მებალედ მიაჩ-  
ნდათ და ამის გამოც დიდ პატივს სცემდნენ მას.

ერთხანს მიხეილი დაიკარგა. იაკობი ამ ამბავმა მეტად შე-  
აწუხა და ხშირად ეკითხებოდა ხან მეუღლეს, ხან ქალიშვი-  
ლებს და ხან მე, მიხეილი ხომ არ გამოჩენილაო. მიხეილი კი  
არსად ჩანდა, არაფერი ისმოდა მის შესახებ.

ერთხელ შეადლისას იაკობი ახლად დაბრუნებული იყო აკადემიიდან, ის იყო სააპაზანოში შევიდა, რომ უცნობის ახალგაზრდამ სამკუთხა წერილი მოიტანა. ზედ ეწერა: „რო-დენის ქუჩა № 6, ან იაკობ ნიკოლაძის № 18. იაკობ ნიკოლა-ძეს მიხეილისაგან.“ მოხუცს მიხეილის წერილის მიღება გაუ-ხარდა და მთხოვა ხმამაღლა წამეკითხა.

მიხეილი იწერებოდა:

„ჩემო იაკობ, ყვავილების დედოფალი ამაღამ გაიშლება, დღეს დილას კუკურო გამოისხა, მზის ჩასვლამდე უნდა მოხ-ვიდე, თან რამდენიმე სანთელი წამოიდე, უთუოდ მთელი ღა-მის გათევა მოგვიხდება, მეეტლეს მოურიგდით, აქ, ორთაჭა-ლაში ტრანსპორტის შოვნა ჭირს, მზის ჩასვლამდე გელოდე-ბით, მე რამდენიმე დღე უქეიფოდ ვიყავი. თქვენი მიხეილი.“

იაკობი სასწრაფოდ ამოვიდა აბაზანიდან, ტანზე ჩაიცა, წავიდა, ეტლი მოიყვანა და თან ერთი შეკვრა კარტოფილის სანთელი მოიტანა.

დღის ოთხ საათზე იაკობი და მისი მეუღლე ორთაჭალისა-კენ გაუდგნენ. მე შინ დავრჩი.

ისინი მეორე დღეს დილით დაბრუნდნენ.

იმ დღეს მოხუცი აკადემიაში ვერ წავიდა, თავს ძლივს ითარებდა, თვალები ეხუჭებოდა.

სადილობის შემდეგ, როცა იაკობი ჩეეულებრივად სახე-ლოსნოში შემოვიდა, ვკითხე:

— როგორ ისიამოვნეთ, ბატონო იაკობ?

— ვისიამოვნე? ვისიამოვნე კი არა — სამოთხეში ვიყავით, რა ვნახეთ, ეს რა სილამაზე ვნახეთ. როგორი ყოფილა ეს დე-დოფალი, ბევრჯერ წამიკითხავს მის შესახებ, მაგრამ არ მი-ნახავს, ან როგორ უნდა მენახა. მცენარე სიცოცხლეში მხო-ლოდ ერთხელ ჰყვავის, ერთ ჰყავილს ისხამს და ისიც ღამით.

ერთ რომელიმე დილას გამოისხამს კოქორს თა ჰემპტე  
შესამჩნევად იწყებს ზრდას, შენს თვალწინ იზრდება, ამჩნევ,  
როგორ დიდდება ჩიტის კვერცხის ოდენა კოკორა; სადაც დამზადებ  
და ყმაწევილის მუჭისოდენა გახდება.

თესლი თესლი

მზის ჩასვლისას ზრდა შეჩერდება. შებინდდება თუ არა.  
კოქორს ოთხ მხარეს ბზარები გაუკეთდება, ლეროს და ფოთ-  
ლებს სიმწვანე მოაკლდებათ, მცენარე მთლიანად გაფერ-  
მცრთალდება, სუსტი ღერო უფრო დასუსტდება და მძინე  
კოქორის დაჭრა გაუჭირდება.

— რა ჰქვია ამ ყვავილს? — შევეკითხე მე.

იაკობმა ყვავილის ლათინური ორსიტყვიანი სახელი დამი-  
სახელა და თან მითხრა, რომ სიტყვასიტყვით ყვავილების დე-  
დოფალს ნიშნავსო. — სამოთხეში ვიყავი, ნამდვილ სამოთხე-  
ში, — განაგრძო მან, — ჯერ ბალი როგორი აქვს მიხეილს, რა  
ყვავილებია, რა სილამაზეა! როგორ არის მორთული ყვი-  
ლაფერი. ჯერ უბრალო ღობეზე შემოვლებული გრამატონის  
მსგავსი ყვავილები რად ღირს, ფოთლები ლობის უგავს;  
თვით ყვავილები ხომ ნამდვილი გრამატონებია; ზოგი თეთრია,  
ზოგი იისფერი, ზოგი — ცისფერი. თითოეული ყვავილი სიმეტ-  
რიული ფერადი ზოლებით არის დახატული, ცისფერს თეთრი  
ზოლები აქვს, თეთრს მწვანე, იისფერს — ყვითელი. საკვირ-  
ველია, რა დიდი ხელოვანია ბუნება. ჩვენ, ადამიანები, მიმბა-  
ველები ვართ, უბრალო მიმბაველები. მიხეილის ბალში არის  
თეთრი და ვარდისფერი წინწელებით ყვავილების ბუჩქები,  
გეგონება ჭრელი ჩითის საკაბე არის ვაფენილი გასაშრობა-  
დო. თვით მიხეილს ახლოს შენ არ იცნობ, მას შეუძლია იტი-  
როს ერთი რომელიმე ავადმყოფი თუ ღონემიხდილი ნერგის  
სინანულით. უნდა ნახო, როგორ ფრთხილად დადის ყვავი-  
ლებს შორის, როგორ უკლის თითოეულ ბუჩქს.

კვირაში ერთხელ მოელი თბილისის ბაღებს დაიკლია  
უცელაფერს დაათვალიერებს. მებალებს მითითებებს მისუნაშ.  
გამოჩენდება თუ არა მიხეილი, უვავილები შეირხევერან, აჩოჩ-  
ქოლდებიან, უყვართ მათ თავიანთი მკურნალი, წასელის  
დროსაც ასევე ჩიტჩოლით ეშვეიღობებიან, მიხეილი ამას უვე-  
ლაფერს კარგად გრძნობს და ისიც უვავილებს მათ ენაზე ემ-  
შვეიღობება, პპირდება, რომ სულ მალე, რამდენიმე დღეში,  
ისევ მოვა და ინახულებს მათ.

მზე ჩავიდა, კოკორის ბზარებში წითელი ხავერდის სიფ-  
რიფანები გამოჩნდა. დაიწყო გაშლა, ჩვენ ანთებული სანთ-  
ლები გვეჭირა, უვავილი მორცხვ პატარძალს ჰგავდა, სახეს  
გვარიდებდა. უვავილების დედოფალი იშლებოდა, ვამჩნევ-  
დით, როგორ ფართოვდებოდა კოკორი, როგორ იფურჩქნე-  
ბოდა სიცოცხლე. უვავილების დედოფალს არ უყვარს, როცა  
მას თვალებში ჩასცერიან; წყნარი ღამე და თავისუფლება,  
ისიც ერთი ღამით, მხოლოდ ერთი ღამით. მისთვის ერთი ღამე  
მოელი საუკუნეა!

ღამის პირველ საათზე უვავილების დედოფალი პამაკაცის  
მექის ოდენა გახდა. ყელი მოიღერა და გაიფურჩქნა.

უვავილის გულში ოქროსფერი კულულები ეყარა.

დედოფალი სანთელს მოერიდა, გვერდზე გადაიხარა. ცო-  
ტა ხნის შემდეგ მოწყენილობა დატყო, თავი ჩაქინდრა და  
დაპატარავდა.

გათენებისას დედოფალი გარდაიცვალა.

## სიცილის ხადაგო

ერთ საღამოს ჩვენი საერთო მეგობარი, აყალემის სტუ-  
დენტი ანდრო ჭანელიძე გვესტუმრა. იაკობმა უსაყველურა, ძა-  
ლიან იშვიათად გვნახულობთო. სტუმარმა თავი იმით იმარ-  
თლა, რომ აყალემიაში ხშირად ხვდებოდა მას. მერე თუჭის  
ღუმელის კარი გამოაღო, აქანდაზი ჩაუჩუჩურა, მინავებებ-  
ლი ნახშირი შეაფხიზლა და ჩაილაპარაკა: — გარეთ უფრო  
თბილა, ვიდრე თქვენს სახელოსნოშიო.

იაკობმა სინათლე აანთო, სავარქელში ჩაჯდა და თქვე:

— გროვი წინადაღება უნდა შემოგთავაზოთ, თუ მიიღებო.  
ხომ კარგი, თუ არა და როგორც გენებოთ. თქვენ კარგად  
იცით, რომ იყო დრო, როცა ჩვენში კედური ხელოვნება მა-  
ლალ დონეზე იდგა, შემდეგ კი მიზეზთა და მიზეზთა გამო  
თანდათან მივიწყებას მიეცა, მაგრამ ხომ შეიძლება ახლა ხელ-  
ახლა დაიწყოს მისი აღდგენა? რასაკეირველია, შეიძლება  
სიუჩეტი კი — რელიგიურის ნაცვლად ახალი, თანამედროვე  
ჩავაქსოვოთ.

რა დაშავდება ამით? ქრისტეს, ჯვარცმის, ალდგომის მა-  
გიერ გამოვჭედოთ შოთა რუსთაველი, ვახტანგ გორგასალი,  
ლამაზი გოგონას პორტრეტი, ყვავილების კონა და რაც გინდა,  
აემა ამოულეველია.

რაც შეეხება მუშაობის ტექნიკას, დაწვრილებით რა მო-

ვახსენოთ, მაგრამ დაახლოებით გაგაცნობთ: ოქროს, ვიწ-  
ცხლის ან თითბრის თხელ ფირფიტას დააკრავენ სწორზედა-  
პირიან რბილი ჯიშის ხეზე და იწყებენ მუშაობას. ამოწეულის  
ნაცვლად აკეთებენ ჩაწეულს. ყოველივე ეს ხდება სხვადასხვა  
ფორმის ხელსაწყოს დაჭრით. თხელი ლითონი ჩაიზნიერება,  
ჩაიზნიერება ხეც. როცა რელიეფის მიღება მთავრდება, ფაცარს  
ააცლიან ფირფიტას და მიღებულ ამოზნექილ გამოსახულება-  
ზე, ე. ი. ნამდვილ ზედაპირზე ხელახლა იწყებენ მუშაობას,  
მაგრამ იმისათვის, რომ რბილი ლითონი ზედმეტად არ ჩაიზ-  
ნიეროს, შეზნექილ მხარეს შეავსებენ ფისით ან მაგრად მოღუ-  
ლებული თაფლის სანთლით, ზედაპირს გაუსწორებენ და ხე-  
ლახლა დააკრავენ სწორ ზედაპირიან ხეზე. ამის შემდეგ იწყე-  
ბენ რელიეფის საბოლოო დამუშავებას. ბოლოს მოასევადე-  
ბენ, ფერს მისცემენ და ნამუშევარიც დამთავრდება. საფრიან-  
გეთში მინახავს რამდენიმე ასეთი სახელოსნო. არის ერთი  
ფირმა „ეილონ“. სადაც შევიძინე ჭედურობისათვის საჭირო  
ხელსაწყოების ორი კომპლექტი. თუკი ვინმე სურვილს გა-  
მოთქვამს და დაინტერესდება ამ საქმით, მე დიდად მოხარუ-  
ლი ვიქნები და ხელსაწყოებსაც, რასაკვირველია, მას გადავ-  
ცემ. ჩევნს ჭედურ ხელოვნებას მდიდარი წარსული აქვს. ჭერ  
მარტო ბექა და ბეშქენ ოპიზრების ნამუშევრები რად ლირს,  
მთელ ევროპას იყიდის.

დაამთავრა თუ არა ეს უკანასკნელი წინადადება იაკობმა,  
თვალებში ჩაგვხედა. მაგრამ საიმედო რომ ვერაფერი ამო-  
იქითხა, თქვა:

— მაშ არ გინდათ, არა? — აბა, იარაღები ნახეთ! იქნებ  
ვაშინ მაინც... — იკი წამოდგა და კარალის ქვედა უჯრიდან ხის  
პატარა, მაგრამ კარგა გვარიანად მძიმე ყუთი გამოიღო. ყუთში  
ფანქრის სიმსხო ფოლადის მრავალკუთხა ხელსაწყოები ელავა.

თითოეული ხელსაწყოს ორივე ბოლო მუშა-ნაწილებით თავ-დებოლა, ზოგ მათგანს ასანთის ღეროს თავისოდენა ბურთულა ება, ზოგს კოვზისებური, ზოგს საღვისის მსგავსი, ზოგს სამკუთხა. ხელსაწყოს შეა გამსხვილებულ ნაწილში ჩაბეჭდილი იყო „ეილონ და კომპანია“.

ანდროს და მე ხელსაწყოები მოგვეწონა, მაგრამ ის, რაც მთავარი იყო — მუშაობის სურვილი — არც ერთს არ გამოგვითქვამს. ანდრომ ერთ-ერთი იარაღის სახელწოდება იყოთხა. თუმცა ძალიან კარგად იყო მიმხვდარი, რომ ისეთ ხელსაწყოებს, რომლებიც ერთმანეთს გვანან და საჭიროების მიხედვით ხან ერთი იხმარება, ხან მეორე, ფალკი სახელები არ შეიძლება ჰქონოდათ.

მოხუცმა ხელსაწყოს დახედა და უპასუხი:

— ამას ჰქვია ჩასაჭყნეტი.

ანდრომ ახლა მეორე ხელსაწყო აიღო.

იაკობს გაეღიმა:

— ამას? ამას — ამოსაჭყნეტი.

ახლა ანდროს გაელიმა და კიდევ ერთი ხელსაწყო უჩიენა.

— ამას ჩასაგნესი!

ანდრო შეკითხვებს განაგრძობდა.

— ამას? ამას ამოსაგნესი!

მოხუცმა სიცილი დაიწყო, ანდრო კი არ ეშვებოდა

— ამას?

— ამას ჩასაჭუნცხი!

— ამას?

— ამას? ამოსაკუნცხი!

— ამას? — იაკობმა ხარხარი დაიწყო.

— ამას? — დაიუინა ანდრომ.

— ამას ჩასაჭირებელი!

— ამას?  
 — ამას ამოსაკუნძული!  
 — ამას?  
 — ამას ჩისაკუჭი!  
 — ამას?  
 — ამას ამოსაკუჭი!

სახელოსნოში იაკობის მეუღლე შემოვიდა.

— რაზე იცინოდია ასე ხმამაღლა?! — იყითხა გაკვირვე-  
 ბულმა ქალმა. იაკობმა ერთი ხელსაწყო აიღო, მეუღლეს აჩ-  
 ვენა და უამბო, თუ როგორ შეთხხა სახელები თვითეული-  
 საოვის ცალ-ცალქი.

ქალმა მხრები აიჩეჩა და თქვა: — არ მესმის, ამ რკინის ნა-  
 შერმა როგორ შეიძლება სიცილი გამოიწვიოსო.

## თამაში გოლი

ერთხელ იაკობი სახელოსნოში მუშაობდა, გარედან პაფ-შვების ყიფინა, შემოღიოდა, თამაში ჯერ არ იყო დაწერებული, კენჭისყრაზე იყო დავა. მოთამაშები ორად გაიყვნენ. ერთი გუნდი სახელოსნოს მხარეს ჩადგა, მეორე — როდენის ქუჩის გახრილ ნაწილში.

პირველ მეკარეს მარჯვნივ ტელეგრაფის სვეტი ედგა, მარცხნივ — გროვად დაყრილი ჩანთები; ზურგს სახელოსნოს კარები ფარავდა. მეორე მეკარე ყრუ კიდლის წინ იდგა, აქეთი ითა აგურები ეწყო.

სასტურენის ხმა გაისმა... იაკობმა მუშაობა მიატოვა, სავარელში ჩაჯდა და თქვა:

— იცით რა დღეში ვარ? იo აქ, ჩვენს ქვევით, სკოლაში ორცულიანი მეცადინეობაა. მეორე ცვლა ამ დროს ამთავრებს შეცადინეობას, ბავშვებს სკოლის ეზოში არ აჩერებენ, თამაშის ნებას არ აძლევენ და აქ იყრიან თავს. ერთი სიტყვით, სახელოსნოს წინ სტადიონი გამიმართეს, არ ვუშლი, ითამაშონ, ზაგრამ მე რას მერჩიან, წვიმიან ამინდშიაც თამაშობენ. ტალანტიანი ბურთი სვრის ყველაფერს, აბა რას გავს სახელოსნოს კარი? ეს კიდევ არაფერი, მუშაობის საშუალება აღარ მაქვს, ყოველდღე ერთი და იგივე სურათი მეორდება. შემთავრის სახელოსნოში თუ არა, თამაშიც დაიწყება. ამას წინათ

ბურთი ბალში ჩამოუვარდათ, ბევრი მეხვეწნენ... — იაკობშ  
კიდევ რაღაცის თქმა უნდოდა, რომ ამ დროს მძიმე ბურთი სა-  
ხელოსნოს კარს ეძგერა, მთელი ოთახი შეზანზარდა. — აი, აი!  
რა მოხდა იცი? გოლი გავიდა... ყოველი გოლის გასულისას  
ბურთი კარებს ხვდება!

— რომელი ჯობნის, ბატონო იაკობ? — შევეკითხე.

— მაგის რა მოგახსენო რომელი ჯობნის, მაგრამ ის კი ვი-  
ცი, რომ ჩემს მხარეზე ყოველთვის მეტი ბურთი გადის, — ღი-  
მილით თქვა იაკობმა.

გოლის გასვლას სასტვენის ხმა და ყიქინა მოჰყვა, იაკობმა  
განაგრძო:

— ბევრი მემუდარეს, პირობაც დადეს... — სახელოსნო  
სელმეორედ შეზანზარდა. ჩევნ ერთმანეთს გადავხედეთ... ისევ  
სასტვენი და ყიქინა, იაკობმა გაიღიმა და ორი თითი მაჩვენა —  
ნამდვილი სტადიონია, ნამდვილი სტადიონი!

— ამას წინათ აქეთ გამოვიარე, — ვთქვი ახლა მე, — თქვენ  
შინ არ ბრძანდებოდით, თამაშს ვუყურე, გამვლელებიც ჩერ-  
დებოდნენ, ტაშს უკრავდნენ. ზევით ფანჯრებში ხომ ტევა არ  
იყო...

სახელოსნო ისევ შეზანზარდა. იაკობი მოთმინებიდან ვა-  
მოვიდა, ერთი წუთით ჩაფიქრდა, მერე წამოდგა, ეტყობოდა,  
რაღაც გადაწყვეტილება მიიღო.

კედლიდან უტარო მოწნული მათრახი ჩამოიღო. სახე-  
ლურის თამა მარჯვენა მაჭაზე წამოიგო, ხელში მოიმარგვა და  
თქვა:

— მეტი გზა არ არის, უნდა ვუშხუნო. შენ ფრთხილად ვა-  
დააბრუნე კარის საკეტი, ისე. რომ არ გაიჩხავუნოს. თუ შე-  
ატყვეს, მეკარე გაიქცევა, ახლა ის ზურგით დგას კარებთან,  
შეიძლება ცოტა იქით იყოს ან აქეთ, ეგ არაფერია, ჩევნ შე-

ვურჩევთ დროს, კარს ოდნავ გამოსწევ და როცა გაგვისწორდება, განიშნებ და სწრაფად გააღე; მე კი ზურგზე უშესულებ...

იაკობის აზრი არც ისე მომეწონა, მაგრამ სახელური ფრთხილად გადავაძრუნე, კარი ოდნავ გამოვაღე. ყიფინი ცას წვდებოდა, გამვლელები ქვაფენილზე ჩამწერივებულიყვნენ. იაკობმა მათრახი მაღლა ასწია, კარგად მოიმარჯვა, ვიწრო ღრიჭოში ფრთხილად გაიხედა, თამაშის ცეეროთ გაერთო... მოწინააღმდეგე მხარეს ბურთი გასულიყო. როგორც ჩანს, სადაც იყო და მაყურებლების ნაწილი ერთ გუნდს ეპირობოდა, ნაწილი — მეორეს. ბოლოს, როგორც იქნა, დავა იშით დამთავრდა, რომ სახელოსნოს მოპირდაპირე მხარეს გატანილი ბურთი ჩათვალეს. ამან სულ გააცოფა ის მხარე და ახლა თავგამოდებით შემოუტიეს „იაკობის კარს“.

ამ დროს იაკობმა მანიშნა და ბრძანება შევასრულე, კარები სწრაფად გამოვაღე.

საშინელი ამბავი დატრიალდა: ტალახიანი წყლით გაჟღენ-თილი ბურთი იაკობს პირდაპირ სახეში მოხვდა.

მათრახიანი ხელი აწეული დარჩა, ბურთი კი მოთამაშეებისაკენ გადავარდა, ბავშვებში შეერია და გაქრა. თითქოს მანაც იგრძენ ჩადენილი დანაშაული და სასწრაფოდ მიიმალა. ყიფინა შეწყდა, კარი მივხურე, გაფიტრებულ იაკობს ხელი შევაშველე და თან მსხვილფეხებიანი სკამი მივუჩოჩ.

სამარისებული სიჩუმე ჩამოვარდა; შორიდან მარტოდენ მსაჭის სასტვენის ხმა ისმოდა, რომელიც თამაშის დამთავრებას გვამცნობდა...

იაკობი წამოდგა, სარკესთან სახე მოიწმინდა, სადგართა მივიდა და ნამუშევარს ტილო გადააფარა. მერე ისევ სარკეში ჩაიხედა, ცხვირის ბოლო მოისინჯა და თქვა:

— იი, ეს კი ნამდვილი გოლი იყო!..

## პოცნა

რამდენიმე წლის განმავლობაში ჩვენ ისე დავუახლოვდით ერთმანეთს, რომ მხცოვანი ხელოვანი ისე მიამბობდა ყველა-ფერს, როგორც მის ტოლსა და ბავშვობიდანვე შეზრდილ მე-გობარს. ხოლო მიმართვა „ბატონო იაკობ“, რასაკვირველია, უცვლელი დარჩა.

ერთხელ, გვიან საღამოს, მუშაობის შემდეგ, იაკობი სა-ვარძელში ჩაჯდა, მარმარილოს ფხვნილით გათეთრებული მუხლები ჩამოიფერთხა, მერე მის გასაფანტავად სახის ჭინ ხელი გაიქნია და ერთგვარი გაგრძელებული ტონით ოქვა:

— დაა... ეს დღეც წავი-დაა!.. არასოდეს დაბრუნდება დაქანცული იაკობი ლრმა მოხუცად მომეჩვენა.

— ორ რამეზე მწყდება გული, — ხანმოკლე სიჩუმის შემ-დეგ ოქვა, — ძალიან მიყვარს ახლადდამდნარი თოვლისქეებ მოსული ნორჩი ბალახის სუნი... რა შეიძლება იყოს მასზე უკეთესი.

— მეორე, ბატონო იაკობ? — შევეკითხე ახლა მ.

— ოო... მეორე ეს სულ სხვაა...

— მაინც?

იაკობს გაეღიმა:

— პარიზელი ქალები.

მოხუცმა იმ ღამეს მიამბო უცხოეთში გატარებულ დღე-

ებზე და თან მოიგონა რამდენიმე მშვენიერი იზაბელა თუ ეოზეფინა.

იაკობი ამბობდა, რომ ქალი არის მამაკაცის შრომის შობ-წესრიგებელი ძალაო, ქალს შეუძლია აღაფრითოვანოს, ნიმაკა-ცი, აღტროვანება კი ერთგვარ ენერგიას იძლევა და შემოქ-მედებით ფანტაზიას ამდიდრებსო.

ამ საუბრის შემდეგ მან თავისი ნამუშევრის „კოცნის“ შექმნის ისტორიაც მიამბო.

— ჩემს ცოლს, მაშინ მე თითქმის შუახნის კაცი ვიყავი, ახალი მეგობარი გაუჩნდა. ეს იყო ოცდაორექვესმეტი-ოცდა-თვრამეტი წლის გაუთხოვარი, საშუალო სიმაღლის, ულამაზე-სი კისრისა და მსრების პატრონი ქალი; ტანიც და სახეც მოხ-დენილი და მშვენიერი ჰქონდა, მაგრამ კისერი და მსრები — რაღაც ფანტასტიკური. მისი არც თუ ისე ნაზი თითები შესა-ნიშნავად ქსოვდნენ და ქარგავდნენ. ჩემთა ცოლმაც იკოდ-ხელსაქმე, მაგრამ მას რას შეედლებოდა. ეს ქალი ხშირად მო-დიოდა ჩვენთან, მოჰქონდა ნაქარგის ნიმუშები, ცდილობდა ქარგვა ჩემი გოგონებისათვისაც ესწავლებინა.

ის ქალი თავიდანვე მომეწონა. მისი ყოველი მოსვლა ჩემ-თვის დღესასწაული იყო. არ ვიცი, როგორ აგიხსნა... ბოლოს და ბოლოს, მგონი, შემიყვარდა... მაგრამ ეს მხოლოდ მე ვი-ცოდი, სხვამ — არავინ. არც შეიძლებოდა სცოდნოდა ვინმეს, ჩემს გარდა. მე უფლება არ მქონდა ამის შესახებ ვინმესათ-ვის რამე მეთქვა, გამემულავნებინა ჩემი გრძნობა...

მიყვარდა ქალი. დღედაღამ მასზე კვიქრობდი.

რა კარგი და მიმზიდველი იყო, რა ლამაზი კისერი და მსრები ჰქონდა... პარიზშიც კი, სადაც თავს იყრიდნენ შეოფ-ლიოს უმშვენიერესი ქალები და რამდენიმე წელიწადში ერთ-ხელ და ზოგჯერ ზედიზედ ყოველ წელიწადს იმართებოდა

კონკურსი ულამაზესი ქალის სახელის მოპოვებისათვის, მინახავს ისეთი ლამაზი ქალი. ეს იყო, პირველყოვლისა, დიდი გრაციული სილამაზე და ქალურობის ნამდვილი, განსახი-ერება.

ვერ წარმოიდგენ როგორი პლასტიკური ჩევევა ჰქონდა მის ტანს, როგორი შეზომილი დახრილობა ჰქონდა მის მხრებს, როგორი უნაზესი გადასვლებით აჩნდა ლავიშისა და მხრების ძვლების ზედა ბოლოები. რა მშვენიერება იყო!.. რა სილამაზე!.. იმ ქალს დაუსარგავი ჰქონდა თავისი ქალობა და შეიძლება ესეც ჰქონდა ერთგვარ სინაზესა და სიფაქიზეს. რომ დაეინახავდი, თვალს ვერ ვაცილებდი. მოვიღოდა თუ არა, მორჩა, იმ დღეს ველარაფერს ვაკეთებდი და ვერც იქაურობას ვშორდებოდი.

საღამო იყო. ჩემი გოგონები თავიანთ ოთახში თამაშობდნენ. ჩეენ სამიერნი შუა ოთახში ვისხედით, მე კურნალებს ვათვალიერებდი, ისინი ქარგავდნენ.

ზარი დარეკეს. ჩემი ცოლი გავიდა და კარგა ხანს არ დაბრუნებულა. შემოსასვლელში ვიღიაცას საუბარი გაუბა. ამ დროს მე რაღაც ძალამ წამომაგდო, მასთან მივედი, ის იმ დროს ფეხზე იდგა, მაგიდაზე დახრილი ფერად ძაფებს ანაწილებდა, თუ ახვევდა, აღარ მასსოვს. მივედი, მის ზურგს უკან დავდექი, მკლავებში მაგრად ჩავიკლე ხელები, ღონიერად ერთი მეორესაკენ მივზიდე და რაც ძალი და ღონე მქონდა უკელაზე ლამაზ აღგილას, იქ, სადაც თავდება მხარი და იწყება კისერი, მაგრად, ძალიან მაგრად ვაკოცე. ქალს თეთრ-მოყავისფრო ტანზე ციების მსგავსი ხორკლები დააყარა, კრინტი არ დაუძრავს, თავი მოაბრუნა, ჩემთვის გამოუცნობი თვალის ბზინვარებით შემხედა და დაჭდა.

მეუღლის ფეხის ხმაშ მაგიდის ბოლოსაკენ გამდენა, გადა-

შლილი კურნალის ასოები ყეყეჩებივით შემომჩერებოდნენ.  
იმ საღამოს ჩვენი სტუმარი აღრე წავიდა. ჩვეულებრივ,  
საღამოს ტკბილეულზე არ დარჩა.

ამის შემდეგ საქმე სხვაგვარად წარიმართა. ქალები ჩემთან  
შეხვედრას ერიდებოდა, კონსულტაციაზე სიარულა დილის  
საათებში გადაიტანა, იმ დროს მე აკადემიაში ვიყავი, ეს ვასა-  
გები იყო ჩემთვის.

მასთან შეხვედრა გაძნელდა. ჩვენს შორის რაღაც საერთო  
ხდებოდა, რომელიც მხოლოდ მე და მან ვიცოდით.

ახალი საფიქრებელი მომეცა, მაინტერესებდა რას ფიქ-  
რობდა ივი ჩემზე.

ვინ იცის, იქნებ ამ ხნის ქალმა პირველად იგემა მამაკაცის  
კოცნა. ვფიქრობდი, რომ ასე უნდა ყოფილიყო.

გავიდა დიდი დრო. ამ ხნის განმავლობაში მას მხოლოდ  
ორგერ შევხვდი. ერთ დღეს ახალი ესკიზი ჩავიფიქრე, რო-  
მელსაც შემდეგ „კოცნა“ დავარქვი და ცოტა ხანში მის გან-  
ხორციელებას შევუდექი. ხომ იცი ჩემი „კოცნა“?..

იაკობმა ატელიეში შემოსასვლელიდან მარცხენა მხარეს  
მძიმე საღარზე მიმითითა, რომელზედაც ქვის ლოდიდან გა-  
მოკვეთილი „კოცნა“ იდგა. თხელ ზეწარგადაფარებული ქან-  
დაეცებიდან ქალის წინ წამოწეული მკერდი იგრძნობოდა.

მამაკაცი ისე დასწავლებია ქალის კისერსა და მხარს შორის  
ფაქიზად დახრილ კუთხეს, თითქოს მისი შესრუტვა სურდეს  
მთლიანად. მისი ლოყები შეცვენილია, სახის ძვლები გამოწე-  
ული, იფიქრებ ერთს აკოცებს და გათავდება კიდეცო. იაკო-  
ბის ეს ნამუშევარი ერთი მისაა. ის ერთი მოზრდილი ქვის ლო-  
დია, ზურგის მხრიდან მარჯვენა მხარეს ქალის ყელზე შეწე-  
ბებულია მამაკაცის სახე — იგივე ავტორის ლანდია, მოჩვენე-  
ბაა, წინა პლანი და დამთავრებულია.

— მაგრამ ეს ის ქალი არაა, — განავრძო იაკობმა, — ეს  
ისე, საერთოდ ქალია, შემდეგ კიდევ ვაპირებდი იგივე კომპო-  
ზიცია გამემეორებინა, მაგრამ რატომღაც ვერ შევჭელა რა გა-  
ერთხელ შუადღისას სახლიდან აკადემიაში დადგირებული  
სასწრაფოდ მოდი, საავადმყოფოში უნდა წავიდეთო, მე გულ-  
გახეთქილი მივვარდი შინ, არ ვიცოდი, რაში იყო საქმე.

მეუღლემ ეტლის მოსაყვანად გამაბრუნა და თან ორი სი-  
ტყვით მომხდარი უბედურების შესახებ მიამბო.

წინა დღით იმ ჩემს საოცნებო ქალს ტრამვაი დასჯახებია  
და ახლა უკანასკნელ წუთებს ითვლიდა თურმე.

ქალი გულალმა იწვა. თავი შეხვეული პქონდა, სახე უჩან-  
და, ყოველ მიმსვლელს ულიმოდა, მეც გამილიმა.

ახლაც მახსოვე ის ლიმილი. ეს იყო სინანულისა და გამო-  
თხოვების ლიმილი.

## მზის ჩასვლისას

იაკობი თავს უქეთოდ გრძნობდა და რამდენიმე დღე იშვა. სახელოსნოსა და ბალის მოვლა-პატრონობა მე მქონდა მონდობილი. ერთ საღამოს, მზის ჩასვლის წინ, ყვავილები მოვრწყე. ჭერმის ხეს ხმელი ტოტი შევაჭერი და როცა ყველა-ფერს მოვრჩი, სახელოსნოდან „ბერძნული ხელოვნების“ ახალი გამოცემა გამოვიტანე. მოხუცი სამზარეულოს კიბით ბალში ჩამოვიდა, ჩემს გვერდით მოწნულ სავარძელში ჩაჯდა. ოსტატი გამხდარიყო, სახე ჩამუქებოდა.

იაკობმა წიგნი გამომართვა, გადაფურცლა და თქვა:

— შეხედე, რა ოსტატები იყვნენ ბერძნები; ამ გამოცემაში ბევრი აქამდე უცნობი ნამუშევარია დაბეჭდილი. აი პლასტიკა! ბერძნებმა დასვეს წერტილი; რა უნდა გაკეთდეს ამაზე უკითხესი.

— რენესანსი? — შევეკითხე მე.

— რენესანსი კიდევ სხვაა. შეღარებით ამაღლებულია. ბერძნებმა ქანდაკებისათვის მოგრძო პროპორციები შექმნეს, ზათი ფიგურები მაღალი, პლასტიკური და სასიამოვნო შესახედავია; ტანი აამაღლეს, თავი დაპატარავეს.

ბერძნულ ქანდაკებაში მხოლოდ საერთო ფორმებია მოცემული, წვრილმანი კი არ არის მიღებული მხედველობაში, მე მგონი, ამას წინათ გითხარი, რომ როდენს თავისი კაცი ჰყავ-

და საბერძნეთში, რომელიც იძენდა, იპარავდა თუ ჩტაცებდა  
არ ვიცი, მაგრამ ის კი ვიცი, რომ მისგან ანტიკური ქანდაკე-  
ბების ხელებს, ფეხებს, ტორსებს, თავებს და ყოველგვარ-  
ფრაგმენტებს ლებულობდა. როდენი ყველაფერს ამენდა, იქ-  
ნებოდა ეს ქრისტეს წინა თუ შემდეგი დროის ნამუშევრები.  
მოიტანდნენ თუ არა მძიმე ყუთებს, მაშინვე ჩაქუჩის აიღებდა  
და მუშებთან ერთად ხსნიდა მათ. მოთმინება არ ყოფნიდა,  
უნდოდა ჩქარა ეხილა, რა იყო შიგ.

ზანტად ჩადიოდა მზე. თეორი მარმარილოს ნამსხვრევები  
უწესრიგოდ ეყარა მწვანე მოლზე.

ფიქრი ფიქრს მისდევდა, თვალწინ კი დიდი ისტორიის ნამ-  
სხვრევები ეყარა.

კარგია საღამოს პარიზი.

მზე ჩავიდა, ცა მუქი ვერცხლისფერი გახდა. დახოცილი  
მეომრები რუს ლაქებად იქცნენ. ასეთი სურათი მოჩანდა  
ჩვენს თვალწინ მაშინ.

იაკობი გაჩუმდა, ფიქრებმა გაიტაცა.

## ხშირი სტუდენტი და გალადტიონი

თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში იაკობს ახლად-გარდაცვლილ პროფესორ ანდრია რაზმაძის პორტრეტი შეუქ-ვეთა.

მოქანდაკე მუშაობას შეუდგა თუ არა, ორი სამი დღის შემდეგ მასთან განსვენებულის და მოვიდა და ხელოვანს თა-ვისი აღფრთოვანება გაუზიარა:

— ვგრძნობ, რომ თქვენს ხელში ჩემი ძმა გაცოცხლდება, თქვენ მას სულს ჩაუდგამთ, ის ისევ შემოგვხედავს, ეს მჯერა და ამიერიდან ჩვენი სათაყვანებელი აღამიანი თქვენ იქნე-ბითო.

იმ დღიდან შავაღმოსილი ქალი იაკობის ხშირი სტუმარი გახდა, მით უფრო, რომ რაზმაძიანთ სახლი ახლოს იყო მო-ქანდაკის სახელოსნოსთან.

— ჩემს ძმას თხელი ტუჩები ჰქონდა, შუბლს უფრო წინ გამოწევა უნდა, ყბა ოთხკუთხედი აჯობებდა, — კარნახობდა სტუმარი მოქანდაკეს.

ყოველდღე ერთი და იგივე სურათი მეორდებოდა, იაკობს სახელოსნოში შესვლა შეზარდა, ამას გარდა, ანდრიას დას ერ-თი ცუდი ჩვეულება ჰქონდა, გააცნობდნენ თუ არა ვინმე ახლადმოსულს, ხელის ჩამორთმევისას იტყოდა „Сестра про-ფессора Размадзе!“. ამაზე იაკობი ნერვიულობდა, სხვისი ავ-

ტორიტეტით სარგებლობა ეჭავრებოდა. ყოველნაირად ცდი-  
ლობდა, სტუმარი მის სახელოსნოში უცხოს არავის შეხვედ-  
როდა. ზარი დაირეკებოდა თუ არა, მოსულს სახელოსნოს  
ნაცვლად ბალში შეიპატიუებდა.

ერთხელ იაკობი პროფესორის პორტრეტზე მუშაობდა, ან-  
დრიას და მაღალზურგიან სავარძელში იჯდა და მოქანდაკეს  
ჩვეულებრივად კარნახობდა, — თხელი ტუჩი, ცოტა მაღალი  
შუბლით... ამ დროს ზარი დარეკეს. მე კარი გავალე. სახე-  
ლოსნოში გალაკტიონ ტაბიძე შემოვიდა, ლამაზად გამოიყუ-  
რებოდა. წვერ-ულვაში გაპარსული ჰქონდა, თმა გვერდზე  
გადავარცხნილი.

იაკობმა თვალი ჩამიკრა, მანიშნა, პოეტი გალაკტიულში-  
აო, — აქა მშვიდობა! — თქვა გალაკტიონმა, იაკობს ხელი ჩა-  
მოართვა და გადაკოცნა. მერე მე მომიბრუნდა, იგივე გაიმე-  
ორა და როცა სავარძელთან მივედით, მოქანდაკემ დამხვდურს  
წარუდგინა ახლადმოსული: — პოეტი გალაკტიონ ტაბიძე!

ქალი წამოდგა, პოეტს ხელი ჩამოართვა, მოწაფურად ცა-  
ლი მუხლი მოხარა, რევერანსი გააკეთა და ჩვეულებისამებრ  
დააყოლა — „Сестра профессора Размадзе!“. შეზარხოშე-  
ბულმა გალაკტიონმა არ იქმარა მოქანდაკის წარდგენა და  
ქალს საკუთარი თავი წარუდგინა — „Сосед Филиппа Маха-  
радзе!“. ამის შემდეგ ანდრიას და დიდხანს ალარ გაჩერებუ-  
ლა, რაღაც მოიმიზეზა და წავიდა.

## ზაჩალის პორტრეტი

თეთრად შეფეხური პატარა სადგური, ყავრით დახურული დუქანი, მაღალი კოპიტები, მოსლექილი რკინიგზა, ლაფი, გაუთავებელი ბუჩქნარი, ბნელი ცის თაღი.

შეაღამეზე სახალხო მატარებელი ჩაივლიდა, სინათლის ზოლი თაღს ორად გაჭრიდა, უკუნეთი ჩამოწვევებოდა. ტურების კვეილი, სხვა არაფერი, არსაიდან ბაიბური. ხანდახან საქმემოლეული მეისრე გამოჩნდებოდა, მედუქნიდან არაყს ინისიავებდა, სადგურის მორიგეს შეუჩინჩდებოდა; ნეშო თუთუნს მოფშვენიდა, ერთ-ორს გააბოლებდა და წაუწვებოდა; მგლების შიშით შინ წასვლას გათენებამდე ვერ ბედავდა.

ღამე იყო, წვიმდა, მედუქნე ნიორს არჩევდა, დახლზე ჭრაჟი პარპალობდა.

კარი გაიღო, გაწუმპული მონადირეები მოვიღნენ, თოფები კუთხეში მიაწყვეს, საწვიმრები მოიხადეს, ერთხანს ჩაბეჭურულ ბუხარს მიადგნენ, მერე მაგიდას მოუსხლნენ.

მედუქნემ დარჩეული ნიორი ჩაყარა, კალთა დაიფერთხა, თხელის ფიჩი შემოიტანა, ბუხარს შეუკეთა, ჭრაჟი შუა სვეტზე მიაკიდა, მაგიდა წინსაფრის ბოლოთი გადაწმინდა, თითო ჯამი ცხელი ლობით ჩამოარიგა და დოქით ღვინო ჩამოდგა.

დაკბილული გაზეთებით შემკულ თაროზე ჩამდენიმე ბოთ-

ლი და ძმრის ერთი პატარა შავი დოქი იდგა. კარზე სხვადა-  
სხვა ტკბილეულის იარღიყები იყო მიუჩული.

ნარზე დახვეული ნაბდები ეყარა. მონადირეები, ლვინოს  
შეექცნენ, მეძებრები ბუხარს მიეფიცნენ, ტანზე ორთქელი,  
აუვიდათ, თათების ლოკვა დაიწყეს. ქვენამ მოუბერა, ლრი-  
ჭოში ცივი ქარი შემოძერა.

— წახდა ამინდი, — თქვა ერთმა მონადირემ.

— იხვი მოვა, — თქვა მეორემ.

მედუქნემ თუჭია ჩამოხსნა. მოხარშულ დედალს მარილი  
მოყაყარა, სუფრას მიართვა და თავისი საქმე განაგრძო.

ვიღაც მოვიდა, ლაფი გამოტოპა, ცხენი დუქნის სეეტზე  
შიაბა.

კარები გაიღო. ახმახმა კაცმა ბეჭები ძლივს შემოატია.

მეძებრები წამოცვეიდნენ.

გრძელებულიან ნაბაღზე წვიმის ბზინვარე წვეთები მოცო-  
ცავდნენ, მოსულმა დამხვდურთ საერთო სალამი მისცა, ნაც-  
რისფერ გალიბანდზე გადაკრული თეთრი ჩაბალახი გადაიწია.

მედუქნემ არაყი დაასხა, მოხარშული კვახის ნაკერი მია-  
წოდა, ორად გაკეცილი ქალალდის ფურცელი გადასცა და სა-  
მაგიეროდ მისგან მაუზერის ტყვიები ჩაითვალა.

— ბატონო კირილე, გთხოვთ, — გაისმა მონადირეების მა-  
გიდიდან.

ნაბდიანი შემოტრიალდა, მადლობა გადაიხადა. მიპატიუ-  
ბა გამეორდა, კირილემ სუფრას გახედა.

ჭრაქის ჭვარტლიანი ალი თამაშობდა — კარის ლრიჭოში  
შემოსული ქარი არ ასვენებდა, ხან გაინართხებოდა, ხან გას-  
წორდებოდა.

კირილე მაგიდასთან მივიდა, დიდი ხმელი ხელი ჩამოატა-  
რა, ნაბაღი გადაიწია, ხის გრძელ სკამებს გადააბიჯა, ვერცხლით  
მოჭედილი კაბური მუხლებზე დაიღო.

კირილე სულ ათი-თხუთმეტი წუთი დარჩა მაგიდასთან. რამდენიმე ჭიქა დალია. თავის საქმის სიძნელეებზე ილაპარაკა, თავზეხელალებული, ტყეში გავარღნილი კაცების, ამბავი მოყვა, საჩქარო საქმეზე წასვლა მოიმიშეზა, ბოფეში მოხსელა, ძვალმსხვილი დიდი ხელი ისევ ჩამოატარა, ჩაბალახი თავზე გადმოიდო, ბოლოები შხრებზე გადაიყარა და წავიდა.

მედუქნემ მაგიდაზე ექვსი ბოთლი ლვინო მიიტანა და თან დააყოლა: თქვენი გამარჯვებისა იყოსო, კირილემ მოგართვათო.

მონაღირეები შეიშმუშნენ, ერთმანეთს გადახედეს და სმა განაგრძეს.

— დიდი ვაჟკაცი ყოფილა, ხუმრობა საქმე არ არის ტყეში გავარღნილი კაცის მოთოკვა! — თქვა ერთმა მონაღირემ.

— რასაქვირველია, ძნელია, — თქვა მეორემ და თან დაუმატა: — ამბობენ თვითონაც ნაყაჩილარიაო, ახლა მთავრობას შერიგებია, პატიოსანი გზით ცხოვრება დაუწყია, სამსახური უთხოვია და აი, დაუყენებიათ სამსახურში, ყაჩაღების მდევრად დაუნიშნავთ.

ბევრი კარგი საქმე გაუკეთებია კირილეს, რამდენი ტყეში გავარღნილი შემოურიგებია; ახლა ყველაზე დიდ საქმეს აკეთებს, ერთი დიდი ჯგუფის გადმობირებას აპირებს.

— ცოლ-შვილი თუ პყავს? — იყითხა ერთმა.

— ნაშვილები გოგო პყავს და ცოლი.

— ნაშვილები ასე ჩვიდმეტ-თვრამეტი წლის იქნება ულამაზესი გოგოა, შესანიშნავი სროლა იცის, ტყვიას ტყვიაში აჯენს, უბრალოდ ვერავინ გაეხუმრება...

აი, რამ მომაგონა ეს ამბავი: თბილისში იაკობ ნიკოლაძის სახელოსნოში შეუანის შავადმოსილი ქალი შემოვიდა, ქალს მალალი, შავთვალწარბა ქალიშვილი შემოპყვა, ერთი ტყავის

ქურთუკიანი მამაკაციც ახლდათ. მოქანდაკებ სტუმრები სავარჩევში ჩასვა და მასთან სტუმრობის მიზეზი ჰყითხა. ქალმა თქვა, რომ ისინი იმ დილით ჩამოსულიყვნენ თბილისში, კითხვა-კითხვით მოუგნიათ სახელოსნოსათვის. ახლა იმედი ჰქონდათ, იაკობი არ გააწილებდა მათ და გარდაცვლილი ქმრის საფლავისათვის ძეგლის შეკვეთას მიიღებდა.

ქალმა იაკობს რამდენიმე ფოტოსურათი გადასცა და თან დაუმატა, — თავი მოიკლა ბატონო, დაგვაქცია და ამოგვაგდოო.

— თავი მოიკლა? — იყითხა იაკობმა.

— დიახ, ბატონო, ერთ საქმეზე დაირცხვინა. ზეღმეტად ამაყი კაცი იყო, საქმე შეხვდა ისეთი, რომ თავი მოიკლა. თქვენ, ალბათ, ბევრი საქმე გაქვთ, ჩვენთვის შეიძლება ვერც მოიცალოთ. მაგრამ გაგვიწიეთ ანგარიში, ნამეტანი გულდაწყვეტილები ვართ, იგერ ქალიშვილი ხომ ჭავრით აღარაა.

— თქვენ? — იყითხა იაკობმა.

— მე მეუღლე გახლავართ, საქმე ამასთან გექნებათ. ეს მაზლია ჩემი, — თქვა ქალმა და ტყავის ქურთუკიანზე მიუთითა, — თბილისში ხშირად ჩამოდის, როცა მზად გექნებათ, წამოილებს, ბეს ახლა მოგარმევთ.

— დიახ, მე ხშირად მიხდება თბილისში ჩამოსვლა და როცა დამიბარებთ, გეახლებით, — დაადასტურა ტყავის ქურთუკიანმა.

იაკობმა სურათებს დახედა: ნაცრისფერი კრაველის გალიბანდი, სქელი შავი წარბები, აპრეხილი, ცხვირის ნესტოებამდე მისული ულვაშები, ფართოდ გაღემული თვალები, მაღალი კისერი.

ნაცნობი სახე ჰქონდა, ეს ხომ კირილე იყო, დუქანი, მონა-

დირეები... ქალაქშიაც მინახავს კირილე, მაღალ შავ ცხინვე, ეტლში, მატარებელში.

იაკობი პირელად უარზე იდგა. მაგრამ დაკოლიეს, ბე დაუტოვეს, მეორედ ჩამოსვლის დღე დანიშნეს და წაგიდნენ;

— არ მინდოდა ხელი მომეკიდა. უარი გადამათქმევინეს, ძალად შემაჩეჩეს, — თქვა იაკობმა, როცა სტუმრები წავიდნენ და სურათების თვალიერება დაიწყო. ნამდვილი ყაჩალია.

— თქვენ კარგად მიხვდით, ბატონო იაკობ. მაგ კაცი ყაჩალების მდევარი იყო. ამბობენ, რომ წინათ თვითონაც ყაჩალი იყოო, — დაუდასტურე მე.

— ა? ესე იგი არ შეემცდარვარ, არა? —

— არა!

ამის შემდეგ გავიხსენე ზემოთ აღწერილი ამბავი, ის ლამე დუქანში, კირილეს მოსკვა, მედუქნესთან ჩურჩული, მაუზერის ტყვიების გადაცემა და კიდევ ბევრი რამ. იაკობს ისიც კი ვუთხარი, რომ კირილე ყაჩალებს ტყვიებით ამარავებდა, ისინი კი მას ნადავლსაც უნაშილებდნენ-თქ.

მოხუცი სულგანაბული მისმენდა. იმ ამბავმა, რომ ნაყაჩალარი ტყეში გავარდნილი კაცების გადმობირების საქმეს ემსახურებოდა, — ასეა თუ ისე იაკობს მისდამი სიმპატია გაუჩინა.

გავიდა მთელი ერთი თვე, იაკობი კირილეს პორტრეტს არ იწყებდა. ერთხელ შევახსენე, მეორეჯერ და როცა მესამეჯერ დავაპირო იგივეს თქმა, სწორედ მაშინ მითხრა, დამიწყე და გავაგრძელებო. მეც დავიწყე, დაახლოებითი ფორმა მივეცი და შევახვიყ. რამდენიმე დღის შემდეგ ქანდაკების ტილო ახალდასველებული დამხვდა.

— იმუშავეთ, ბატონო იაკობ? — შევეკითხე ოსტატს.

— ვიმუშავე კი არა, დავამთავრე; აბა ნახე, შენ ხომ იცნობდი მაგ კაცს?

- Зорлуреरес ტილო შემოვხსენი და ნამდვილი კირილე და ვინახე. ეს იყო ამაყი და უშიშარი სქელწარბა კირილე. ეს იყო ყაჩალების მდევარი, თავად ნაყაჩალარი კირილე.

Зорлурერი დამთავრდა, ჭირისუფალი არსად ჩანდა. ცოდნა ლოს, როგორც იქნა, შაოსანი ქალი მოვიდა, ორი უცხო-მხლეობელი მოჰყვა და ნაცვლად იმისა, რომ ნამუშევარი ენახათ და სიხარულით ცას სწვდომოდნენ, გადახდილი თანხის დაბრუნება მოიხოვეს. გადავწყვიტეთ, რომ ძეგლი აღარ დავდგათო. იყობმა არ დააყოვნა, ბე მაშინვე დაუბრუნა და გაისტუმრა, მერე ნერვიულობა დაიწყო, სახელოსნო ჩქარი ნაბიჭით გაიარა, სასაღილო ოთახისაკენ წავიდა, რამდენიმე წუთში ისევ დაბრუნდა.

ვიცი რაშია საქმე, გათხოვებას აპირებს, ხომ შეხედე, ნახვაც არ ისურვა, — თქვა მან და ბრძანების კილოთი დაუმატა: — ჩამოაგდე, დაამტვრიე!

— ცოდვაა, ბატონო იაკობ!

— ყაჩალი და ცოდვა? — გეუბნები, დაამტვრიე!

— კარგი, ბატონო, თქვენ დაისვენეთ, მე დავამტვრევ.

იაკობი წავიდა, მე ბიუსტს თავი მოვჭრი და ტახტის ქვეშ დავმალე. ორი-სამი წლის შემდეგ, როცა იაკობი სახელოსნოს შეკეთებისათვის ემზადებოდა და რის გატანაც კი შეიძლებოდა ეზოში გაპქონდა, კირილეს გამხმარ თიხის თავს წაწყდა, სადგარზე დაღო, შეაბრუნ-შემოაბრუნა და თქვა:

«Даа, это настоящий разбойник!»

## გრიგორების ძაღლის როდენის ძაღლი

ძველი თბილისის მუზეუმში მიგვიწვიეს, ახალი ექსპონატები გვაჩვენეს. ვინ საით და მე და იაკობმა კი შინისაკენ გავსწიოთ.

ოქტომბრის ბოლო რიცხვები იყო, სახურავებზე ჩამავალი მზის სხივები ბრწყინვადა, ქვევით ქუჩები დაყურსულიყო, ბინდი წვებოდა.

თბილი ქარი ქვაფენილზე დაცვენილ ჭაღრის ხმელ ფოთლებს მიერეკებოდა. ყოფილი დასაბუღრებლად გამზადებული უთვალავი ბეღურა.

იქით, ვერცხლის ქუჩისაკენ, ფართატით მიფრინავდნენ ჭილყვავების უწესრიგო გუნდები.

დღისით მზით გახურებული კედლები შემორჩენილ სითბოს უკანვე აბრუნებდნენ.

უამრავი გამვლელი — დიდი და პატარა.

საღამოს გაზეთი.

მოსკოვის ქუჩის კუთხეში ერთი ალიაქოთი იყო. „სტიოპა სულელი“ ყვიროდა: „Слон на аэроплане! Слон на аэроплане!“.

სტიოპას ხელიდან გლეჯდნენ გაზეთებს. სტიოპა ფულს ჯიბეში იტენიდა. მისი ენა არ ჩერდებოდა, ხელებსაც მანქანასავით ამუშავებდა.

იმ ხანებში ორმელიღაც ქალაქიდან მეორეში თვითმფრინავით გადაიყვანეს სპილო. ჩვენში პირველი ცნობა ამის შესახებ „სალამოს თბილისმა“ დაბეჭდა.

სტიოპამ ეს ცნობა კარგად გამოიყენა, ხელი რამდენიმე წუთში გაიცალა. სტიოპას კიტრივით წაგრძელებული უთმო წითელი თავი ჰქონდა, გადმობრუნებული სქელი ტუჩები, რუხი თვალები, უდარდელი გამომეტყველება. მოკლენაბიჯიანი ჩქარი სიარული იცოდა. სტიოპას ბავშვები სულელს ეძახლნენ, მაგრამ იგი ძალზე შრომისმოყვარე, კეთილი და დაუზიარელი კაცი იყო.

სტიოპამ რამდენიმე ენა იცოდა, არც საერთო განათლება ყვლდა. დილის ფოსტაში დეპეშების მიმღებად მსახურობდა, დღის მეორე ნახევარში გაზეთ „სალამოს თბილის“ ჰყიდვა, სტიოპა ბევრს შრომობდა, დაობლებულ დისშეილებს ზრდიდა.

იაკობშა გაზეთის პირველ და მეორე გვერდებს აქა-იქ გადახედა, ორად მოკეცა და ილლიაში ამოიდო. გზადაგზა ნაცნობები ხვდებოდნენ: პროფესორი ალექსანდრე ჯავახიშვილი, პირწმინდად გაპარსული, მრგვალი პირისახის მოღიმარი კაცი, მხატვარი დავით კაკაბაძე. მწერალი მიხეილ ჯავახიშვილი.

ყაზბეგის ქუჩის დასაწყისში, ფეხსაცმლის მწმენდავი აისორის მუდმივი ადგილი სალამოთი გაზეთის თეთრწვერა გამჟიდველს ჰქონდა დაყვებული, იგი არ ჰგავდა სტიოპას. ეს იყო დარბაზისელი შეხედულების, ორად წვერგაყოფილი ზორბა კაცი. მას მეფის არმიის მაღალჩინიანი ოფიცრის ფარაგა ეცავა. იდგა ერთ ადგილზე და მაინცდამაინც არ ცდილობდა სტიოპას ხერხით მიექცია გამვლელების ყურადღება, მაგრამ ზოგჯერ თავისი ბოხი და დაბალი ხმით მაინც წამოიძახებდა გაზეთში მოთავსებულ მისთვის საინტერესო ცნობის სათაურს:

«Взрыв на британском военном карабле! Взрыв на британском военном карабле!»

Амфитеатр купил для продажи в Китае железную дорогу, а также Китайскую железную дорогу. Продажа Советско-Китайской железной дороги! Продажа Советско-Китайской железной дороги!

Но это не было сделано, а было продано в Китай.

— Это что же такое? — спросил он. — Насколько я знаю, это было продано в Китай.

— Это было продано.

Есть доказательство в Китае, что это было продано в Китай. А также в Китае есть доказательства, что это было продано в Китай. А также в Китае есть доказательства, что это было продано в Китай.

Следовательно, это было продано в Китай. И это было продано в Китай.

— Чем это было продано в Китай? — спросил он. — Это было продано в Китай. А также в Китае есть доказательства, что это было продано в Китай.

Чем это было продано в Китай? — спросил он. — Это было продано в Китай. А также в Китае есть доказательства, что это было продано в Китай.

## რითალი როიალი

იყო ერთი მოქანდაკე, ისიც ერთ დროს იაკობთან სწავლობდა, შემდეგ სხვა საქმიანობას მიჰყო ხელი, ხელოვნება კი მიიღიშა და ამ დროს სარტიანი შეკვეთა მიიღო — უზარმაზარი ქანდაკება უნდა გაეკვეთებია.

მანაც არ დააყოვნა, სასწარაფოდ აიყვანა თანაშემწეები, გამართა კარჯასი, თიხა დაზილა და მუშაობაც დაიწყო.

მისი ერთ-ერთი თანაშემწე, სახელად ტერენტი, იაკობის მოსწავლე იყო, ხშირად დადიოდა მასთან, ესაუბრებოდა და მუშაობაში ეხმარებოდა. ტერენტის ღონიერ და დიდრონ ხელებს ბევრი რამის გაკეთება შეეძლო.

იაკობთან მოსული ტერენტი ტყუილ-უბრალოდ არ გაჩერდებოდა. ხან მძიმე ქვას შემოაგორებდა სახელოსნოში, ხან სადგარს გადადგამდა; ერთი სიტყვით, აკეთებდა ყველაფერს იმას, რის გაკეთებაც იაკობს არ შეეძლო.

იაკობმა იცოდა, რომ ტერენტი იმ მოქანდაკესთან თანაშემწედ მუშაობდა და ჰკითხა: როგორ მიღის ქანდაკების საქმეო.

— ჯერჯერობით არა უშავს, თიხით შევავსეთ, მაგრამ საქმე იმაშია, რომ დამკერი კარჯასი სუსტია, ფიგურა ინძრევა, მობრუნება ჭირს, — უპასუხა ტერენტიმ.

— ოო... ეს ვერ არის კარგი საქმე. ფრთხილად იყავით, ხუთი-

ექვსი ტონა თიხის დაჭრა არც ისე აღვილი საქმეა. მარტინ არ  
მოგივიდეთ! — გააფრთხილა იაყობმა და თან დაუმატა: — ხომ  
იცი, თუ ერთი გადაზნიერა, მორჩა, ვერავითარი ძალა ვერ შე-  
აჩერებს, მაშინ სხვა გზა აღარ იქნება, გარდა იმისა, რომ თავს  
გაქცევით უშველოთ.

შემდეგ მოსვლაზე ტერენტიმ ამბავი მოიტანა: დიდი ქან-  
დაკების ავტორს ქალი შეურთავს.

— როგორც იქნა ელიტა, ცოტა კიდევ რომ დაგვიანე-  
ბოდა, მერე ვეღარ გაბედავდა, მე დაკვირვებული ვარ, შეუახ-  
ნის კაცს ქალის შერთვა უჭირს, მარტოხელობას დაწვეული,  
ვერ ბედავს ახალი ცხოვრების დაწყებას, ფრთხილად ეკიდე-  
ბა ამ საქმეს, გამბედაობა არ ყოფნის, და არჩევანშია, —  
თქვა მან.

— რა ხნისაა ქალი? — ჰეითხა იაყობმა.

— ქალი, ბატონო იაყობ, ზუსტად მისი ხნისაა, ისე არა  
უშავს, კარგი შესახედავია, მაგრამ ერთი გვარიანი ნაკლი აქვს.  
საოჯახო საქმე არ იცის. მისი ფიქრი და ოცნება მუსიკაა, დახ-  
ვედრებული პიანინო არ მოსწონებია. თავისი სიცოცხლე  
თურმე წითელი ხის როიალზე ოცნებობს. ქმარს პირობა აქვს  
დადებული, დამთავრდება თუ არა ქანდაკება, წითელი ხის  
როიალი უნდა უყიდოს.

იმ დღეს ტერენტი ცოტა გადაკრულში იყო, ბევრი ილაპა-  
რაკა და წავიდა.

ამის შემდეგ თითქმის მთელმა თვემ გაიარა და ტერენტიც  
გამოჩინდა.

— როგორ მიდის თქვენი ქანდაკების საქმე? — ჩვეულებ-  
რივად ჰეითხა იაყობმა.

— ქანდაკების საქმე, ბატონო იაყობ, ვერ არის მთლად  
კარგად. მსხვილი მავთულებით დავჭიმეთ, სამაგიეროდ მობ-  
ლე

რუნება აღარ შეიძლება და იძულებული ვართ, როგორც  
არის, ისე დავამთავროთ, თქვა ტერენტიმ და თან დააყოლა: —  
მეორე უბედურებაც გვჭირს, ბატონო იაკობ, პატარძალი თავს  
დაგვტრიალებს, შესვენების ნებას არ გვაძლევს, ჩქარა დამ-  
თავრეთ, როიალი უნდა ვიყიდოთ. მეტის მოთხენა აღარ შე-  
მიძლიაო, — როდის იქნება ის ბედნიერი დღე, წითელ რო-  
იალს რომ მოვიტან! თქვენი ბრალია, ქმარს განგებ უჭიანუ-  
რებთ საქმეს, შურიანები ხართო. რაღ უნდოდა თანაშემწე-  
ები, ხელი აკლია, თუ ფეხიო. მარტო რომ ემუშავა, უფრო  
ჩქარა დაამთავრებდათ. აი, ამ სიტყვებით გვიმასპინძლდება  
ყოველდღე. თავი გვაქვს მოძულებული.

შენდეგ მოსვლაზე ტერენტი ვეღარ ვიცანით. თვალები  
ჩაცვენოდა, მხრებში მოხრილიყო, შეშინებული სახე ჰქონდა.

— დავიღუპეთ, ბატონო იაკობ, — თქვა შემოსვლისთანა-  
ვე მან. — უბედურება დატრიალდა. მე ქანდაკების მხრებზე  
ვიყავი ასული, თავის ზედა ნაწილს ვამუშავებდი, ფიგურამ  
ჭრიჭინი დაიწყო, მომეჩვენა, თითქოს შენობა გადაიზნიქა, აი  
ისე, როგორც თვითმფრინავის დაშვების დროს ხდება ხოლმე,  
მიწა დაყირავდება — შენ სწორად ზიხარ. ერთი მავთული გა-  
წყდა და ვიოლონჩელოს მსხვილი სიმივით დაიზუზუნა. მე-  
ორე გაიქიმა, ამ დროს თქვენი ნათქვამი მომავონდა, ვითიქრე  
გლახადაა საქმე-თქო, — კიბით ჩამოვედი, თუ გადმოვხტი  
აღარ მახსოვს, გავიქეცი, მეორე თანაშემწეც გაიქცა, ქანდა-  
გება ნელა გადაიზნიქა, მოიკეცა, გეგონებოდათ დაიხარა და  
იატაკიდან რაღაცის აღებას აპირებსო. გადაიზნიქა, და წაიქ-  
ცა, დაიშალა, დაიმსხვრა.

— მერე, მერე? — შეეკითხა იაკობი.

— მეტი არაფერი, წაიქცა და დაიშალა.

— მერე, მერე? — გაიმეორა იაკობმა.

— მერე და მერე... წაიქცა და ლაიმსხვრა.

ტერენტიმ უველაფერი თქვა, რაც საჭირო იყო, მეტი სათ-  
ქმელი არაფერი ჰქონდა, იაკობი კი ეკითხებოდა: — მერე, მე-  
რეო.

და როცა მოხუცი კიდევ შეეკითხა, ტერენტის გაელიმა და  
თქვა:

— მერე, ბატონო იაკობ, ქანდაკების მუცლიდან წითელი  
როიალი გამოგორდა.

იაკობმა კარგა ხანს იხარხარა, შემდეგ კი გაჩუმდა, შეებ-  
რალა მოქანდაკე და თქვა: მოკუუმპალეს ოკეანეში არ უნდა  
შეეტოპაო.

## ნაშმიას ქვრივები

(წერილი პარველი)

მაშინ უკვე ქუთაისში ცეკვოერობდი, იაკობის წერილი მივიღე, მწერლა; დიდი ხანია თბილისში არ გამოჩენილხარ, შენი არაფერი ვიცი, მომწერე ყველაფერი, რა გიტის და რა გილხინს.

იაკობს უყვარდა, როცა დაწერილებით ვწერდი და მეც მივწერე წერილი, აი ისიც:

„ბატონო იაკობ, თქვენი წერილი მივიღე, ყველაფერზე რა მოგანხსენო და ერთ ამბავს კი გწერთ; ამას წინათ ჩემთან შავებში ჩატარებული შეახნის ქალი მოვიდა და გარდაცვლილი ქმრის პორტრეტის შესრულება მთხოვა. ასე იყო თუ ისე, ნახევრად შევთანხმდით, საბოლოო მოლაპარაკება კი რამდენიმე დღით გადავდევით, ქვრივი სოფელში უნდა დაბრუნებულიყო და კიდევ სხვა ფოტოსურათები ჩამოეტანა.

მეორე დღეს კვლავ შესტუმრა შევებში ჩატარებული სულ სხვა, შედარებით უფრო ხნიერი, მაგრამ ზედმეტად მოკრძალუბული და თავაზიანი ქალი. შეწუხებისათვის ბოლიში მომიხადა, და მანაც მთხოვა გარდაცვლილი ქმრის პორტრეტის შესრულება.

— დაღუპული ქალი ვარ, რა არის ჩემი სიცოცხლე, დაგ-

ვავსო და ამოგვაგდო. სმა უყვარდა, ძალად მოიკლა თავი, გული გაიფუჭა, — თქვა მან და თან ქველებური ბურთულებგადაგრეხილ საფულედან რამდენიმე მინიატურული ფოტოსურათი ამოიღო, — ეს არის, ბატონი. თუ სურათები საქმიანია არ იქნება, შემიძლია დამატებით კიდევ მოგიტანოთ.

მე სურათები გამოვართვი, დავხედე და ხმელი, მაღალ-კისრიანი, ულვაშებაწყეპილი კაცი დავინახე, ვიცანი.

ქალს ავხედ-დავხედე, მერე ისევ ფოტოებს გადავავლეთვალი, რა მეთქვა, აღარ ვიცოდი, მერე მოკრძალებით ვუთხარი:

— ეს სურათები მე გუშინ მაჩვენეს, აგრე ეს წარწერა: „გაგრა, ექვსი სექტემბერი“. თვით გარდაცვლილიც ეს არის. დიახ, ეს სურათები გუშინ მოიტანა ერთმა...

წინადადება დამთავრებული არ მქონდა, ქალი წამოდგა, სურათები იყანკალებული ხელით გამომართვა, სახე გაუფითრდა, ალელვება დაეტყო, მაგრამ თავი დაიჭირა და ისევ ზოდიშის მოხდით თქვა, მოლაპარაკება სხეა დროისათვის გადავ-დოთო.

ქვრივი კარებამდე მივაცილე და ვუთხარი: — როგორც გნებავთ, ხუთი საათიდან უოველთვის სახელოსნოში ვარ, მობრძანდით, მოვილაპარაკოთ-მეთქი.

ქალი კარებთან მივიდა, ერთხანს შეჩერდა, რაღაცის თქმა დააპირა, მაგრამ ისევ გადაითიქრა. დამემშეიღობა და ის-ის იყო უნდა წასულიყო, მომიბრუნდა, მიიხედ-მოიხედა, ასლოს მოიწია და მითხრა ის, რაც არც ერთ ქალს არ შეუძლია დაფაროს:

— თქვენთან ჩემი ქმრის საყვარელი ყოფილა. ნამდვილი ცოლი მე გახლავართო.

ამის შემდეგ გავიდა თითქმის თვე და ერთ მშვენიერ დღეს

ორივე ერთად მოვიდა. ორივე დაწყნარებული იყო, გულში  
კი რომელს რა უტრისალებდა, ვინ იცის.

ქალებმა სურათები და ბე დამიტოვეს, შევთანხმდით, რომ  
ნამუშევრის ჩამოსხმამდე მოვიდოდნენ და ნახავდნენ. მე საქ-  
მეს შევუდექი. გავაკეთე ულვაშებგაწყვპილი, მაღალკისრიანი,  
ხმელი, ბოხოხიანი კაცის პორტრეტი. დანიშნულ დღეს ვე-  
ლოდი, — ერთი კაცის ორ ქვრივს. ისინიც მოვიდნენ, მოვიდ-  
ნენ, მაგრამ რა მოვიდნენ, მთელი სოფელი ჩამოეყანათ.

ქვრივებს სკამები ნამუშევრის პირდაპირ დავუდგი... და-  
ნარჩენები დაბალ სადგარებზე ჩამოსხდნენ. ზოგი რას ჩამო-  
ეყრდნო, ზოგი რას.

სიჩუმე ჩამოვარდა, სტუმრები სანახაობამ გაიტაცა.

მათი ყურადღება ბევრმა რამემ მიიძყრო. განსაკუთრებით  
ადამიანის თავის ქალით დაინტერესდნენ. დიდხანს ატრიალეს  
თავის ქალა, ხან ერთს ეჭირა ხელში, ხან მეორეს, კბილებით  
გაუსინჯეს, თვალების ფოსოებში თითები ჩაუყვეს.

— რა ვართ იდამიანი? — თქვა ერთმა.

— რა ვართ და ესა ვართ! — თქვა მეორემ.

— ამას კიდევ იღბალი ჰქონია, რომ აქ ინახება და მიწაში  
არ არის! — დაუმატა მესამემ.

დრო გადიოდა, მე სადგართან მივეღი და ნამუშევარს ტი-  
ლოები შემოვხსენი.

— ეს არის — იყითხა ერთმა.

ერთხანს სიჩუმე ჩამოვარდა, სტუმრებს კრიჭა შეეკრათ.

— რას იტყვით? — იყითხა პირველმა ქვრივმა.

ხმას არავინ იღებდა, ასე გაგრძელდა რამდენიმე წუთს,  
სიჩუმის დარღვევას ვერავინ ბედავდა.

— ბოხოხი მთლად მისია, — თქვა ერთმა.

— სახე, ცხვირი, თვალი? — იყითხა ქვრივმა.

— როგორ აქეთებენ? — იკითხა ერთმა ქალიშვილმა.

— ნაუმია! ბიძია! როგორ გავს, ნამდვილი ნაუმია! — თქვა  
შეორე ქალიშვილმა.

— კი, კი, ნამდვილია, — დაადასტურეს მამაკაცებმა, ქვრა-  
ვებმა კმაყოფილება გამოიჟვეს და ასე ამგვარად „საშატვოო  
საბჭომ“ ნამუშევარი მიიღო.

გავიდა ღრო, ქვაში გამეორებული ნამუშევარი წაიღეს და  
წინასწარ აგებულ კვარცხლბეჭეზე დადგეს.

რამდენიმე ღღის შემდეგ ახალგაზრდა კაცის ხელით პირ-  
ველი ქვრივის შერილი მივიღე: „ხვალ შეადლისას თქვენთან  
მანქანით გამოივლიან, გთხოვთ მობრძანდეთ, წლისთავი  
გვაქვს. თქვენი გამოჩენა მეტად სასიამოვნო იქნება. პატივის-  
ცემით თქვენი ქეთევანი.“

ბატონო იაკობ, ქეთევანი გახლავთ ის ქვრივი, რომელიც  
ჩემთან მეორედ მოვიდა, ესე იგი პირველი ცოლი. რა მექნა,  
უნდა წავსულიყავი. მანქანა სატვირთო იყო, კაბინაში მძღო-  
ლის გვერდით ეპისკოპოსი იჯდა, ზევით, ძარაში, რამდენიმე  
ქალი და კაცი საუბრობდა. იქვე დასტებად შეკრული ახალი  
სკამები ეწყო. წყალწითელის ხილთან ფუთაგაյრული დიაკვა-  
ნი შემოგვიერთდა. მოკლედ გრამბობთ, ბატონო იაკობ, გზაში  
რამდენი რამ გადავცხდა, ვინ იცის! სად დუქნებთან გაეჩერ-  
დით, ცოტა-ცოტა გადავკარით, სად ბულდოზერის გადათ-  
ხრილ გზას წავაწყდით, უკან დავბრუნდით, შორიშან მოეუ-  
არეთ, დავიღალეთ და გავსავათდით.

ვიარეთ, ვიარეთ და ერთ-ერთ ფერდობიან ადგილს მივა-  
დექით, ბოლოს კარგ გზაზე გაეედით, მანქანა გაჩერდა, ეზო  
სავსე იყო ხალხით, ვიღაცამ დაიძახა, სკამები მოიტანესო.  
ჩვენი ერთი თანამგზავრი შეახნის კაცი, რომელიც თავიდანვე  
ცოტა შეზარხოშებული იყო და მერე გზაში კიდევ დაამატა,

უცებ აინთო, რას ჰქვია სკამები მოიტანესო, სკამები კი არა,  
საპატივულებულო სტუმრები მოვრყეანეთო! — შეუტრა ვიდა-  
კას.

ეზო შეჩოჩქოლდა, ეპისკოპოსმა ფეხი მძიმედ ჭალგა მდე-  
წაშე, თავიაცები შეეგებნენ, ხალხი ორად გაიყო, გზა შისცე  
და მისოვის განკუთვნილ მოსასვენებელ ოთახში შეიყვანეს.  
მე ნაკლები ყურადღების ქვეშ აღმოვჩნდი.

ჩვენი შეზარხოშებული თანამგზავრი ჯერ კიდევ მაშინ,  
ჩოცა მანქანაზე ავედი, გამომეცნაურა, საუბარი გამიბა.

— სასაფლაო შორს აჩის? — ვკითხე მაშინ მას.

— ოქვენი ნახელავი სასაფლაოზე არ დგას. მაგის ჯავრი  
ნე გაჭირო, შორს სიარული არ მოგიხდებათ, ძეგლი შეა ეზო-  
შია ამართული, საფლავიც მის ქვეშა, — მითხრა მან.

— როგორ, სოფელს სასაფლაო არ აქვს? — შევეეკითხე  
ხელმეორედ.

— თქვენ, როგორც ვხედავ, ბევრი რამე არ გცოდნიათ, —  
მითხრა მან და ვიამბო, რომ თურმე განსვენებულ ნაუმიას  
ოცდაორი წელი უცხოერია თავის ცოლთან ქალბატონ ქეთე-  
ვანთან, ამ ჩეენი თანამგზავრის დეიდასთან. ქეთევანი განათ-  
ლებული ქალი ყოფილა, წმინდა ნინოს სასწავლებელი ჰქონია  
დამთავრებული, სოფელში დიდხანს უმასწავლებლია და დამ-  
სახურებაც მოულია. ჩვეულებრივად, როგორც ყველა გაუთხო-  
ვარ მასწავლებელს ემართება, გვიან გათხოვილა ქეთევანი. მი-  
სი ქმარი, ნაუმია, დიდი ენერგიული კაცი ყოფილა, ცხოვრე-  
ბა საათივით ჰქონია აწყობილი, მაგრამ საქმე იმაშია, რომ შეი-  
ლი არ გასჩენია, ასე გასულა ოცდაორი წელი, ბოლოს ამდგა-  
რა და, ქეთევანთან შეთანხმებით, იქვე ღობის მოზიარე ბე-  
ზობლის ქრისტი შეურთავს, ასე რომ, განსეენებული ორი ქა-  
ლისა და ორი სახლის პატრონი გამხდარა.

ორი ეზო, ორი ქალი, ორი სახლი, ორი ვენახი, და ორი ჭიშკარი, ეს ყოფილა ნაუმიას სამფლობელო.

ბოლოს ნაუმიას ლობე გაუხსნია, ეზო და ვენახი შეტერ-  
ობია, მეურნეობა დაუმსხვილებია და საქმეც კარგად წარი-  
სულა.

გარდაცვლილი ქმარი ქვრივებს სასაფლაოზე წასაღებად  
ვერ გაუმეტებიათ და ზედ ნალობარში დიდი კოპიტის ქვეშ  
დაუმარხავთ. განსვენებულს სახის ცალი მხარე ერთი საპლი-  
საკენ ჰქონდა, ცალი მეორესაკენ. თვალებით პირდაპირ ვენახს  
გასცემოდა.

— შვილი თუ ეყოლა მეორე ქალთან? — შევეკითხე თა-  
ნამგზავრს.

— არა, ბატონო, ნაუმია ხნიერი კაცი იყო და რა შეილი  
უნდა ჰყოლებოდა, ისე კი ძალიან უნდოდა, ერთი მემკვიდრე  
გასჩენოდა.

ახლა, მე თვით გიამბობთ, სად და როგორ იდგა ძეგლი.

ერთ დიდ ეზოში იდგა ორი სახლი, წინ საავტომობილო  
გზა ჩადიოდა, მწვანედ შეღებილ გრძელ და ლამაზ ლობეს  
ორი ჭიშკარი ჰქონდა, სახლების წინ მობიბინე კოინდარში  
კოპიტების ღიდ ხეებზე ადესა ყურძენი იყო აყოლებული,

ძეგლი ნალობარში იდგა, საფლავს გარშემო თლილი ქვის  
მოაჭირი ეკრა, მოაჭირზე ჯაჭვებგაყრილი მოზრდილი ბურ-  
თულები იყო დამაგრებული, დაახლოებით ისეთი, სურათების  
გალერეის წინ რომ არის. იქვე სახლის უკან, ხის საპირფარე-  
შოზე ლერწებშემხმარი ღიდი თეთრი კვანი ეკიდა.

ჩაყვითლებულ ბის ხეებს ბიჯგები ჰქონდა შეყუდებუ-  
ლი. წერილ ხურმას უივეავი ესეოდა. ცოტა მოშორებით კრა-  
მიტით დახურულ გრძელ მარანში ქვევრების მოლესილი თავე-

ბი ორ მწერივად იყო გაბაწრული. ცოტა იქით, სანაცვე ფერ-ლობზე დაყრილ ჭაჭახზე ათასი ქათამი იჩხრიკებოდა.

ეპისკოპოსმა ძეგლი აკურთხა, თავისი მოვალეობა შეას-რულა, იქვე მდგომ დიაკვნისაკენ გადაიხარა, ცხვარი ცხვირი თან მიუტანა, ლოცვანში დაშვებული შეცდომებისათვის ერთი მაგრად შეუკურთხა და თავკაცებში გაერია.

მოთავდა ძეგლის კურთხევა. დაიშუო შეპატიუება. — ვისაც სად გნებათ! — ისმოდა აქეთ-იქიდან. პირველი ქვრივის სახ-ლი აირჩიო. ეპისკოპოსიც იქ შევიდა, ცოტა ხანში ყველაფე-რი მოწესრიგდა, ეზოში არავინ დარჩა, სახლის უკან თეთრხა-ლათიანი დაქირავებული მზარეულები ფუსფუსებდნენ. სუფ-რამ თამადად ეპისკოპოსი აირჩია. მან კი თავის მხრივ მოად-გილეები დაინიშნა, პირველი მოადგილე მაღალი, სიმპათიური სახის კაცი, მეორე სახლში გაგზავნა, რომელსაც იქ კიდევ თავისი თანაშემწერები უნდა აერჩია.

დალამდა, სუფრა ახმაურდა, ლვინო და სურსათი ულეველი იყო.

— პატივცემულო თამადა, — მიმართა ერთმა ხანშიშე-სულმა კაცმა ეპისკოპოსს, — მოგეხსენებათ, რომ განსვენე-ბული, ჩვენი საყვარელი ნაუმია, არც ისე ბავშვი კაცი იყო. პურმარილი და ლხინი ძალიან უყვარდა, ვთიქრობთ, რომ და-ნაშაული არ იქნება ერთი პატარა მრავალეამიერი! ა?

თამადამ გრძელ წვერზე ხელი დაისვა და ოქვა:

— როგორ არა, შეიძლება, როგორ არ შეიძლება, მხოლოდ საეკლესიო, მხოლოდ და მხოლოდ საეკლესიო.

დაიშუო გუგუნი, იგივე გამეორდა მეორე სახლშიც.

შუალამისას ნაუმიას გაცოცხლებისათვის და სულის ჩად-გმისათვის მაღლევრძელეს მე. ერთმა ახმახმა იგივე გაიმეორა, რაც თამადამ ბრძანა და თან დაუმატა: — შენ აქ მეორევერ

მოსული არ დაგინახოო. შენი მოსვლა იმას ნიშნავს, რომ და  
ლაც უნდა მოკვდესო, ვიღაცას ძეგლი უნდა აუგოო.

უცებ ავინთე. არასასიამოვნო სიტყვები მოვისმინე / ნენუა  
კისერში მომებგინა. ღვინით სავსე ბოთლს მოვეიდე ხელი და  
ის იყო ზედ შუბლში უნდა მიმეფშვნა იმ უზრდელისათვის,  
რომ გამაჟავეს, შეიქნა ჩოჩქოლი, მაგრამ სუფრა მალე დამ-  
შვილდა. ეპისკოპოსმა მე გამამართლა, ჩემი შეურაცხმყო-  
ლელი სუფრიდან გააძევა.

ღამე მიიღულა. ცას რუხი ფერი დაედო და სუფრაც აიშა-  
ლა. უთვალავი ჩიტით დამძიმებული კოპიტებიდან გამაყრუე-  
ბელი ედურტული ისმოდა.

ეზოში ლრიანცელი შეიქნა, გამოძინებული მძლოლები იზ-  
მორებოდნენ, რამდენიმე მანქანა წავიდა.

მე დაცვარულ კოინდარში დავსეირნობდი, ღამინდელი  
წყენა გადამავიწყდა.

დილის სიგრილემ დაჰკრა, ვენახებით დასერილ ფერდობ-  
ზე ნისლის ზოლი ჩამოწევა, ხელახლა შეპატიუება დაიწყო.

დიდი კოპიტის მობინადრეებს, რომლის ქვეშ ქანდაკება  
იდგა, ისე აეჭრელებიათ ძეგლი, რომ ვეღარ ვიცანი. იუგა ნა-  
ლობარში ნაუმია, კისერი წაეგრძელებია, რუხი გალიბანდი  
ჩამოეფხატა, წარბები შეეჭმუხნა, და ვენახს გასცემოდა.

აი, სულ ეს არის, ბატონო იაკობ, რისი მოწერაც მინ-  
დოდა".

## იაკობის სახლისაცი

(წერილი შეორე)

„ბატონო იაკობ, ამდენხანს გაჩუმებული ვიყავი, ახლა ზე-დიხედ გწერთ. ამ რამდენიმე დღის წინათ ერთი თქვენი მოგვარე კაცი გავიცანი.

ნადირობიდან ვბრუნდებოდი, დიდი თქეში წვიმა მოდიოდა წლევანდელი ოქტომბერი თქტომბერს არ ჰვავს, აკონილი ჩა-ლპება, სიმინდი ბევრგან აუღებელია, ვიქეარეთ, მავრამ არაფერი გამოვიდა, მშრალი არაფერი დაგვრჩენია, თავიდან ფეხებამდე გავილუმპეთ. ქვევით სველი ბალახი, ზევიდან შე-უჩერებელი წვიმა.

მდინარე წყალშითელაში გამოეტოპეთ, აღმართი ამოვი-არეთ და ერთ-ერთი დუქნის წინ გამოშვერილი სახურავის ძვეშ შევჩერდით, სული მოვითქვით, გავაბოლეთ და ის იყო, უნდა დაბრუნებულიყავით, რომ მამაჩემმა თქვა: — ამ დუ-ქანში დიდი ბუხარია, მოდი ერთი შევშრეთ, ცოტაც გადავ-კრათ და განვაგრძოთ გზაო.

ლიტერატურის მასწავლებელი ვალიკო თუმანიშვილი მა-შინვე დაეთანხმა: — კარგი აზრიაო, — თქვა და კარიც შევა-ლეთ.

— ბუხარი გინთიათ? — იყითხა მამაჩემმა.

— ამ წუთში იქნება, — თქვა მელუქნემ. ეზოს მხარეზე

მიღებულ ოთახში გავიდა, უზარმაზარ ჩაშავებულ ბუხარში წინასწარ მოწყობილ შეშას ნავთი მიასხა, ცეცხლი დანთო, მერე სასწრაფოდ მაგიდა გადაწმინდა, ორი სკამი შემოარბენინა, ერთი სკამის მაგიერ, პატარა კასრი შემოაგორა, და შეაყენა და შეგვიპატიყა.

ჩაბნელებული ოთახი ცეცხლმა გაანათა და მალე ბუზები-საგან დაწინწელული პატარა ელექტრონათურაც აინთო.

ცოტა მოვსულიერდით.

მედუქნე სამზარეულოში გავიდა, კუპატი და მწვალი და-ჟავეთა. მანამდე ცხელი ლობით და დოქით ლეიინ ჩამოდგა.

გაწუმპული მეძებრები ტანის ლოკვას შეუდგნენ. ჩვენ ორთქლი აგვდიოდა, სველი საცვალი გამაგრილებელი კომპრე-სივით გვეკრა ტანზე.

იმ დღეს, ბატონო იაკობ, კარგი დრო გავატარეთ.

ჩვენს მაგიდას სხვებიც შემოუერთდნენ და უბრალო თავ-შეფარება ქეიფად გადაიქცა, მამაჩემს გიტარა მოუტანეს, საქ-მე კარგად წავიდა, მაგრამ მერე ისევ სიცივემ აგვიტანა, სუფ-რის დატოვება დავაპირეთ.

მედუქნემ ანთებული ნავთქურა შემოიტანა, მაგიდის ქვეშ შედგა. მერე გობით ცხელი წყალი შემოარბენინა, ჩვენს „მა-ესტროს“ სველი ჩექმები გახადა და ფეხები ჩააყრევინა. თით-ქოს ყველაფერი მოწყესრიგდა: — ბუხარი, იქით — ნავთქურა და ცხელი ორთქლი. და მაშინ იყო სწორედ, რომ ჩვენს მაგი-დას შემოუერთდა აი ის, მე რომ მოგახსენებდით, თქვენი მოგვარე კაცი, და როცა გაიგო, თქვენი ყოფილი მოწაფე ვი-ჟავი, თქვა: იაკობს ძალიან კარგად ვიცნობო, ჩემი მეგობარი კაციაო. გვარი ერთი გვაქვს, ნათესავები კი არა ვართო.

შემდეგ გვიამბო, რომ ბორდოში ცხოვრობდა, მეღვინე-ობას სწავლობდა, პარიზში ხშირად ჩამოდიოდა და თქვენც გნახულობდათ.

პარიზში ჩამოსულს თქვენთან რამდენიმე ღამეც გაუთვ-  
ვია. ერთ დღეს ლუვრში ერთად ყოფილხართ და შინ დაბრუ-  
ნებულებს ამბავი დაგნეველრით, ვიღაც ხანშიშესული კაცი  
მოსულა, თქვენი ნახვა უნდოდა თურმე, ბევრი უცდია კიდევ  
და შემდეგ წასულა.

— სახელოსნოში რომ შევდიოდით, — განაცრძო თქვენმა  
მოგვარემ, — იაკობის საწერ მაგიდაზე გადაშლილ სახატავ  
რვეულზე ვნახეთ წარწერა: „ვნახე შენი ქანდაკება, აღარ უნ-  
და ამას ქება“. აკაკი. ქვევით ეწერა რიცხვი.

აკაკი იმ ხანებში საფრანგეთში სამკურნალოდ იყო ჩასუ-  
ლი, თვით პარიზში იშვიათად ჩადიოდა, იაკობთან მიწერ-მო-  
წერა ჰქონდა და საქართველოდან მიღებულ უურნალ-გაზე-  
თებს უგზავნიდა მას.

— დიდი ხანია არ მინახავს იაკობი, ალბათ, მოხუცდა, —  
მკითხა მან. მე ვუპასუხე, რომ საქმე მოლად მასე არ არის-  
მეთქი. იაკობი კარგადაა და აწი აპირებს მთელი გამოცდილე-  
ბის გამოყენებას-თქმ. გაეხარდა და მთხოვა თქვენთვის მოკი-  
თხვა გადმომეცა. ასე რომ, თქვენ უკვე იცით ვისგანაა ეს მო-  
კითხვა.

იყვით კარგად.

თქვენი მადლიერი მოწაფე ვ. მ.“

## თარგზლი

ერთხელ იაყობმა მომწერლა: ამ დღეებში ქუთაისში ჩამოსვლას ვაპირებ, კარგი იქნება, თუ არსად წახვალ, ისეთი საქმე მაქვს, შენი დახმარება დამჭირდებაო.

მაისის ბოლო რიცხვებში მოხუცი ჩამოვიდა, იმ წელს გრძელი ზამთარი იყო, თოვლი გვიან დაღნა, სამიგიეროდ, ბალახი უცებ ამოვიდა და გაზაფხულიც ერთბაშად დაიწყო.

-- იცი, რა შეილო, — მითხრა მან, — მე ორი საქმე მაქვს ქუთაისში მოსაგვარებელი, ორთავეზე შენ უნდა მომეხმარო. მარტო გამიჭირდება, სად რა არის არ ვიცი, ზოგი ჩემი ნაცნობი სულაც აღარ არის ამქვეყნად.

— ბრძანეთ, ბატონო იაყობ!

— მე, ალბათ, ამის შემდეგ გამიჭირდება აქ ჩამოსვლა, — განაგრძო ისევ მან, — სასაფლაოზე მინდა ავიდე, დედაჩემის საფლავზე ერთი თაიგული უნდა მივიტანო და ათიოდე წუთა დაყყო იქ. მოვიგონო ჩემი ბავშვობა, ფანჯრის დაორთქლილ მინაზე ანგელოსების ხატვა, მერე დედის წერილები, რომელთა წაკითხვა მხოლოდ მე შემეძლო.

— მეორე საქმე?

— მეორე საქმე შედარებით უბრალოა, სახელმწიფო ბანკში უნდა მივიღეთ და ერთი ფინანსური საქმე მოვაგვარო, შაგრამ ეს ხვალ იყოს, დღეს თაიგული შევიძინოთ და სასაფლაოზე წავიდეთ.

იმავე დღეს, ოთხ საათზე თაიგულით ხელში საფიჩნის  
სასაფლაოსაკენ გავემართეთ.

ნაწვიმარი იყო, აქა-იქ გუბეები იდგა.

— გახსოვთ საფლავის ადგილი? — შევეკითხე ფაქტს, როცე  
ცა სასაფლაოს ალაყაფის კარებს მივადექით.

— როგორ არა, გზიდან მარჯვნივ, ორმოცი ნაბიჯია და იქვე  
ახლოს ერთ-ერთი საფლავის შავი გრანიტის ობელისკი მაქვს  
მინიშნებული.

ის ობელისკი ვერ ვნახეთ. შემდეგ მესაფლავეებისაგან გა-  
ვიგეთ, ობელისკი ჭირისუფალს გაყყიდია. ბევრი ვიარეთ,  
სველი ბალახით დაფარულ ამობურცულ და ჩავარდნილ საფ-  
ლავებს შორის, მაგრამ ვერ იქნა და ვერ ვიპოვეთ იაკობის დე-  
დის საფლავი.

დალონდა იაკობი, ასე მწუხარე არასოდეს მენახა, ვინ  
იცის, რას ფიქრობდა ამ დროს. საფლავებს შორის, თაიგულით  
ხელში მოსიარულე მოხუცი, როგორ ნაღველობდა, მით უფრო,  
რომ მას აქ მეორედ მოსვლის იმედი აღარ ჰქონდა.

ბოლოს ერთ-ერთ, ოდნავ ამობურცულ საფლავთან მივი-  
და, ნელა დაიხარა, თაიგული დადო, უხმოდ გამობრუნდა,  
მკლავი მკლავში გამიყარა და როცა გზაზე გამოვედით, მი-  
თხრა:

— წავიდეთ, დედაჩემის საფლავი ვერ ვნახეთ, რა ვუყოთ,  
სხვის დედას ერგოს ჩემი თაიგულიო.

დალმართი ჩავიარეთ, იაკობი სახლში შევიპატიუე, სახლის  
უკან პატარა ბაღში შევჩერდით.

— რომ იცოდე, როგორ მიყვარს ახლადამოსული ბალახის  
სუნი და, იცი კიდევ რა? — ზაფხულში უეცარი წვიმის შემ-  
დეგ ავარდნილი სურნელოვანი ობშივარი, — თქვა მან.

ცოტა ხნის შემდეგ მიიჩედ-მოიხედა და ისევ მან დაარ-ლვია სიჩუმე:

— რამდენი მითამაშნია ამ ეზოებში. რწყილივით დავსტო-ლი. დავძრებოდი ღობილან ღობეში, ყვავილებს ვკრიფთო, ციცინათელებს დავდევდი.

მერე ჩვენს ეზოში მაღალი ქვიტკირის კედელს შეავლო თვალი და თქვა:

— მე აი, აქ, ამ სახლში გავიზარდე. ამ კედლის მეორე მხარეს იდგა ჩემი რკინის ცისფერი, პატარა, გვერდებბადიანი საწოლი... სახლს მეორე მხარეზე გრძელი შუშაბანდი ჰქონდა. მახსოვს ზამთრობით, როცა ოდნავ წავიავადმყოფებდი ხოლ-მე, დედა გარეთ აღარ გამიშვებდა და მე შუშაბანდის და-ორთქლილ მინებზე ხან რას ვხატავდი და ხან რას. მიყვარდა ფრთებიანი ანგელოსების, ჯვარზე გაკრული იესო ქრისტესი და ღრუბლების ხატვა. ვხატავდი იმას, რაც მენახა ეკლესიაში, ხატებზე, კედლებზე, ჭერზე თუ სხვაგან. სხვა სანახაობა აქ არაფერი იყო მაშინ...

ამ ამბის შემდეგ ორი წელი გავიდა. იმ კედელს, რომელ-ზედაც იყობმა მაშინ მიმითითა, პატარა სახელოსნო მიგაშენე.

არ გასულა დიდი დრო და იყობი გარდაიცვალა. იგი მთა-წმინდაზე ილიას საფლავის წინ დამარხეს.

— ამიერიდან, ჩვენო ძვირფასო იაკობ, შენს მიერ შექმნი-ლი ილიას ძეგლი — მწუხარე საქართველო — შენი ძეგლიც იქნებაო, — უთხრა გამოთხოვებისას პოეტმა გიორგი ლეონი-ძემ.

დასაფლავების მეორე დღეს სამხატვრო აკადემიის სამს-ხმელო სახელოსნოდან წავიღე იაკობის ნილაბი.

სახე მისი დაპატარავებული და ჩამჭრალი იყო.

დაე, იაკობის ნიღაბმა, მისმა თაბაშირის სახემ ჩემს სახე-  
ლოსნოში უცქიროს თიხას, ქვას, მარმარილოს.

პუშაობის დროს უნებურად შევავლებ ხოლმე თვალს ნი-  
ღაბს და თითქოს მესმის იაკობის ხმაც: — დედაჩემის საფ-  
ლავი ვერ ვნახეთ, რა ვუყოთ, სხვის დედას ერგოს ჩემი თან-  
გულიო.

## პირობა პირობად დარჩა

ეს იყო 1932 წლის შემოდგომაზე.

თავობი შებინდებისას მოვიდა შინ. საჩქაროდ ისაღილა, ცოტა დაისვენა, მერე ჩემს ოთახში შემოვიდა, ჭიბიდან დაკეცილი ქაღალდები ამოიღო და მითხრა:

— განათლების კომისარიატმა გადაწყვიტა, მოკლე ვადაში შეიქმნას და გამრავლებულ იქნას ჩვენი კლასიკოსი მწერლების სკულპტურული პორტრეტები. მე შენ მოგიტანე სია, რომელიც გინდა — აირჩიე. აქ არის შოთა, ილა, აკაკი, ეგნატე, რაფიელი, დავითი და სხვები. ერთი სიტყვით, რომელიც გინდა — აიღე და გააკეთე. ეს იქნება შენი პირველი სახელმწიფო შეკვეთა.

— ილიას ავირჩევ! — წამოვიძახე გახარებულმა და მაშინვე გამახსენდა ის ტრამვაელი მუშა, რომელზედაც ახლა მოგახსენებთ:

იმ ხანებში თბილისის საქალაქო ტრანსპორტის საქმე მოუგვარებელი იყო. ვისაც ეჩქარებოდა, ფეხით წასვლას ირჩევდა. და აი, ერთხელ ტრამვაის პარკის წინ გავლის დროს დავინახე, რომ დიდი ჭიშკრიდან ხანშიშესული კაცი გამოვიდა, ქვაფენილი გადაჭრა და საღურისაკენ წავიდა, მე ავედევნე, გვერდზე გავყევი, ხან წინ გაუსაწარი, ხანაც შევჩერდი, ზურგის მხრიდან მივდი.

ეს იყო ნამდვილი ცოცხალი ილია, მუშურად ჩატმული

ილია. „ილიას“ ხელები გაშავებული ჰქონდა, ტანსაცმელზე  
ზეთის ლაქები ეცხო.

— ორ თვეში უნდა გააქეთო,—განაგრძო იაკობმა, ვადები  
ზუსტად უნდა იქნეს დაცული, ხეალ ხელშეკრულები გააფორმოს  
მე და საქმესაც შეუდები.

მეორე დღეს, ტრამვაის პარკის წინ დავესვე. „ნუთუ ვერ  
ვნახავ იმ კაცს?“ ვფიქრობდი მე და ლიანდაგებით დასერილ  
გრძელ ეზოს გავყურებდი.

სამუშაო საათები დამთავრდა, მუშები გამოვიდნენ. ის კი  
არ ჩანდა. ვიყითხო, ვინ ვიყითხო? სახელი არ ვიცი, გვარი არ  
ვიცი, სად შეიძლება ვნახო კაცი, რომელიც ილიას ჰგავდა?  
ასე არ ივარგებს.

იმ დღეს არაფერი გამოვიდა, სამაგიეროდ მეორე დღეს  
სრული დარწმუნებული, რომ ნამდვილად ვნახავდი, პირდა-  
პირ პარკის უფროსთან მიეეღი, ავუხსენი ყველაფერი და თან  
დაესძინე: — ნამდვილად არ ვიცი, იქნებ თქვენთან არც მუშა-  
ობს ის კაცი-მეთქი.

— ვიცი ვისაც ეძებთ. აქ დაიცადეთ და ილია თავის ფეხით  
გვახლებათ, — თავაზიანად მიძასუხა პარკის უფროსმა.

იმ დღეს საქმე კარგად წავიდა. „ილია“ მოვიდა, სინამ-  
დვილეში მასაც ილია რქმევდა, ზეინჯალი ყოფილა და როცა  
საქმის შინაარსი გავაცანი, ღიმილით მითხრა:

— დიდი სიამოვნებით! თქვენ ოღონდ გააქეთეთ, ჩვენს  
შეეყანას რამე შესძინეთ და მაგაზე უარს როგორ გეტყვითო.

დანიშნულ დროს ილია მოვიდა. მე სადგარზე დამზადე-  
ბულ თიხას ტილო შემოვხსენი და მუშაობაც დავიწყე.

მესამე სეანსის ბოლოს, როცა ილია წასული იყო, იაკობი  
მოვიდა ჩემს სადგართან და მითხრა:

— რამდენი წლისა ხარ შენ ახლა?

- ოცდამეორეში გადავდექი.
- ორმოცის რომ გახდები, მე მოგცემ სეანსს, ჩემს პორტ-  
რეტს გააკეთებ.
- დიდად მოხარული ვიქნები, მაგრამ ცოტა აფრე ხომ არ  
აჯობებდა.
- როგორ, ვერ ვიცოცხლებ მანამდე, თუ რა?
- როგორ გეეაღრებათ, ბატონო იაკობ!
- ვთქვი და გათავდა. ორმოცის გახდები თუ არა, მე გაძ-  
ლევ სეანსებს, — თქვა იაკობმა და თან ილიას პორტრეტს შე-  
მოუარა.
- კარგი გამოდის. ბევრს ნუ გადაყვები, არ გააფუჭო, კა-  
დევ ორი სეანსი და მორჩია.
- ნამუშევარი შევანცვი. ფანქარი ავილე, ვიანგარიშე, ცხრა-  
შეტი წლის შემდეგ, 1951 წლის 12 მარტიდან? ასე იყოს,  
ორმოცდათერთმეტი წლის თორმეტი მარტიდან.
- ამის შემდეგ ყოველ წელიწადს ვახსენებდი იაკობს, რომ  
არ გადაეთქვა, სიტყვა ნამდვილად შეესრულებინა.
- გავიძა დრო, მე ქუთაისში დავბრუნდი, ჩვენი ძველი სახ-  
ლის შეკეთება დავიწყე.
- მეორმოცე წელს მივუახლოვდი და სწორედ 1951 წლის  
თერთმეტ მარტს თბილისში გამგზავრება დავაპირე. სიხარუ-  
ლით მივდიოდი, წინ დიდი გზა და საპასუხისმგებლო საქმე  
მელოდა.
- ბილეთი ივილი, ქალაქში გავიარე, საგაზეთო ვიტრინას ჩა-  
მოუარე და იქვე გავქვავდი, შავ ჩარჩოში ჩასმული იაკობის  
პორტრეტი დავინახე.
- პირველი, რაც მაშინ გავიფიქრე, ის იყო, რომ ჩვენ თრი-  
ვემ დავიგვიანეთ.
- მეორე დილით თბილისში ვიყავი, სამხატვრო აკადემიის  
დიდი დარბაზი შავი ძაბებით იყო დაფარულ.
- იაკობი მაღალ კვარცხლბეჭი ესვენა.



፲፭፻፭፭፭

საებარი დემილით — ზურაბ კეხიანიძე	3
შეცვალა	7
ვაჟა და აკაკი მოქანდაკის სახელოსნოში	12
ფლორენციაში	17
კერონეზეს ცა	24
ჩახრუხაძის პორტრეტი	27
მცხეთის ჯვარი სახელოსნოში	30
რჩევისათვის მოსულნი	33
ანდრი ჯანელიძე	35
ნათლია	42
დიდი ორქესტრი	45
მათრახის ტარი	49
კვავილების დედოფალი	53
სიცილის სალაშო	58
ნაშროვილი გოლი	62
კონა	65
შზის ჩასევლისას	70
სშირი სტუმარი და გალაეტიონი	72
ყაჩაღის პორტრეტი	74
გრიბოედოვის ქუჩიდან როდენის ქუჩიდა	80
წითელი როიალი	83
ნაუმიას ქვრივები	87
იაკობის სახლიკაცი	95
თაიგული	98
პირობა პირობად დარჩია	102

რედაქტორი ჭ. კუხიანიძე  
გამომცემლობის რედაქტორი თ. ბაულაძე  
მხატვარი მ. ჯაბეა  
შეატვრული რედაქტორი კ. ფაჩულია  
ტექნიკური რედაქტორი ნ. მანიუშვილი  
კორექტორი ლ. არჩევაძე

გილაურა წარმოებას 28.VIII.76 წ. ხელმოწერილია დასაბეჭდად 27.I.77 წ.  
საბეჭდი ქალალი № 1 70×108<sup>1/32</sup>. პირობითი ნაბეჭდი თაბახი 4.73  
სააღრ.-საგამომცემლო თაბახი 3.55 უკ 06814  
ტიჩა 10.000 შეკ. № 8912  
ფასი 26 კაპ.

გამომცემლობა „საბჭოთა საქართველო“  
თბილისი, მარგანიშვილის 5.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს გამომცემლობათა,  
პოლიგრაფიისა და წიგნის კატერობის საქმეთა სახელმწიფო  
კომიტეტის სტაბი № 5,  
ქ. ქუთაისი, ი. ჭავჭავაძის პროსპექტი, 11.  
Типография № 5 Государственного комитета  
Совета Министров Грузинской ССР по делам  
издательств, полиграфии и книжной торговли.  
г. Кутаиси, пр. И. Чавчавадзе, 11.



Мизандари Валериан Леванович

Небо Веронезе

(Рассказы об Якове Николадзе)

(На грузинском языке)

Издательство «Сабчота Сакартвело»

Тбилиси, Марджанишвили, 5

1977

259/5-

